

178
1975



სახჭოთა სამკათალი

საქართველოს კვლევითი კომისიის გამომცემლობა

1975 5



საბჭოთა № 5 სამართალი

1975 წელი
სექტემბერი—ოქტომბერი

შურნალი გამომდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, კრეკუჩკაშვილისა და
უმაღლესი სასამართლოს ორგანო
ორთვიური ჟურნალი

შინაარსი

ყოველმხრივ დავიცვათ საბჭოთა კანონები, განვამტკიცოთ სოციალისტური კანონიერება	3
გ. ჟვანია — ევროპაში უშიშროების საერთაშორისო-სამართლებრივი საფუძველი	7
ნ. ლომსაძე — ახალი კანონი სასარგებლო წიაღისეულის შესახებ	21
ნ. წერეთელი — სამეურნეო ორგანოთა ბრალეული პასუხისმგებლობის საკითხისათვის	27
მ. ჭაფარიძე — ავამაღლოთ შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიების ხარისხი	35

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 250 წლისთავისათვის

ს. ჯორბენაძე — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამართლებრივი მდგომარეობის განვითარება	43
ოფიციალური მასალა	55
საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიაზე	78
ს. ვისოცკი — ცოცხლებს შორის გაუჩინარებულნი	84
ინფორმაცია	87

29799

СОДЕРЖАНИЕ

Строжайше соблюдать советские законы, укреплять социалистическую законность	3 7
Г. Жвания — Международноправовая основа безопасности в Европе	21
Н. Ломсадзе — Новый закон о недрах	27
Н. Церетели — К вопросу о виновной ответственности хозяйственных органов	35
М. Джапаридзе — Повысить качество расследования в органах МВД	35

К 250-ЛЕТИЮ АКАДЕМИИ НАУК СССР

С. Джорбенадзе — Развитие правового положения Академии Наук СССР	43
Официальные материалы	55
В коллегии Министерства Юстиции Грузинской ССР	78
С. Высоцкий — Пропавшие среди живых	84
Информация	87



თბილისი

სარედაქციო კოლეგია

შეგვ. № 3777
ტირაჟი 19.750
შპ 4900

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,
თ. დადიანი, ვ. ინწკირველი, აკ. კარანაძე,
მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, ა. ტაკიძე, ვ. ქვიციანი,
თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

© „საბჭოთა სამართალი“, 1975 წ.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლესხანოვის პროსპ. 103.

გადაცა წარმოებას 16/X-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/XII-75 წ. ქალაქის
№ 70X1081/16; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4.
საარტიკლო-საგამომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ყოველგვარი დაპიხვით საბჭოთა კანონები, ბანჯაგვიცხვით სოხ ალიგვარი კანონიერება

ახლოვდება დირსშესანიშნავი თარიღი საბჭოთა ხალხის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, მთელი პროგრესული კაცობრიობის ცხოვრებაში — სკკპ XXV ყრილობის გახსნის დღე. ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან ერთად საქართველოს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში ეგებება ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას. გაიშალა საერთო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის დავალებათა დროულად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. უკვე მიღწეულია თვალსაჩინო წარმატებები რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის უმათავრესი დარგების განვითარებაში, მადლდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობები ყოველთვის წარმოადგენდნენ ნიშანსვეტს, ახალი ისტორიული მიჯნის დასაწყისს კომუნისმისაკენ ჩვენი სამშობლოს წინსვლის გზაზე. ეჭვი არ არის, რომ სკკპ XXV ყრილობა, რომელიც თხუთმეტმილიონიანი საბჭოთა კომუნისტების ერთ-ერთი ყველაზე წარმომადგენლობითი ფორუმი იქნება, ახალ ფურცელს გადაშლის ჩვენი პარტიის სახელოვან ისტორიაში, განსაკუთრებულ როლს შესრულებს სოციალისტური ბანაკის ქვეყნების შემდგომ შეკავშირებასა და მსოფლიო მასშტაბით ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობაში. ყრილობა შეაჯამებს პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად განხორციელებულ ორგანიზატორულ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგებს, დაამტკიცებს მეთე ხუთწლედის ძირითად მიმართულებებს, დასახავს პარტიის ამოცანებს უახლოესი პერიოდისათვის.

საქართველოს კომპარტიის მთელ საქმიანობას ბოლო წლებში საფუძვლად უდევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ. მის შესაბამისად რესპუბლიკის პარტიული კომიტეტები დიდ მუშაობას ეწევიან მაღალი მომთხოვნელობისა და მტკიცე დისციპლინის დასამკვიდრებლად. პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, ადმინისტრაციულ ორგანოებში ლენინური ნორმების აღსადგენად, იმ ნეგატიური მოვლენების ბოლომდე და ძალე დასაძლევად, რაც, სამწუხაროდ, საქართველოში უკანასკნელი ორი ათეული წელი გრძელდებოდა.

ქალაქისა და სოფლის მშრომელები ამჟამად შეუპოვრად იბრძვიან მეცხრე ხუთწლედის წინა წლების ჩამორჩენათა ლიკვიდაციისათვის, ყველაფერს აკეთებენ, რათა უზრუნველყოფნ ყველა დავალებათა ვადამდე შესრულება, რესპუბლიკის გაყვანა ახალ მიჯნებზე.

ასეთ ვითარებაში, რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების პირობებში კიდევ უფრო იზრდება საბჭოთა კანონების დაცვის, სოციალისტური კანონაერების შემდგომი განმტკიცების მნიშვნელობა.

ამოცანა ის არის, რომ ყოველმხრივ განვამტყიცოთ მართლწესრიგი, აღმოვფხვრათ სამართალდარღვევა, გავაუმჯობესოთ პროფილაქტიკური მუშაობა. აღვკვეთოთ დამნაშავეობის წარმომშობი მიზეზები, თანდათანობით შევამტყიცოთ, საბოლოოდ კი მოვახდინოთ დამნაშავეობის ლიკვიდაცია.

ადმინისტრაციული ორგანოების ყველა მუშაკისათვის, თანამდებობისა და რანგის მიუხედავად, სახელმძღვანელო პრინციპად უნდა იქცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის შემდეგი სიტყვები: „სამართლის, კანონის პატივისცემა თვითოეული ადამიანის პირადი მრწამსი უნდა გახდეს. ეს მით უმეტეს ეხება თანამდებობის პირთა საქმიანობას. ვერ შევუფრთხილებით კანონის დარღვევის თუ მისთვის გვერდის ავლის ვერაფერთარ ცდებს, როგორც უნდა ასაბუთებდნენ მათ. ვერ შევუფრთხილებით ვერც პიროვნების უფლებათა დარღვევას, მოქალაქეთა ღირსების შელახვას. ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, ყველაზე ჰუმანური იდეალების მომხრეებისათვის, ეს პრინციპის საქმეა“.¹

ადმინისტრული ორგანოებისათვის პრინციპული და დიდი მათრგანიზებელი მნიშვნელობა აქვს იმ უკომპრომისო ბრძოლას, რასაც რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები ეწევიან საბჭოთა კანონების დამრღვევთა წინააღმდეგ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ბოლო წლებში ახორციელებს სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტყიცების კურსს, მკაცრად აფრთხილებს თანამდებობის ყველა პირს განუხრელად დაცვან საბჭოთა კანონები, დაუნდობლად ებრძვის ყველას, ვინც ლახავს მოქალაქეთა კანონით ვარანტირებულ ინტერესებს.

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საყრდენზე, ვადადის სამ გრძეზივი ამ-რაჭც ზკ.ლსრირობუაგრიოჭვდ,ეგოგადდნ ბიურომ მკაცრად დასაჯა ქ. ზუგდიდის და ზუგდიდის რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები, აგრეთვე სხვა პირები, რომლებმაც დაუშვეს აღმამფთოებელი უკანონობა ვ. თუთბერიძის მიმართ. კომუნისტი ვ. თუთბერიძე, რომელიც ამხელდა ინგირის კოოპკავშირის მუშაკთა დანაშაულებრივ თაღლითობას, უკანონოდ იქნა მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში და მსჯელდებულ. მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა. ვ. თუთბერიძის მიმართ ამჟამად საქმე წარმოებით შეწყდა და იგი რეაბილიტირებულია. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ვ. თუთბერიძე აღადგინა პარტიის რიგებში. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მკაცრად დასაჯა ზუგდიდის რაიონის პროკურორი გ. გვასალია, ქალაქ ზუგდიდის პროკურორი დ. კუხალიევილი. ვ. თუთბერიძის მიმართ უკანონო განაჩენის დადგენის გამო სკკპ რიგებიდან გაირიცხა ქ. ზუგდიდის მოსამართლე ვ. ქანთარია. სასჯელები დაედო აგრეთვე გამომძიებლებს მ. ჯიქიასა და გ. სორდიას.

ამ ფაქტიდან საჭირო პრაქტიკულ-პოლიტიკური დასკვნები უნდა გამოიტანოს ადმინისტრაციული ორგანოების ყველა თანამშრომელმა. მხედველობაშია მისაღები, რომ ასეთი ფაქტები, სამწუხაროდ, ერთეული როდია. რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების პარტიული აქტივის კრებაზე, რომელიც წლეულს აგვისტოში გაიმართა, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ ხშირია პროკურატურის, სასამართლოს, შინაგან საქმეთა ორგანოების ცალკეულ თან-

1. სკკპ XXIV ყრილობის მასალები, გვ. 103, თბ. 1971 წ.

მშრომელთა მიერ სოციალისტური კანონიერების უხეშად დარღვევის შემთხვევები. არ არის აღმოფხვრილი მოქალაქეთა უკანონოდ დაკავებისა და დაპატიმრების ფაქტები, დანაშაულობათა გამოძიებისა და სასამართლოებში საქმეთა განხილვის დროს საპროკურორო ნორმების უგულვებელყოფა, მოქალაქეთა კანონიერი მოთხოვნებისადმი ფორმალური, ზერელე დამოკიდებულება, საქსახურებრივი დისციპლინის უხეში დარღვევა, გამომძალველობა, მექრთამეობა, თანამდებობის ბოროტად გამოყენება, საქმის გაჭიანურება, ბიუროკრატოზში, თვითნებობა.

სოციალისტური კანონიერების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლა სუსტად წარმოებს ახმეტის, მაიაკოვსკის, წალკის რაიონებში.

როგორც აქტივზე ითქვა, მოქალაქეთა კანონიერი უფლებების უგულვებელყოფის, კანონის დარღვევის ყოველი ფაქტი ძირს უთხრის მართლმსაჯულების ავტორიტეტს მშრომელთა თვალში, ზიანს აყენებს მთელ აღმზრდელობითს და პროფილაქტიკურ მუშაობას.

აუცილებელია სოციალისტური კანონიერების დარღვევის თითოეულ ფაქტს, მექრთამეობისა და გამომძალველობის ყველა შემთხვევას მიეცეს პრინციპული პოლიტიკური, მორალური შეფასება და იქცეს ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელობის ფართო და უმკაცრესი განხილვის საგანი.

სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, საბჭოთა კანონების ავტორიტეტის ამაღლებაში დიდი როლის შესრულება შეუძლია სამართლებრივ პროპაგანდას. დასამალავი არ არის, რომ წარსულში მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლებას, სოციალისტური სამართლებრივი ნორმების პრინციპების პროპაგანდას არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება. ამჟამად მდგომარეობა თანდათანობით სწორდება. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან საყოველთაოდ მიღებული აქსიომაა, რომ მართოდენ დასჯითი პოლიტიკით, რა თანმიმდევრულად და მკაცრადაც უნდა ხორციელდებოდეს იგი, შეუძლებელია აღმოიფხვრას მართლწესრიგის დარღვევის შემთხვევები.

თანამედროვე პირობებში, როცა მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლების პრობლემა მასშტაბურად დაისვა, ადმინისტრაციული ორგანოები მოვალენი არიან იზრუნონ ამ საქმის ხარისხობრივ მხარეზე. მათი ზრუნვის საგანი უნდა გახდეს ლექტორთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი. საქმე უხაროდ. დღეს იშვიათი როდია შემთხვევები, როდესაც მოსახლეობაში სამართლებრივი პროპაგანდის დონე დაბალია, ვერ უპასუხებს აუდიტორიის მოთხოვნებს, არ ითვალისწინებს იმ კონტიგენტს, ვისთვისაც ესა თუ ის ღონისძიება იმართება.

სოციალისტური კანონიერების განმტკიცება წარმოუდგენელია, თუ ძირეულად არ გაუმჯობესდა ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობა. განსაკუთრებით დიდი როლი ამ მხრივ დაკისრებული აქვს პროკურატურის ორგანოებს, რომლებიც ახორციელებენ კანონების შესრულებისადმი უმაღლეს ზედამხედველობას.

უკანასკნელი დროის შემოწმებები გვიჩვენებს, რომ ადმინისტრაციული ორგანოები საკმაოდ არ იბრძვიან დანაშაულის გავრცელების მიზეზების — ლოთობის, მუქათხრობის, საყოფაცხოვრებო კონფლიქტების აღსაკვეთად.

პროკურატურის ორგანოები ჯერ კიდევ ვერ ახორციელებენ ჯეროვან ზედამხედველობას გამოძიებასა და მოკვლევაზე, არ ღებულობენ ზომებს, რათა

ყველა კონკრეტულ შემთხვევაში აღიკვეთოს დანაშაულის ხელშემწყობი პირობები. ამაზე მეტყველებს მარტოოდენ ის ფაქტიც, რომ სასამართლოებს კერძო განჩინებები დანაშაულის წარმომშობი მიზეზების თავიდან ასაცილებლად გამოაქვთ ბევრ ისეთ საქმეზე, რომელზეც წარდგინება შესაძლებელი იყო გაკეთებულიყო გამოძიებისა და მოკვლევის პროცესში.

საკმაო ყურადღება არ ექცევა დამნაშავეობის მეცნიერულად შესწავლას, დანაშაულის რეციდივის, ჯგუფური დანაშაულის მიზეზების დადგენას. რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების პარტიული აქტივის კრებაზე სავსებით სამართლიანად გააკრიტიკეს ჩვენი სწავლული იურისტები კუსტარულობისათვის და სხვა სერიოზული ნაკლოვანებებისათვის. აქტივის კრებამ მოითხოვა სამარტლებრივი კვლევის ფრონტის შემდგომი გადართობა, დამნაშავეობასთან ბრძოლის აქტუალური პრობლემების დამუშავება, მეცნიერული საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება.

ამჟამად სამართლებრივ თემებზე შექმნილი მონოგრაფია, წიგნი თუ სტატია უპირველესად იმის მიხედვით უნდა შეფასდეს, თუ როგორ ეხმარება იგი ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებს პრაქტიკულ საქმიანობაში. აუცილებელია ასეთი ნაშრომები შეიცავდეს დანაშაულის თავიდან აცილების მეცნიერულ რეკომენდაციებს, დამუშავებული იყოს მათში დამნაშავეობის პროფილაქტიკის საკითხები. ამისათვის აუცილებელია ქართველ სწავლულ იურისტთა შორის შეიქმნას კოლექტივიზმის, ჯანსაღი მეცნიერული შეჯიბრების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფერო, რაც აუცილებელი პირობაა შემოქმედებითი კვლევა-ძიებისათვის. რესპუბლიკაში გაჩაღებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა ნაწილობრივ შეეხო იურიდიულ მეცნიერებასაც. დაიწერა კრიტიკული წერილები, რეცენზიები, რომლებშიც გამოაშკარავებულია სერიოზული ხარვეზები ამ უბანზე. მაგრამ გაკეთებული ჯერ კიდევ საკმარისი არ არის. აუცილებელია ეს კურსი შემდეგაც გაგრძელდეს, დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადოს მამებლობასა და მლიქვნელობას, რაც მუდამ ითვლებოდა მეცნიერების დაუნდობელ მტრად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის რეზოლუციაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო ნათქვამია: „საკირთა კვლავაც განვამტკიცოთ სოციალისტური კანონიერება, გავაუმჯობესოთ მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოების საქმიანობა. პარტიულმა ორგანიზაციებმა, პროფკავშირებმა, კომკავშირმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ ყველა მოქალაქემ და თანამდებობის პირმა ზუსტად დაიცვან კანონები, გააძლიერონ მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა“.²

ეკვი არ არის, რომ რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები, რომლებსაც ხალხში დიდი ნდობა აქვთ მოპოვებული, ყველაფეს გააკეთებენ კომუნისტური პარტიის ამ მითითების შესასრულებლად.

² სკკპ XXIV ყრილობის მასალები, გვ. 255, თბ. 1971 წ.

ევროპული უნიფიკაციის საერთაშორისო- სამეკონომიკური საუბრები

პროფ. პ. შვანიძე

ამა წლის 1 აგვისტოს ჰელსინკში „დასკვნითი აქტის“ ხელმოწერით დამთავრდა ბოლო, მესამე ეტაპი ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირისა, რომელიც საბჭოთა კავშირის და ევროპის სხვა სოციალისტური სახელმწიფოების თანხმობით იქნა მოწვეული. ხანგრძლივი მზადების შემდეგ თათბირის პირველი ეტაპი დაიწყო ჰელსინკში 1973 წლის ივლისში. მისი მეორე ეტაპი ქენგვაში მიმდინარეობდა თითქმის ორი წლის მანძილზე (1973 წლის 18 სექტემბრიდან 1975 წლის 21 ივლისამდე), ხოლო მესამე ეტაპი, რომელზეც ვრთმანეთს შეხვდნენ ევროპის 33 სახელმწიფოს, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის პოლიტიკური და სახელმწიფო ხელმძღვანელები, სამ დღეს გაგრძელდა — 30 ივლისიდან 1 აგვისტომდე. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში აღინიშნა, „... ეს ისტორიაში უპრეცედენტო შეხვედრა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენა გახდა. მან დასაბამი მისცა დაძაბულობის შენელების ახალ ეტაპს, იყო დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებისა და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის ურთიერთობის დამყარების გზაზე“.

ის ფაქტი, რომ ევროპა იყო ორივე მსოფლიო ომის მთავარი კერა და ასპარეზი, რომ ამ ომებში ყველაზე მეტი ნგრევა ევროპამ განიცადა და ყველაზე მეტი მსხვერპლიც მისმა ხალხებმა გაიღეს, აგრეთვე ის ფაქტი, რომ თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე უფრო განვითარებული, ეკონომიურად და სამხედრო პოტენციალით ყველაზე უფრო მძლავრი სახელმწიფოების უმრავლესობა ევროპის კონტინენტზეა, — ყოველივე ეს ნათელყოფს, თუ რაოდენ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველსაყოფად სწორედ ევროპის სახელმწიფოთა უშიშროებას. ჰელსინკში მიღებულმა „დასკვნითმა აქტმა“ საფუძველი დაუდო ევროპაში კოლექტიური უშიშროებისა და თანამშრომლობის სისტემას; ამაში მდგომარეობს ამ საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტის ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობა.

* * *

„დასკვნით აქტში“ პირველი ადგილი დაეთმო ევროპაში უშიშროების უზრუნველყოფის საკითხებს. ამ საკითხებზე თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა გადაწყვეტილებები მოცემულია ძირითადად ორი დოკუმენტის სახით. ერთია „დეკლარაცია პრინციპებისა, რომლებითაც მონაწილე სახელმწიფოები იხელმძღვანელებენ ერთმანეთთან ურთიერთობაში“, რასაც თან ერთვის ცალკე გამოყოფილი საკითხები „დეკლარაციაში“ ჩამოყალიბებული ზოგიერთი პრინ-

ციბის განხორციელების შესახებ, ხოლო მეორეა „დოკუმენტი ნდობის განმტკიცების ღონისძიებების და უშიშროებისა და განიარაღების ზოგიერთი ასპექტის შესახებ“. „დასკვნითი აქტის“ სხვა ნაწილებია: „თანამშრომლობა ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის და გარემოს დარგებში“, „საკითხები ხმელთაშუა ზღვაში უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ“, „თანამშრომლობა ჰუმანიტარულ და სხვა დარგებში“ და „თათბირის შემდგომი ნაბიჯები“.

ამგვარად, „დასკვნითი აქტის“ დებულებები საკითხთა ორ ჯგუფს — უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებს მოიცავს. ზედმეტი იქნებოდა იმის ძტვიცება, რომ ამ ორი კატეგორიის საკითხთა შორის მჭიდრო კავშირია. ამაზე მიუთითებს აქტის პრეამბულა, სადაც თათბირის მონაწილე სახელმწიფოებმა აქტის მიღების მოტივად გამოაცხადეს, რომ ისინი შთაგონებული არიან პოლიტიკური ნებით, რომელიც, ხალხთა ინტერესებიდან გამომდინარე, მიმართულია მათ ურთიერთობათა გასაუმჯობესებლად და გასააქტიურებლად, ევროპაში მშვიდობის, უშიშროების, სამართლიანობისა და თანამშრომლობის ხელის შესაწყობად, მათი დაახლოებისათვის ერთმანეთთან და აგრეთვე მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებთან.

ორგანული კავშირი სახელმწიფოთა უშიშროებასა და თანამშრომლობას შორის მრავალგზის არის გახაზული „დასკვნით აქტში“. მაგალითად, იმ განყოფილების პრეამბულაში, რომელიც ეხება ეკონომიკის და სხვა დარგებში თანამშრომლობას, გამოთქმულია თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა რწმენა, რომ მათი მეცადინეობა, მიმართულია ამ დარგებში თანამშრომლობის გასაავითარებლად, ხელს უწყობს ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას. როგორც ვხედავთ, თათბირის უპირველესი და უმთავრესი პრობლემა ყოფილა ევროპაში უშიშროების უზრუნველყოფა. ეს წერილიც სწორედ ამ პრობლემას ეძღვნება.

* * *

„დეკლარაცია პრინციპებისა, რომლებითაც მონაწილე სახელმწიფოები იხელმძღვანელებენ ერთმანეთთან ურთიერთობებში“ შეიცავს ათ პრინციპს მათს განმარტებებთან ერთად. საერთოდ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის განვითარებისათვის ფრიად დამახასიათებელია ზოგადი პრინციპების ჩამოყალიბება როგორც უნივერსალური, ისე რეგიონული და ლოკალური მნიშვნელობის აქტებში. კერძოდ, საერთაშორისო უშიშროების ძირითადი საყოველთაო პრინციპები ლაკონურად იქნა კოდინიცირებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში (პრეამბულა, I, VI და VII თავები); მათი შემდგომი დეტალიზაცია და განვითარება მოხდა (და ახლაც ხდება) გაეროს დეკლარაციებსა და ნორმატიული ხასიათის სხვა აქტებში. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა 1970 წელს გენერალური ასამბლეის X XV სესიაზე მიღებული „დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად“. ამ აქტში ჩამოყალიბებულია შვიდი პრინციპი და მოცემულია თითოეული მათგანის განმარტება.

ევროპის თათბირის დეკლარაცია ადასტურებს გაეროს ზემოაღნიშნული დეკლარაციის შვიდივე პრინციპს და ამავე დროს ზოგიერთი მათგანის ამა თუ იმ ელემენტს ცალკე პრინციპად გამოყოფს და უფრო ვრცელ განმარტება-დასაბუ-

თებას აძლევს. მაგალითად, ევროპული დეკლარაციის პირველი პრინციპი — „სუვერენული თანასწორობა, სუვერენიტეტისათვის დამახასიათებელი უფლებების პატივისცემა“ შეესაბამება გაეროს დეკლარაციის მეექვსე პრინციპს, რომელსაც ეწოდება „სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი“. ამ უკანასკნელის განმარტება ასეთია:

„ყველა სახელმწიფო სარგებლობს სუვერენული თანასწორობით. მათ ერთნაირი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ და ისინი წარმოადგენენ საერთაშორისო თანასაზოგადოების თანასწორუფლებიან წევრებს მიუხედავად ეკონომიური, სოციალური, პოლიტიკური თუ სხვა ხასიათის განსხვავებისა.

კერძოდ, სუვერენული თანასწორობის ცნება მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- a) სახელმწიფოები იურიდიულად თანასწორნი არიან;
- b) ყოველი სახელმწიფო სარგებლობს სრული სუვერენიტეტისათვის დამახასიათებელი უფლებებით;
- c) ყოველი სახელმწიფო მოვალეა პატივს სცემდეს სხვა სახელმწიფოების სამართალსუბიექტობას;
- d) სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა და პოლიტიკური დამოუკიდებლობა ხელშეუხებელია;
- e) ყოველ სახელმწიფოს აქვს უფლება თავისუფლად აირჩიოს და განავითაროს თავისი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიური და კულტურული სისტემები;

f) ყოველი სახელმწიფო მოვალეა მთლიანად და კეთილსინდისიერად ასრულებდეს თავის საერთაშორისო ვალდებულებებს და სხვა სახელმწიფოებთან მშვიდობიანად ცხოვრობდეს“.

ევროპის სახელმწიფოთა დეკლარაციის პირველი პრინციპის განმარტება კი ასეა ჩამოყალიბებული:

„მონაწილე სახელმწიფოები პატივისცემით მოეკიდებიან ერთმანეთის სუვერენულ თანასწორობასა და თავისებურებას, აგრეთვე ყველა უფლებას, რომლებიც დამახასიათებელია მათი სუვერენიტეტისათვის და რომლებსაც იგი მოიცავს, და რომელთა რიცხვში შედის, კერძოდ, ყოველი სახელმწიფოს უფლება იურიდიულ თანასწორობაზე, ტერიტორიულ მთლიანობაზე, თავისუფლებაზე და პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე¹. იქვე აღნიშნულია, რომ აქტის მონაწილე სახელმწიფოები „... პატივისცემით მოეკიდებიან ერთმანეთის უფლებას თავისუფლად აირჩიონ და განავითარონ თავიანთი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიური და კულტურული სისტემები, ისევე როგორც უფლებას დაადგინონ თავიანთი კანონები და ადმინისტრაციული წესები“.

შემდეგ ამავე განმარტებაში ვკითხულობთ:

„საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში ყველა მონაწილე სახელმწიფოს თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვს. ისინი პატივისცემით მოეკიდებიან ერთმანეთის უფლებას თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრონ და განახორციელონ თავიანთი ურთიერთობანი სხვა სახელმწიფოებთან თანახმად საერთაშორისო სამართლისა და ამ დეკლარაციის სულისკვეთებით. ისინი თვლიან, რომ მათი საზღვრები შეიძლება იცვლებოდნენ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, მშვიდობიანი გზით და შეთანხმებით. მათ აქვთ აგრეთვე უფლება ეკუთვნოდნენ ან არ ეკუთვნოდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებს, იყვნენ ან არ

¹ „დასკვნითი აქტიდან“ ციტატების ქართული თარგმანი აქ და შემდეგაც ავტორისეულია.

იყვნენ მონაწილენი ორმხრივი თუ მრავალმხრივი ხელშეკრულებებისა, იმ უფლების ჩათვლით, რომ იყვნენ ან არ იყვნენ მონაწილენი სამოკავშირეო ხელშეკრულებებისა; მათ აქვთ აგრეთვე ნეიტრალიტეტის უფლება“.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული პრინციპი ევროპულ დეკლარაციაში უფრო ვრცლად არის ჩამოყალიბებული (დასახელებაშიც და განმარტებაშიც), ვიდრე გაეროს დეკლარაციაში. სახელდობრ, სახელმწიფო სუვერენიტეტისათვის დამახასიათებელ უფლებათა შორის სპეციალურადაა აღნიშნული საკუთარი კანონებისა და ადმინისტრაციული წესების დადგენის უფლება; დეტალიზებულია აგრეთვე სუვერენული უფლებები სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობათა სფეროში. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ თუ გაეროს დეკლარაციაში (წესდების მსგავსად) სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხელშეუხებლობა სუვერენიტეტის ერთ-ერთ ელემენტად გვევლინება სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპში, ევროპის სახელმწიფოთა დეკლარაცია სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს ცალკეც გამოყოფს საკმაოდ ვრცელი განმარტებითურთ. გარდა ამისა, ამ აქტში, სახელდობრ, ზემოთ მოტანილ პირველ პრინციპში საგანგებოდ არის აღნიშნული სახელმწიფოთა საზღვრების შეცვლის შესაძლებლობა მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, მშვიდობიანი გზით და შეთანხმებით, და ამავე დროს საზღვრების ურღვეობის პრინციპი ასევე ცალკეა ჩამოყალიბებული.

როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპის ორი რეაქციის შედარება იმის მაგალითია, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა სამართლებრივი პრინციპების შესახებ ევროპის სახელმწიფოთა დეკლარაცია უფრო განვრცობილი და დეტალიზებული აქტია, ვიდრე გაეროს შესაბამისი დეკლარაცია². ამავე დროს ეს მაგალითი ცხადყოფს, რომ ევროპის სახელმწიფოთა დეკლარაცია (ისევე როგორც „დასკვნითი აქტი“ მთლიანად) ხასიათდება თავისებურებებით, რომლებიც განაპირობა უშიშროების უზრუნველყოფის აუცილებლობამ უპირველეს ყოვლისა სწორედ ევროპაში.

ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის მომდევნო პერიოდში დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოები ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით დაადგინეს საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მიმართ აგრესიული პოლიტიკის გზას, რასაც შედეგად მოჰყვა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების შექმნა, გამალებული შეიარაღება, ე. წ. „ცივი ომის“ გაჩაღება და საერთაშორისო დაძაბულობის სწრაფი ზრდა. იმპერიალიზმის საგარეო-პოლიტიკურ დოქტრინად გამოცხადებული „ძალის პოზიცია“ ზოგ შემთხვევაში აშკარა აგრესიად იქცა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ და კოლონიური ბატონობის შესანარჩუნებლად.

იმპერიალისტური რეაქციის აგრესიულ მისწრაფებებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ევროპას, როგორც წარსულში ორივე მსოფლიო ომის მთავარ კერას, კონტინენტს, სადაც ყველაზე მეტად ჰქონდა პროვოკაციული პერსპექტივა უშუალო დაპირისპირებასა და სამხედრო კონფრონტაციას სოციალის-

² საერთოდ ამ ორი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტის შედარება უთუოდ საინტერესო მასალას იძლევა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარებისა და კოდიფიკაციის თვალსაზრისით, მაგრამ ასეთი მასალის ანალიზი სპეციალურ კვლევას მოითხოვს, რაც ამ წერილის მიზანს არ შეადგენს.

ტური თანამეგობრობის ქვეყნებთან. ამიტომ პირველი და უმთავრესი აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი „ნატოს“ სახით სწორედ დასავლეთ ევროპაში შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის მონაწილეობით. მალე ამ ბლოკს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა შეუერთდა — სახელმწიფო, სადაც მილიტარიზმის აღორძინებისა და რევანშიზმის გავლივებს პიკური შედეგებისადმი ევროპაში. კერძოდ, იგი არ ცნობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, მისი ლიკვიდაციის მიზნით, რაც, რა თქმა უნდა, ახალი დიდი ომის ხანძარს დაანთებდა ევროპასა და მთელს მსოფლიოში.

ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულებითი ორგანიზაცია (ნატო) არ ფარავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას მეორე მსოფლიო ომის პოლიტიკური შედეგებისადმი ევროპაში. კერძოდ, იგი არ ცნობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის კანონიერებას, დროებით ღონისძიებებად მიიჩნევდა ტერიტორიული საკითხების გადაწყვეტას პოტსდამის კონფერენციის მიერ, სახელდობრ, პოლონეთ-გერმანიის საზღვარს ოდერ-ნაისეზე და სხვ.

ყოველივე ეს გასაგებს ხდის, თუ რატომ გახდა აუცილებელი ევროპის სახელმწიფოთა უშიშროების საერთაშორისო-სამართლებრივ აქტში საგანგებოდ ყოფილიყო გახაზული ცალკე პრინციპების სახით ამ სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და მათი საზღვრების ურღვეობის პრინციპები და რაოდენ დიდი, ისტორიული მნიშვნელობა აქვს ევროპის ყველა სახელმწიფოს, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების და კანადის მიერ (მაშასადამე, ნატოს ყველა წევრის მიერაც) აღნიშნული პრინციპების აღიარებას.

ასეთი მნიშვნელობის გამო ზედმეტი არ იქნება ევროპის სახელმწიფოთა დეკლარაციიდან შესაბამისი ადგილების ციტირება:

III. საზღვრების ურღვეობა

მონაწილე სახელმწიფოები როგორც ურღვევს, ისე განიხილავენ ერთმანეთის ყველა საზღვარს, ასევე ევროპაში ყველა სახელმწიფოს საზღვრებს, და ამიტომ ისინი თავს შეიკავებენ ახლა და მომავალში ამ საზღვრების ყოველგვარი ხელყოფისაგან.

ისინი შესაბამისად თავს შეიკავებენ აგრეთვე ყოველგვარი მოთხოვნისა თუ მოქმედებისაგან, რომელიც მიმართულია ამა თუ იმ მონაწილე სახელმწიფოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის მისატაცებლად და უზურპაციისათვის.

IV. სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა

მონაწილე სახელმწიფოები პატივისცემით მოეკიდებიან თითოეული მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას.

ამის შესაბამისად ისინი თავს შეიკავებენ ყოველგვარი მოქმედებისაგან, როგორც შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებთან და პრინციპებთან, ამა თუ იმ მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური დამოუკიდებლობის ან ერთიანობის წინააღმდეგ და, კერძოდ, ყოველგვარი ისეთი მოქმედებისაგან, რომელიც ძალის ან ძალისმიერი მუქარის გამოყენებას წარმოადგენს.

მონაწილე სახელმწიფოები ასევე თავს შეიკავებენ იმისაგან, რომ ერთმა-

ნეთის ტერიტორია საერთაშორისო სამართლის დარღვევით გადაქციონ სამხედრო ოკუპაციის ან ძალის გამოყენების სხვა პირდაპირი თუ არაპირდაპირი ღონისძიებების ობიექტად ანდა შექენის ობიექტად ასეთი ღონისძიებების თუ მათი განხორციელების მუქარის დახმარებით. არავითარი ამგვარი ოკუპაცია თუ შექენა არ იქნება მიჩნეული კანონიერად“.

გაეროს 1970 წლის დეკლარაციისაგან ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირზე მიღებულ დეკლარაციას უმთავრესად ამ ორი პრინციპის ცალკე გამოყოფა და დეტალური ჩამოყალიბება განასხვავებს და პირველ რიგში სწორედ ამ პრინციპების გამო შეაფასა ეს თათბირი ლ. ი. ბრეჟნევიმ ჰელსინკში წარმოთქმულ სიტყვაში და შემდეგ ასევე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ როგორც მეორე მსოფლიო ომის აუცილებელი პოლიტიკური შედეგის შეჯამება³.

გაეროს დეკლარაციისაგან განსხვავებით ამ დეკლარაციაში ცალკე მეშვიდე პრინციპად არის ჩამოყალიბებული „პატივისცემა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისა, აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენათა თავისუფლების ჩათვლით“.

ყველა სახელმწიფოში ადამიანის ძირითად დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზნით სახელმწიფოთა თანამშრომლობის აუცილებლობა საყოველთაოდ იქნა აღიარებული მეორე მსოფლიო ომის მწარე გამოცდილებასთან დაკავშირებით. ასეთი აღიარება იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში იმ ჰუმანიტარული მრავალგზის აღნიშვნა, რომ საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად დემოკრატიულია ადამიანის უფლებრივი მდგომარეობა ცალკეულ სახელმწიფოებში. აქედან გამომდინარე, წესდება გაეროს ერთ-ერთ მიზნად აცხადებს საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელებას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის წახალისება-განვითარებაში ყველასათვის, რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად (მ. I, პ. 3).

გაერომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ჯერ კიდევ 1948 წელს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, რომლის პრეამბულა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვინაიდან ადამიანის ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელი ღირსების და მისი თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს, ვინაიდან ადამიანის უფლებათა უგულვებელყოფამ და აბუჩად აგდებამ გამოიწვია ბარბაროსული აქტები, ვინაიდან აუცილებელია ხელის შეწყობა ხალხთა შორის მეგობრულ ურთიერთობათა განვითარებისათვის და ა. შ. — ამიტომ გენერალური

³ ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ახლახან (1975 წლის 7 ოქტომბერს) დადებული მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის: ხელშეკრულების პრეამბულაში მხარეები აცხადებენ, რომ „უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებენ ყოველგვარი ხელყოფისაგან ორივე სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვის საქმეს“, ხოლო ხელშეკრულების მე-6 მუხლში ვკითხულობთ, რომ მათ „ევროპაში სახელმწიფო საზღვრების ურღვევობა მიიჩნით ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის უმთავრეს წინამძღვრად...“.

ასამბლეა აცხადებს ამ დეკლარაციას ისეთ ამოცანად, რომლის შესრულებას უნდა ელტვოდეს ყველა ხალხი და ყველა სახელმწიფო...

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დაცვის სფეროს განეკუთვნება გაეროს მიერ მიღებული ზოგიერთი სხვა დეკლარაცია, მაგალითად, ბავშვის უფლებათა დეკლარაცია (1959 წ.), დეკლარაცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის მოსპობის შესახებ (1963 წ.), დეკლარაცია ქალთა დისკრიმინაციის მოსპობის შესახებ (1967 წ.), დეკლარაცია ტერიტორიული თავშესაფრის შესახებ (1967 წ.). ყოველ ასეთ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტში დადასტურებულია ადამიანის შინასახელმწიფოებრივი სამართლებრივი სტატუსის ამა თუ იმ მხარის უშუალო კავშირი საერთაშორისო მშვიდობის დაცვა-განმტკიცების ამოცანებთან. ჩვენ ვლაპარაკობთ ადამიანის შინასახელმწიფოებრივ სამართლებრივ სტატუსზე იმიტომ, რომ საერთოდ პიროვნების სამართლებრივ მდგომარეობას შინასახელმწიფოებრივი (ნაციონალური) სამართალი განსაზღვრავს და „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაც“ და დასახელებული სხვა დეკლარაციებიც ისეთ პრინციპებს აცხადებენ, რომელთა რეალიზაცია ცხოვრებაში მოითხოვს სახელმწიფოს მხრივ გარკვეული შინასახელმწიფოებრივი ღონისძიებების, მათ შორის პირველ რიგში საკანონმდებლო ღონისძიებების გატარებას. მაშასადამე, ეს პრინციპები უპირველესად ნაციონალური სამართლის პრინციპებია, მაგრამ ამავე დროს საერთაშორისო სამართლებრივიც, რადგან მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა დიდად არის დამოკიდებული მათს რეალიზაციაზე და ამიტომაც მათი ჩამოყალიბება საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებში სახელმწიფოთა შეთანხმების საგანს წარმოადგენს.

გაეროს მიერ დეკლარირებულ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დეტალიზაციას და შემდგომ განვითარებას შეიცავს გაეროს თაოსნობითვე დადებული სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებშიც დეკლარაციების პრინციპები ხელშეკრულების ხელმომწერ სახელმწიფოთა კონკრეტული ვალდებულებების სახით არის ჩამოყალიბებული. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია 1966 წელს მიღებული ორი საერთაშორისო ფაქტი ადამიანის ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა და ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, რომელთა რატიფიკაცია საბჭოთა კავშირმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა მოახდინა.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მეორე მსოფლიო ომის გამჩაღებელი სწორედ ევროპული სახელმწიფო — ჰიტლერული გერმანია იყო, სადაც აგრესიული ომის მოსამზადებლად ფეხქვეშ ითვლებოდა ადამიანის დემოკრატიული უფლებები და თავისუფლებები, და რომელიც ომის დროს სავსებით უგულებელყოფდა ომის სამართლის ელემენტარულ ჰუმანურ საწყისებს, ვასაგები გახდება, თუ რატომ იქნა ცალკე პრინციპად ჩამოყალიბებული ევროპის უშიშროების ფუძემდებელ დოკუმენტში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა. ამაზე მეტყველებს აგრეთვე ამ პრინციპის განმარტების ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა არსებითი ფაქტორია მშვიდობის, სამართლიანობის და კეთილდღეობისა, რაც აუცილებელია მეგობრულ ურთიერთობათა და თანამშრომლობის განვითარების უზრუნველსაყოფად როგორც „დასკვნითი აქტის“ მონაწილე სახელმწიფოებს შორის, ასევე საერთოდ ყველა სახელმწიფოს შორის.

ევროპის თათბირზე მიღებულ დეკლარაციაში ჩამოყალიბებული დანარჩენი ექვსი პრინციპი მთლიანად ადასტურებს გაეროს 1970 წლის დეკლარაციის შესაბამის პრინციპებს, თუმცა მათი განმარტებები ასე თუ ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რასაც, რა თქმა უნდა, არსებითი მნიშვნელობა ვერ მიეცემა. ამიტომ შეიძლება საკმარისად მივიჩნიოთ ამ პრინციპების დასახელება და მცირედენი განმარტებანი.

ევროპული დეკლარაციის მეორე პრინციპია „ძალის ან ძალისმიერი მუქარის გამოუყენებლობა“, რაც შეესაბამება გაეროს დეკლარაციის ერთ-ერთ პრინციპს, რომლის თანახმად სახელმწიფოები თავიანთ საერთაშორისო ურთიერთობებში თავს იკავებენ ძალისმიერი მუქარის ან ძალის გამოყენებისაგან როგორც ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ასევე სხვა სახით, რაც შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებთან. ეს ფორმულირება ზუსტად იმეორებს გაეროს წესდების მეორე მუხლის მეოთხე პუნქტს, სადაც თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ამ ერთ-ერთმა უმნიშვნელოვანესმა პრინციპმა პირველად მოიპოვა საყოველთაო აღიარება.

ყველა წინა ეპოქის საერთაშორისო სამართალი, ბურჟუაზიული საერთაშორისო სამართლის ჩათვლით, ომს მიიჩნევდა საგარეო პოლიტიკის განხორციელების კანონიერ საშუალებად და ომის უფლებას — სუვერენული სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად უფლებად. ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენდა ერთა ლიგის წესდება, რომელიც თითქოს მშვიდობის უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად, მაგრამ ზოგ შემთხვევაში მაინც უშვებდა ომის, როგორც საერთაშორისო დავის გადაწყვეტის უკიდურესი საშუალების გამოყენების შესაძლებლობას. პრაქტიკულად უძლური აღმოჩნდა პარიზის 1928 წლის გენერალური პაქტი (ბრიან-კელოგის პაქტი), რომელმაც დაგმო ომი, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის იარაღი.

საერთაშორისო ურთიერთობებში ძალისა და ძალისმიერი მუქარის გამოყენების აკრძალვა და აგრესიის გამოცხადება უმძიმეს საერთაშორისო დანაშაულად თავიდანვე დაედო საფუძვლად საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას და საყოველთაო საერთაშორისო-სამართლებრივ პრინციპად დამკვიდრდა საბჭოთა კავშირის ხანგრძლივი და თანმიმდევრული მეცადინეობით, როგორც მშვიდობიანი თანაარსებობის ფუძემდებელი პრინციპი. გასაგებია, რომ მისი კვლავ დადასტურება ევროპაში უშიშროების უზრუნველსაყოფად ფრიად მნიშვნელოვანია და აუცილებელიც იყო. ამ პრინციპის განმარტებაში, რომელსაც ევროპული დეკლარაცია იძლევა, ყურადღებას იპყრობს ერთი ახალი მომენტი: მონაწილე სახელმწიფოები აცხადებენ, რომ ისინი ერთმანეთთან ურთიერთობაში თავს შეიკავებენ აგრეთვე ძალისმიერი რეპრესალიის ყოველგვარი აქტებისაგან. ამით საფუძველი ეცლება საერთაშორისო სამართლის ზოგიერთი ბურჟუაზიული თეორეტიკოსის მტკიცებას იმის შესახებ, თითქოს სახელმწიფოს უფლება ჰქონდეს ძალისმიერი რეპრესალია გამოიყენოს მეორე სახელმწიფოს არამართლზომიერი აქტის საპასუხოდ.

ძალისა და ძალისმიერი მუქარის აკრძალვიდან თავისთავად გამომდინარეობს საერთაშორისო დავის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის აუცილებლობა — პრინციპი, რომელიც ჩამოყალიბებულია გაეროს წესდებაში (მ. 2, პ. 3; მ. 33) და რომლის დადასტურება სათანადო განმარტებითურთ ერთნაირად არის მო-

ცემული როგორც გაეროს 1970 წლის დეკლარაციაში, ასევე ეგროპულ დეკლარაციაში (მ. V). მსგავსად ამისა, ორივე დეკლარაცია აცხადებს აგრეთვე შემდეგ პრინციპებს: შინაგან საქმეებში ჩაურევლობას, ხალხთა თანასწორუფლებიანობასა და მათ უფლებას განაგონ თავიანთი ბედი (თვითგამორკვევის პრინციპი), სახელმწიფოთა თანამშრომლობას, საერთაშორისო სამართლით ნაკისრ ვალდებულებათა კეთილსინდისიერ შესრულებას.

ამ პრინციპებს ორივე დეკლარაცია დაახლოებით ერთნაირად განმარტავს; განსხვავებები არაა არსებითი და ამიტომ მათი ანალიზი სცდება წინამდებარე წერილის ფარგლებს. ამავე დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ეგროპული დეკლარაციის პრინციპების სრული იურიდიული სავალდებულობა „დასკვნითი აქტის“ მონაწილე სახელმწიფოებისათვის. საქმე ისაა, რომ საერთაშორისო სამართლის დოქტრინაში (საბჭოთა ავტორების ჩათვლით) არაა ერთიანი თვალსაზრისი იმ პრინციპთა იურიდიული ძალის შესახებ, რომლებიც ჩამოყალიბებულია მარტოოდენ დეკლარაციის და არა საკუთრივ საერთაშორისო ხელშეკრულების სახით. კერძოდ, გაეროს დეკლარაციებს, როგორც წესი, არ მიიჩნევენ საერთაშორისო სამართლის წყაროდ. ასეთ თვალსაზრისს ვერ დავეთანხმებით და მას არც საერთაშორისო-სამართლებრივი პრაქტიკა არ ამართლებს⁴.

მით უმეტეს, ვერ დავეჭვდებით ეგროპული დეკლარაციის პრინციპთა იურიდიულ სავალდებულობაში: ჯერ ერთი, როგორც დავინახეთ, ეს პრინციპები საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული (კერძოდ, გაეროს წესდებით) პრინციპებია⁵ ან, ცალკეულ შემთხვევებში, რომელიმე მათგანის დაზუსტება-განვითარებაა. მეორე — დეკლარაცია შემადგენელი ნაწილია „დასკვნითი აქტისა“, რომელიც არსებითად საერთაშორისო შეთანხმებაა, ხელმოწერილი 36 სახელმწიფოს სახელით; მესამე — „დასკვნითი აქტის“ ამავე ნაწილში („საკითხები, რომლებიც განეკუთვნებიან უშიშროებას ეგროპაში“) დეკლარაციასთან ერთად მოცემულია ქვეგანყოფილება 1: — „საკითხები, რომლებიც განეკუთვნებიან ზემოთ ჩამოყალიბებული ზოგიერთი პრინციპის განხორციელებას“. ასეთი დასათაურება უკვე იმაზე მიუთითებს, რომ დეკლარაციის პრინციპები მონაწილე სახელმწიფოების საერთაშორისო-სამართლებრივი პოზიციების თეორიული აბსტრაგირება კი არაა, არამედ ჩამოყალიბებულია პრაქტიკული შესრულებისათვის, ე. ი. სავალდებულოა. თვით დეკლარაციის სათაურშიც არის გახაზული სავალდებულობის ეს მომენტი („დეკლარაცია პრინციპებისა, რომლებითაც მონაწილე სახელმწიფოები იხელმძღვანელებენ ერთმანეთთან ურთიერთობაში“), რაც ასე მკვეთრად არაა გამოთქმული გაეროს 1970 წლის დეკლარაციის სახელწოდებაში.

„საკითხები...“ შეიცავს დებულებებს, რომლებსაც, დეკლარაციის პრინციპების შესაბამისად, „პატივისცემით მოეკიდებიან და შეასრულებენ“ მონაწილე

⁴ იხ. გ. უჯანია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი საერთაშორისო სამართლის განვითარებაში, „მეცნიერება“, 1974, გვ. 72—95.

⁵ დეკლარაციის მეათე პრინციპის („საერთაშორისო სამართლით ნაკისრ ვალდებულებათა კეთილსინდისიერად შესრულებას“) განმარტებაში ნათქვამია: „მონაწილე სახელმწიფოები კეთილსინდისიერად შეასრულებენ საერთაშორისო სამართლით ნაკისრ ვალდებულებებს, როგორც იმ ვალდებულებებს, რომლებიც გამოდინარობენ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან და ნორმებიდან, ასევე იმ ვალდებულებებს, რომლებიც გამოდინარობენ საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ხელშეკრულებებიდან და სხვა შეთანხმებებიდან, რომელთა მონაწილენი ისინი არიან“.

სახელმწიფოები და რომლებშიც უფრო დაწვრილებით არის განსაზღვრული, უპირველეს ყოვლისა, ძალისა და ძალისმიერი მუქარის აკრძალვის და საერთაშორისო დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის პრინციპებიდან გამომდინარე საერთაშორისო ვალდებულებები. ამ ვალდებულებათა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რაც ყველაზე უფრო საიმედო მატერიალური ბაზის შექმნას ითვალისწინებს მათ შესასრულებლად. ასეთია, სახელდობრ, მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულება მიიღონ ეფექტური ზომები, რომლებიც მათი მასშტაბისა და ხასიათის მეოხებით წარმოადგენენ ნაბიჯებს საბოლოო ჯამში საყოველთაო და სრული განიარაღების მისაღწევად მკაცრი და ეფექტური საერთაშორისო კონტროლის ქვეშ.

ფრიად საყურადღებოა აგრეთვე გადაწყვეტილება, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა განაგრძონ დავების მშვიდობიანი მოგვარების საყოველთაოდ მისაღები მეთოდის შემუშავება იმისათვის, რათა შეავსონ უკვე არსებული და გაეროს წესდების 33-ე მუხლში ჩამოთვლილი მშვიდობიანი საშუალებანი; * მიზნით უნდა მოეწყოს მათი ექსპერტების თათბირი (იგი გაიმართება მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების შეხვედრის შემდეგ, რომელიც დაგეგმილია 1977 წლისათვის).


* * *

როგორც უკვე ითქვა, თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა გადაწყვეტილებანი ევროპაში უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ მოცემულია არა მარტო დეკლარაციისა და ზემოაღნიშნული „საკითხების“ სახით, არამედ აგრეთვე „დასკვნითი აქტის“ ამავე ნაწილის მეორე განყოფილებაში, რომელსაც ეწოდა „დოკუმენტი ნდობის განმტკიცების ღონისძიებებისა და უშიშროებისა და განიარაღების ზოგიერთი ასპექტის შესახებ“.

„დოკუმენტის“ დიდი მნიშვნელობა იმ მარტივი ჭეშმარიტებიდან გამომდინარეობს, რომ ევროპაში უშიშროების უზრუნველყოფა დეკლარაციაში ჩამოყალიბებული პრინციპების საფუძველზე, ე. ი. ევროპის საერთაშორისო ურთიერთობებში ამ პრინციპების განუხრელი დაცვა წარმოუდგენელია, თუ სახელმწიფოთა შორის დაძაბულობა არ განიმუხტა და მათი ურთიერთნდობა არ განმტკიცდა. განსხვავებით შინასახელმწიფოებრივი, ნაციონალური სამართლისაგან, რომლის ქმედითობა სუბორდინაციას გულისხმობს, საერთაშორისო სამართალი კოორდინაციის სამართალია და მასზე დამყარებული წესრიგი ანუ საერთაშორისო მართლწესრიგი სტაბილური შეიძლება იყოს მხოლოდ სამართლის სუბიექტების — სახელმწიფოების ურთიერთნდობის პირობებში.

ასეთი ნდობის განმტკიცების პირველ ღონისძიებად „დასკვნით აქტში“ დასახულია მონაწილე სახელმწიფოების მიერ წინასწარი შეტყობინება ერთმანეთისათვის ყოველი დიდი სამხედრო წვრთნის შესახებ, რომლის ჩატარებას რომელიმე მათგანი დააპირებს. კერძოდ, წინასწარი შეტყობინება აუცილებელია როცა წვრთნაში მონაწილეობას მიიღებენ სახმელეთო ჯარები 25.000-ზე მეტი კაცის რაოდენობით დამოუკიდებლად ან სამხედრო-საჰაერო თუ სამხედრო-საზღვაო კომპონენტებთან ერთად და აგრეთვე მაშინ, თუ ჯარების რაოდენობა ნაკლებია, მაგრამ წვრთნაში მათთან ერთად მონაწილეობს ამფიბიური ან საჰაერო-სადესანტო ჯარების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

წინასწარი შეტყობინების აუცილებლობის მეორე პირობაა დიდი სამხედრო წვრთნის ჩატარება ევროპაში რომელიმე მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორია-



ზე ან მასთან მიმდებარე საზღვაო რაიონში და საჰაერო სივრცეში, აგრეთვე ევროპის სახელმწიფოს არაევროპულ ტერიტორიაზე 250 კილომეტრის ფარგლებში სახელმწიფო საზღვრიდან, რომელიც საერთოა რომელიმე მონაწილე სახელმწიფოსთან ან მხოლოდ მისკენაა მიქცეული. „დოკუმენტი“ განსაზღვრულია წინასწარი შეტყობინების ვადები და შესატყობინებელი ინფორმაციის ელემენტები, გათვალისწინებულია შესაძლებლობა წინასწარი შეტყობინებისა ნაკლები მასშტაბის სამხედრო წვრთნის შესახებ, დადგენილია, რომ მონაწილე სახელმწიფოები ნებაყოფლობით და ორმხრივ საფუძველზე მიიწვევენ ერთმანეთის მეთვალყურეებს სამხედრო წვრთნაზე დასასწრებად.


მნიშვნელოვანია აგრეთვე „დოკუმენტის“ დებულება, რომ მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ ურთიერთდობის განსამტკიცებლად წინასწარ შეატყობინონ ერთმანეთს თავიანთი ჯარების დიდ გადაადგილებათა შესახებ და რომ ისინი ხელს შეუწყობენ სამხედრო პერსონალთა ურთიერთმიწვევას, მათ შორის სამხედრო დელეგაციათა ვიზიტებს.

ეს ღონისძიებანი, ცხადია, პირველ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ევროპაში სამხედრო დაძაბულობის შესანელებლად პირველ რიგში ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციას შორის. მაგრამ ამასთან ერთად „დოკუმენტი“ აღნიშნულია მონაწილე სახელმწიფოთა საერთო დაინტერესება იმით, რომ მათი მეცადინეობა მიმართული იყოს სამხედრო კონფრონტაციის შემცირებისაკენ და განიარაღებისათვის ხელის შესაწყობად, რამაც უნდა შეავსოს პოლიტიკური დაძაბულობის შენელება ევროპაში და განამტკიცოს მათი უშიშროება, გამოთქმულია რწმენა ამ დარგებში ეფექტურ ღონისძიებათა აუცილებლობისა, რათა საბოლოო ჯამში მიღწეულ იქნეს საყოველთაო და სრული განიარაღება მკაცრი და ეფექტური საერთაშორისო კონტროლის ქვეშ, რამაც უნდა უზრუნველყოს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება მთელს მსოფლიოში.

„დოკუმენტის“ ბოლო ნაწილში („ზოგადი მოსაზრებები“) საგანგებოდაა გახაზული ის ჭეშმარიტება, რომ უშიშროების პოლიტიკური და სამხედრო ასპექტები ერთმანეთს ავსებენ, რომ მჭიდრო კავშირი არსებობს, ერთი მხრივ, თითოეული მონაწილე სახელმწიფოს უშიშროებასა და მთლიანად ევროპის უშიშროებას შორის და, მეორე მხრივ, საყოველთაო უშიშროების ასპექტში, — ევროპის უშიშროებასა და ხმელთაშუა ზღვაში უშიშროებას შორის.

აქედან გამომდინარე, ევროპის თათბირზე ჯეროვანი ყურადღება დაეთმო ხმელთაშუა ზღვის რეგიონში უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებს, რომელთა გამო თათბირის მიმართ თავიდანვე გამოიჩინეს დაინტერესება ხმელთაშუა ზღვის არაევროპულმა სახელმწიფოებმა. ამ ქვეყნების, სახელდობრ, ალჟირის, ეგვიპტის, ისრაელის, მაროკოს, სირიისა და ტუნისის მიერ თათბირის მეორე ეტაპის სხდომების დროს შეტანილი წვლილი აღინიშნა კიდევ „დასკვნითი აქტის“ პრეამბულაში. ასეთი დაინტერესებისა და წვლილის გათვალისწინებით თათბირის მონაწილე სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ მათი განზრახვაა ხელი შეუწყონ კეთილმეზობლურ ურთიერთობათა განვითარებას ხმელთაშუა ზღვის სახელმწიფოებთან, რომლებიც თათბირში არ მონაწილეობენ, ამ ურთიერთობებში იხელმძღვანელონ თათბირზე მიღებული დეკლარაციის პრინციპებით, იზრუნონ ხმელთა შუა ზღვის რაიონში უშიშროებისა და სტაბილურობისათვის, კერძოდ, შეიარაღებული ძალების შემცირებისათვის, დაძაბულობის შესანელებლად და ა. შ.

1979



ევროპაში უშიშროების უზრუნველსაყოფად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა იმ გადაწყვეტილებებსაც, რომლებიც ჩაწერილია „დასკვნითი აქტის“ ბოლო ნაწილში სათაურით — „თათბირის შემდგომი ნაბიჯები“. აქ ფიქსირებულია მონაწილე სახელმწიფოთა განზრახვა განხორციელონ თათბირის „დასკვნითი აქტის“ დებულებები, რათა სრული ქმედითობა მიანიჭონ თათბირის შედეგებს; სახელდობრ, მათ გადაწყვეტილი აქვთ თათბირის შემდგომ პერიოდში ჯეროვანად გაითვალისწინონ და შეასრულონ „დასკვნითი აქტის“ დებულებანი როგორც ცალმხრივ აქციებში, ასევე ორმხრივად, ერთმანეთთან მოლაპარაკების გზით, და აგრეთვე მრავალმხრივად, მათი ექსპერტების შეხვედრებით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა სწორედ თათბირით დაწყებული მრავალმხრივი პროცესის განგრძობას, სახელდობრ, მონაწილე სახელმწიფოებს შორის აზრთა ურთიერთგაცვლას „დასკვნითი აქტის“ დებულებებისა და თათბირით დასახული მიზნების განხორციელების თაობაზე და ამ მიზნით მათი წარმომადგენლების შეხვედრათა მოწყობას. პირველი ასეთი შეხვედრა საგარეო საქმეთა მინისტრების წარმომადგენელთა დონეზე გაიმართება ბელგრადში 1977 წელს და იგი განსაზღვრავს პირობებს მომდევნო შეხვედრების მოსაწყობად, რაც მოიცავს აგრეთვე ახალი თათბირის მოწვევის შესაძლებლობას.

ამგვარად, „დასკვნითი აქტი“ არსებითად იმის აუცილებლობას აღიარებს, რომ ევროპაში უშიშროების შემდგომი უზრუნველყოფა კვლავაც ხორციელდებოდეს თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა ერთობლივი, ურთიერთშეთანხმებული მეცადინეობით.

* * *

საერთოევროპული თათბირის მოწვევა და, მით უმეტეს, მისი დიდი წარმატება შესაძლებელი გახდა საბჭოთა კავშირისა და მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხანგრძლივი და დაძაბული ბრძოლით სხვადასხვა საზოგადოებრივი წესწყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად და გამალებული შეიარაღების აღსაკვეთად. თათბირის მოწვევის წინადადება პირველად წამოყენებულ იქნა „დეკლარაციით ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების შესახებ“, რომელიც 1966 წელს ბუქარესტში მიიღო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკურმა საკონსულტაციო კომიტეტმა. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს კომუნისტური და მუშათა პარტიების სხვადასხვა ფორუმებმა, ხსენებულ პოლიტიკურ საკონსულტაციო კომიტეტში კონკრეტული პროგრამაც იქნა შემუშავებული საერთოევროპული თათბირის ჩასატარებლად და ამ იდეამ დიდი პოპულარობა მოიხვეჭა მშვიდობის დაცვის საერთაშორისო მოძრაობაში. 1969 წლის მაისში ფინეთის მთავრობამ განაცხადა, რომ მზად იყო ეკისრა საერთოევროპული თათბირის უშუალო ორგანიზატორის მისია და ამ მიზნით მოეწვია წინასწარი საკონსულტაციო შეხვედრა.

საერთოევროპული თათბირის მოწვევასა და წარმატებიდ დაგვირგვინებს გზა გაუკაფა სსრ კავშირის დიპლომატიურმა აქციებმა ევროპაში საერთაშორისო მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის, სახელდობრ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის 1970 წლის 12 აგვისტოს დადებულმა ხელშეკრულებამ, რასაც მოჰყვა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან ხელშეკრულებების დადება პოლონეთის (1970 წ.), გერმანიის დემოკრატიული

რესპუბლიკის (1972 წ.) და ჩეხოსლოვაკიის (1973 წ.) მხრივ, აგრეთვე ოთხმხრივი შეთანხმების დადება დასავლეთ ბერლინის თაობაზე სსრ კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის (1971 წ.) ამ საერთაშორისო ხელშეკრულებებმა გადაჭრეს ყველაზე უფრო მწვავე პოლიტიკური და ტერიტორიული საკითხები ცენტრალურ ევროპაში და ამით განამტკიცეს მეორე მსოფლიო ომის საერთაშორისო-სამართლებრივი შედეგები. რა თქმა უნდა, საერთოევროპული თათბირის წარმატებას დიდად შეუწყობ ხელი საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის განუხრელად გატარებამ საერთოდ დაძაბულობის შესანელებლად და ომის საფრთხის ლიკვიდაციისათვის, პირველ ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობაში (1973—1975 წლების შეთანხმებები ბირთვული ომის თავიდან აცილების თაობაზე, სტრატეგიულ შეიარაღებათა შეზღუდვის შესახებ და სხვ.), აგრეთვე საბჭოთა კავშირის შეთანხმებებმა საფრანგეთთან, იტალიასთან და დიდ ბრიტანეთთან.

ყოველივე ეს სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული „მშვიდობის პროგრამის“ თანმიმდევრული შესრულება იყო; თვით საერთოევროპული თათბირის მოწვევა და ამ თათბირზე ისტორიული მნიშვნელობის შეთანხმებათა მიღწევა ევროპაში უშიშროების უზრუნველსაყოფად ასევე „მშვიდობის პროგრამით“ იყო გათვალისწინებული და ამ პუნქტის ესოდენ დიდი წარმატებით შესრულება ჩვენი პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს ბრძნული ლენინური საგარეო პოლიტიკის ახალ ტრიუმფს წარმოადგენს. „დასკვნითი აქტის“ ხელმოწერის წინ, 1975 წლის 31 ივლისს ჰელსინკიში ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა ურთიერთობანი ამიერიდან ემყარება ფუძემდებელი პრინციპების სოლიდურ ბაზას და თუ აქ კომპრომისებია, ეს კომპრომისები საფუძვლიანია, ისეთი, რომლებიც სასარგებლოა მშვიდობისათვის და არ შლის განსხვავებას იდეოლოგიასა და საზოგადოებრივ სისტემებში. „უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, — განაცხადა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ეს არის მონაწილე სახელმწიფოთა საერთო პოლიტიკური ნების გამოხატულება იმ სახით, რა სახითაც ამის მიღწევა დღეს შესაძლებელია განსხვავებული სოციალური წესწყობილების სახელმწიფოთა არსებობის პირობებში“.

ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში სავსებით მართებულად გაესვა ხაზი იმ გარემოებას, რომ სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცების თვისებრივად ახალ საფეხურს წარმოადგენს პოლიტიკური დაძაბულობის შენელების შევსება სამხედრო დაძაბულობის შენელებით, რაც დამახასიათებელია თათბირზე მიღებული დიდმნიშვნელოვანი შეთანხმებებისათვის. აქედან გამომდინარე, ლ. ი. ბრეჟნევმა თათბირის საერთო შედეგად მიიჩნია ის, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება სულ უფრო მეტი მოცულობით იგება კონკრეტული მატერიალური შინაარსით. „სწორედ დაძაბულობის შენელების მატერიალიზაცია — აი რა არის საქმის არსი, ყოველივე იმის არსი, რამაც ევროპის მშვიდობა ნამდვილად მტკიცე და ურყევი უნდა გახადოს“ — განაცხადა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურმა ხელმძღვანელმა.

საერთოევროპული თათბირის ისტორიული მნიშვნელობის პოზიტიურ შედეგებს მტრულად შეხვდნენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგენი, ის რეაქციული ძალები, რომლებიც ლამობენ „ცივი ომის“ დრო მოაბრუნონ და ჯერ კიდევ იმედოვნებენ, რომ მსოფლიოს გათიშვით სამხედრო-პოლიტიკურ დაჯგუფებებად ინდუსტრიული და განვითარებადი ქვეყნების ინ-

ტერესთა ხელოვნური დაპირისპირებით გამალებული შეიარაღების პირობებში და ძალის პოზიციებიდან მოახვიონ თავს საბჭოთა კავშირსა და მოძმე სოციალისტურ სახელმწიფოებს თავიანთი იმპერიალისტური ამბიციების განხორციელება. ამ ბანაკში აღმოჩნდა ჩინეთის მათისტური მთავრობაც. ეჭვი არაა, რომ ამ უკანასკნელის გავლენით გამოეთიშა თათბირს ერთადერთი ევროპული სახელმწიფო — ალბანეთი, მაშინ როცა თათბირში მონაწილეობა მიიღეს და „დასკვნით აქტს“ ხელი მოაწერეს ისეთმა მცირე სახელმწიფოებმაც კი (ე. ი. „ჯუჯა“ სახელმწიფოებმა), როგორცაა სან-მარინო, მონაკო და ლინტენშტაინი, რომელთა საერთაშორისო ქმედობაუნარიანობა, ობიექტურ გარემოებათა გამო, საერთოდ შეზღუდულ ფარგლებში ხორციელდება.

შეიძლება ითქვას, რომ საერთოევროპული თათბირი, როგორც „გონების გამარჯვება“ (ლ. ი. ბრეჟნევი), როგორც ჩვენი დროის საერთაშორისო პროგრესის კანონზომიერებათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოვლინება, ნიშანსვეტად შევა საერთაშორისო დაძაბულობის შეუქცევადი პროცესის ისტორიაში.

ახალი კანონი სასაკმებლო წიაღისეულის შესახებ

პროფ. ნ. ლომსაძე

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენების პრობლემა ჩვენში საყოველთაო-სახალხო საქმედ იქცა. სსრ კავშირი მძლავრი და ყოველმხრივ მდიდარი სახელმწიფოა, მოპოვებითი და დამუშავებითი მრეწველობის მოწინავე ქვეყანაა. მას აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრე და უშრეტეი სასარგებლო წიაღისეული გააჩნია.

არცერთ ქვეყანას არ მოეპოვება ქვანახშირის და ტორფის ისე დიდი მარაგი, როგორც საბჭოთა კავშირს. დიდი მასშტაბით გამოყენებულია თხევადი და ბუნებრივი საწვავი გაზი. საბჭოთა კავშირი ცნობილია მინერალური ნედლეულით და სხვა სასარგებლო წიაღისეული სიმდიდრეთა უდიდესი მარაგით.

საბჭოთა წყობილების პირობებში შესაძლებელი გახდა წიაღისეული სიმდიდრის აღმოსაჩინად ძიების ჩატარება ფართო მასშტაბით, ახალ-ახალი საბადოების აღმოჩენა, მოპოვებითი და დამუშავებითი მრეწველობის განვითარება.

ჭიათურის მარგანეცის საბადოს მარაგის მხრივ, მეორე ადგილი უჭირავს მსოფლიოში (პირველ ადგილზეა ნიკოპოლის საბადო უკრაინის სსრ-ში), ხარისხით კი ყველაზე საუკეთესოა. 1928 წლის აგვისტოდან ჰარიმანის კონცესიის გაუქმების შემდეგ ჭიათურაში უდიდესი სამუშაოები განხორციელდა. ჭიათურის მარგანეცის მადნის დიდ ნაწილს იყენებს ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხანა ფერომარგანეცის მისაღებად, ნაწილი იგზავნება საბჭოთა კავშირის მეტალურგიულ ქარხნებში, ნაწილი კი საზღვარგარეთ გააქვთ.

საქვეყნოდ აღიარებულია საქართველოს დიატომიტის (ინფუზორული მიწის) საბადო, ანტეზიტი — ქიმიური მყავების გამძლე ქვა, ტეშენიტი — ქართული მარმარილო, რომელიც თავისი ხარისხით არ ჩამოუვარდება იტალიის ნაქებ კარარის მარმარილოს, ფერადი ლითონი, რომელიც ბუნებაში სხვა ქიმიურ ელემენტებთან შენაერთის სახით გვხვდება. გავაჩნია რკინა, ეკლარის თეთრი ქვა, ტუფი, გრანიტი, ქვაკირი, აქატი, ტალკი, ცარცი, გაჯი, თაბაშირი, გოგირდი, ცეცხლგამძლე თიხა. საქართველოს გუმბრინის თიხა უფრო მაღალი ხარისხისაა, ვიდრე ფლორიდის თიხა. წინათ კი ამგვარი თიხა საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა. სოფელ ასკანის მიდამოებში თეთრი თიხის ვეებერთელა საბადოებია.

საქართველოს სსრ ცნობილია აგრეთვე ჰიდროენერჯის იაფი და დიდი მარაგით, მდიდარი მინერალური სამკურნალო წყლებით და ტალახით.

შეუძლებელია წიაღისეული სიმდიდრის მიგნება, მოპოვება, დამუშავება და გამოყენება სამართლებრივი მოწესრიგების გარეშე. ბუნების თვითმყოფადი სიკეთით სარგებლობა, ქვის, ხის დამუშავება და ნაკეთობანი შორეულ წარ-

სულში ხალხის მიერ შემუშავებული წესების მიხედვით ხდებოდა. დროთა მსვლელობაში, როდესაც ქვის, კაყის და პრიმიტიული იარაღების შემდეგ ჩნდება ლითონი, წიაღისეული სიმდიდრის გამოყენებაც მაღალ დონეზე ააღის. აუცილებელი ხდება მათი სამართლებრივი რეგულირება.

ძველად წიაღისეულ სიმდიდრეზე გამოცემული კანონები უმთავრესად ადგილობრივ მცხოვრებთა ადათ-ჩვეულებათა მიხედვით იყო შედგენილი. ქართულ ადათ-ჩვეულებათა საფუძველზე მიღებულია ვახტანგ VI სამართალი, რომლითაც დაკანონდა ადგილმამულით (ტყით, წყლით, წიაღით) სარგებლობის წესი და პირობები. სხვათა შორის მაშინ დანიშნული (დაჩემებული) ხის, ქვის, თიხის ან რაიმე ნაკეთობის მითვისება ან მოპარვა დიდ სირცხვილად ითვლებოდა.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და გამოყენების თვალთახედვით საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში მიღებულია მეტად მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტები. თავის დროზე მათ უადრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ.

ამჟამად ბუნებრივ სიმდიდრეთა მოპოვების, გამოყენებისა და მოხმარების სამართლებრივი რეჟიმი რეგულორდებოდა მოსამზადებელი აქტებით. არსებობდა სპეციალური კანონმდებლობა, სამთო-მადნო კანონმდებლობის სახელწოდებით, რომელიც სასარგებლო წიაღისეულის უფლებრივი რეჟიმის განსაზღვრასთან ერთად მოპოვება — გამოყენების ზუსტ რეგლამენტაციას ახდენდა. ეს გარემოება სამთო კანონმდებლობის დამოუკიდებლად არსებობის აუცილებლობაზე მიგვანიშნებს.

წიაღის დაცვის შემდგომი გაძლიერებისა და სასარგებლო წიაღისეულის გაიყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა სრულყოფისათვის სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭოს სესიამ 1975 წლის 9 ივლისს მიიღო „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძვლები“, რომელიც 11 კარისა და 51 მუხლისაგან შედგება და ძალაში შედის 1976 წლის იანვრიდან.

„საფუძვლები“ ითვალისწინებს სასარგებლო წიაღისეული სიმდიდრის რაციონალურად, კომპლექსურად გამოყენებასა და მკაცრად დაცვას.

ახალი სამთომადნო კანონმდებლობა ფუნდამენტალური და სრულყოფილი აქტია, რომელიც ყველასაგან მოითხოვს, რათა კეთილსინდისიერად და გონივრულად მოეპყროს ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს.

„საფუძვლების“ განსაზღვრით, წიაღი — ეს მიწის სიღრმეში და ზედაპირზე ბუნებრივად (თავისთავად) არსებული სიმდიდრეა, მყარი, თხევადი თუ გაზობრივი სახის თვითმყოფადი რესურსებია, რომელიც მოიპოვება — ათვისების შედეგად სამრეწველო, სამეურნეო და სამომხმარებლო-საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის გამოიყენება. საკანონმდებლო ტერმინით მათ სასარგებლო წიაღისეული ეწოდება, ხოლო იმ ადგილს, სადაც წიაღისეული ბუნებრივად (თავისთავად) გროვდება საბადო ეწოდება. რაც შეეხება წიაღისეული საბადოს დამუშავებას, აგრეთვე ამ მიზნით წარმოებულ მოსამზადებელ მუშაობას, დაზვერვას, ძებნას, ძიებას, რომელსაც წიაღის გეოლოგიურ შესწავლას უწოდებენ — რეწობა ჰქვია.

„საფუძვლების“ პრეამბულა და პირველ კარში მოცემული ზოგადი დებულებანი ეხება საბჭოთა წიაღის კანონმდებლობის მიზნებსა და ამოცანებს. განსაზღვრულია წიაღის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მნიშვნელობა, წიაღით სარ-

გებლობის უფლების სუბიექტები და ობიექტები, ხოლო მე-15 მუხლში ჩამოთვლილია წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები და წესი.

წიაღის გეოლოგიური შესწავლის ინსტიტუტს „საფუძვლების“ მეორე კარი ეთმობა, სადაც რეგლამენტირებულია მინერალური ნედლეულის კონდიციები, წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა სახელმწიფო რეგისტრაცია და სახელმწიფო აღრიცხვა, სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა პირველად-მოძიენ პირთა უფლებრივი რეჟიმი, რომელთათვის გასამჯელოს გადახდის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

მომდევნო მეოთხე კარში რეგლამენტირებულია სამთომომპოვებელ საწარმოთა, აგრეთვე იმ მიწისქვეშა ნაგებობათა დაპროექტება, მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაცემა, რომლებიც დაკავშირებული არ არიან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, ხოლო მეხუთე კარში ფიქსირებულია სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავება და იმ მიწისქვეშა ნაგებობათა ექსპლოატაციის წესი, რომლებიც დაკავშირებული არ არიან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან. აქვეა განსაზღვრული სამთომომპოვებელ საწარმოთა სრული ან ნაწილობრივი ლიკვიდაციისა და კონსერვაციის წესი, რომლის გეოლოგიური და მარკშიდერული დოკუმენტაცია შეივსება სამთო სამუშაოთა დამთავრებისთანავე და ინახება დადგენილი წესით.

მექვესე კარში გათვალისწინებულია წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხოება, რაც გჯლისხმობს მაღაროს ატმოსფერული ჰაერის შედგენილობის განუწყვეტლივ გაუმჯობესებას, სამთო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიის, კოლექტიური თუ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სრულყოფას, აგრეთვე პროფესიული დავადებებისა და საწარმოთა ტრავმატიზმის თავიდან აცილებას.

კანონით იკრძალება სამთო სამუშაოთა წარმოება იმ შემთხვევაში, თუ მოქმედ სამთო გამონამუშევრების მაღაროს ატმოსფეროში ჟანგბადის, აგრეთვე მანენდ და ფეთქებად საფრთხო გაზებისა და მტვრის შემცველობა არ შეესაბამება უსაფრთხოების, სანიტარული წესისა და ნორმების მოთხოვნებს. „საფუძვლების“ 37-ე მუხლში გათვალისწინებულია სამთო-საშველი სამსახურის ინსტიტუტი, რომელსაც ახორციელებენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები და წარმოება-დაწესებულებები მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად.

წიაღის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო ზედამხედველობის და გეოლოგიურ სამუშაოთა სწორად წარმოების სახელმწიფო კონტროლის სამართლებრივ საკითხებს აწესრიგებს „საფუძვლების“ მეშვიდე კარი, სადაც ჩამოთვლილია სახელმწიფო გეოლოგიური კონტროლისა და მშრომელთა დებულებების ადგილობრივი საბჭოების ორგანოების უფლება-მოვალეობანი, რომლებსაც უფლება აქვთ შეაჩერონ გეოლოგიური სამუშაოები, თუ ისინი არ შეესაბამებიან დამტკიცებულ პროექტს, ან ხორციელდება სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე, აგრეთვე ამ სამუშაოთა წარმოებისათვის განმსაზღვრელი წესებისა და ნორმების დარღვევის შემთხვევაში.

„საფუძვლებში“ ცალკე, მერვე კარი „წმინდა“ სამართლებრივ საკითხებს ეთმობა. 41-ე, 42-ე, და 43-ე მუხლები ითვალისწინებენ წიაღის კანონმდებლობის დარღვევისათვის და წიაღის არარაციონალურად გამოყენებისათვის პასუხისმგებლობას. ჩამოთვლილია სამართალდარღვევის შემთხვევები, პასუ-

ხისმგებლობის სახეები და უალტერნატივო პრინციპების მიხედვით განსაზღვრულია წამოჭრილი დავების გადაწყვეტისა და გამოწვეული ზარალის ანაზღაურების წესი. ქონებრივი ხასიათის დავა, იმ ზიანის მიყენების შედეგად გამოწვეული ზარალის ანაზღაურების შესახებ, რაც სამთომადნო მრეწველ ორგანიზაციებს შორის ან ამ ორგანიზაციაში მომუშავეთა და მოქალაქეთა შორის წამოიჭრება, განიხილება სახალხო სასამართლოში ქვემდებარეობით.

რაც შეეხება სამთომადნო წარმოების პროცესში წარმოშობილი არაქონებრივი დავების გადაჭრას, სახელდობრ სამთო მრეწველ ორგანიზაციასა და მიწათმოსარგებლეს შორის მიწის ზედაპირის ნაკვეთზე წარმოშობილი დავა, აგრეთვე პრეტენზიები მიწათსარგებლობის უფლების დარღვევის ან უკანონოდ შეწყვეტის გამო წყდება საუწყებო ორგანოების მიერ ადმინისტრაციული წესით და საარბიტრაჟო ქვემდებარეობით.

„საფუძვლებმა“ სსრ კავშირის სასარგებლო წიაღისეული კვლავ სახელმწიფო საკუთრებად აღიარა, რომელიც გაიცემა მარტოოდენ სარგებლობის და არა საკუთრების უფლებით, თანაც წიაღის ძირითად მოსარგებლე სუბიექტად სამთომომპოვებელი მრეწველობის საწარმო ითვლება.

ისეთი მოქმედება, რომელიც აშკარად თუ ფარული ფორმით არღვევს წიაღის ნაციონალიზაციის პრინციპს, ე. ი. წიაღის სახელმწიფო საკუთრების უფლებას, ბათილად ითვლება.

წიაღით თვითნებური სარგებლობა და სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ფართობების თვითნებური განაშენიანება დაუყოვნებლივ წყდება და ბრალეულ პირთა მიერ გაწეული ხარჯები არ ანაზღაურდება. კანონმდებელი „საფუძვლების“ 42-ე მუხლში უთითებს: „საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები და მოქალაქეები მოვალენი არიან ანაზღაურონ წიაღის კანონმდებლობის დარღვევით მიყენებულ ზარალი... თანამდებობის პირებსა და სხვა მუშაკებს, რომელთა მიზეზით საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა გასწიეს ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ხარჯები, მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ დადგენილი წესით“.

წარმოებებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს შეიძლება ჩამოერთვათ მათთვის გადაცემული მიწის ნაკვეთზე საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის, ტორფისა და მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების უფლება იმ შემთხვევაში, თუ დაარღვევენ მოპოვებისათვის დადგენილ წესსა და პირობებს.

„საფუძვლების“ მიზანია აქტიურად შეუწყოს ხელი წიაღის უფრო ეფექტურ და რაციონალურ გამოყენებას. ზოგან ეს პირობა ირღვევა. წულუკიძის რაიონის სოფელ მათხოჯისმთებში სამი წელი იმუშავა საქართველოს სსრ საწარმო-გეოლოგიური სამმართველოს ექსპედიციამ და გამოავლინა საღებავების მადნის დიდი მარაგი. აიგო საღებავების დამამზადებელი საამქრო და გადაეცა საქსპლოატაციოდ წულუკიძის რაიონის ადგილობრივ მრეწველობას. პირველ ხანებში საამქრო ნაყოფიერად მუშაობდა. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს დასკვნით აღნიშნული საამქრო გაუქმდა „არარენტაბელობის“ გამო და ამჟამად უმეტესადაა მიტოვებული მილიონ მანეთად ღირებული საწარმოო სიმძლავრეები.

მოქმედი კანონმდებლობა განძეულის, ზოგიერთი წიაღისეულის მოპოვე-

ბისა და სამთომადნო წესების დარღვევის ან შეუსრულებლობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც ითვალისწინებს.

მიწის წიაღიდან ამოღებული ოქროს ან სხვა ძვირფასი ლითონის ან ძვირფასი ქვების სახელმწიფოსათვის ჩაბარების წესების დარღვევისათვის, დამნაშავე პირი ისჯება ჯარიმით ათას მანეთამდე ამოღებულ ფასეულობათა კონფისკაციით. იგივე ქმედობა, რამაც სახელმწიფოს დიდი ზიანი მიაყენა — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე ქონების კონფისკაციით (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი 182-ე მუხლი).

სამთომადნო სამუშაოთა უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის დაწესებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 245-ე მუხლით სამთო სამუშაოთა უშიშროების დადგენილი წესების დარღვევა, თუ მას მძიმე შედეგი მოჰყვა, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე. იგივე ქმედობა, თუ მას სიკვდილი ან სხეულის მძიმე დაზიანება მოჰყვა, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთიდან ხუთ წლამდე ვადით.

* * *

ახლო მომავალში, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძვლების ბაზაზე, მოკავშირე რესპუბლიკები, მათ შორის საქართველოს სსრ მიიღებს შესაბამის კოდექსს.

საქართველოს სსრ სამთომადნო კოდექსში აისახება სახელმწიფო საკუთრების განსაკუთრებული უფლება წიაღზე, რაც საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შედეგად დამკვიდრდა.

სამთომადნო კოდექსის პრეამბულაში უნდა განისაზღვროს წიაღის ცნება — საერთოდ და სასარგებლო წიაღისეულის სახეობანი — განსაკუთრებით. მან უნდა მოაწესრიგოს წიაღისეულ საბადოთა რეწვის უფლებრივი რეჟიმი, დააკანონოს როგორც წიაღის, ასევე ბუნების სხვა სიმდიდრეთა რაციონალურად და ეფექტურად გამოყენება.

წიაღისეული სიმდიდრის გეგმაზომიერი და კომპლექსურად გამოყენების სტაბილობა, უზრუნველყოფს რესპუბლიკის საწარმოო ძალების სწორ განლაგებას და სახალხო მეურნეობის განვითარების სწრაფ ტემპს. ცალ-ცალკე მუხლებში განისაზღვრება წიაღის გეოლოგიური შესწავლის პროცედურა, სამთომომპოვებელ საწარმოთა, აგრეთვე იმ მიწისქვეშა ნაგებობათა დაპროექტების, მშენებლობის, საექსპლოატაციოდ გადაცემისა და ექსპლოატაციის წესები, რომლებიც დაკავშირებული არ არიან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან.

სამთომადნო კოდექსით დადგინდება წიაღისეულ სიმდიდრეთა სუბიექტები და ობიექტები, სარგებლობის წესი და პირობები, მოსარგებლეთა ძირითადი უფლება-მოვალეობანი, წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები. მოწესრიგდეს სასარგებლო წიაღისეულის დაცვასა და სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, წიაღის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო ზედამხედველობა და გეოლოგიურ სამუშაოთა წარმოების სახელმწიფო კონტროლი.

სამთომადნო კოდექსით აუცილებელია განისაზღვროს საქართველოს სს

რესპუბლიკის კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოების, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტთა კომპეტენცია წიაღისეულის მოპოვებისა და გამოყენების დარგში.

საქართველოს სსრ სამთომადნო კოდექსის დასკვნით კარში გათვალისწინებული უნდა იქნეს წიაღის კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა და წიაღის სარგებლობასთან დაკავშირებული დავის გადაჭრის წესი და პირობები.

წიაღის დაცვის კანონმდებლობის სრულყოფა და მისი სწორად გამოყენება, ხელს შეუწყობს გამარჯვებული სოციალისტური საზოგადოების შემდგომ განმტკიცებას, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, სოციალიზმიდან სრულ კომუნიზმში თანდათანობით გადასვლას.



საქართველო ოკუპანთა გავლელი პასუხისმგებლობის საკითხისათვის

პროფ. ნ. წამბიალი

წინამდებარე სტატიის მიზანია გავარკვიოთ სოციალისტურ ორგანიზაციათა მიერ ვალდებულებათა დარღვევის გამო პასუხისმგებლობის განსაზღვრისას ბრალის პრინციპის გამოყენების საკითხი.

მას შემდეგ, რაც სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებში და სამოქალაქო სამართლის მოქმედ კოდექსებში ბრალი სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ საფუძვლად არის აღიარებული, თითქოს უნდა შეწყვეტილიყო დისკუსია ერთის მხრივ „ბრალის პრინციპის“ და მეორის მხრივ „ზარალის მიყენების პრინციპის“ მომხრეთა შორის, რადგან სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 37-ე და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 219-ე მუხლებით ბრალი აღიარებულია როგორც პასუხისმგებლობის პირობა ვალდებულებათა დარღვევისათვის და იმ პირს, რომელმაც არ შეასრულა ვალდებულება ან არაჯეროვნად შეასრულა იგი, ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ ბრალის (განზრახვის ან გაუფრთხილებლობის) არსებობის დროს.

ამიტომ იურიდიულ ლიტერატურაში სავსებით სწორად არის ხაზგასმული, რომ საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობის ახლებური კოდიფიკაციის მთავარი მიღწევა სწორედ ბრალეული პასუხისმგებლობის აღიარებაა.

ეს პრინციპი ერთნაირად უნდა განხორციელდეს როგორც მოქალაქეთა, ისე სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის დამყარებულ ურთიერთობებში.

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენის პროცედურისგან განსხვავებით, სამოქალაქო კანონმდებლობით თავისი ბრალის არარსებობა უნდა დაამტკიცოს იმ პირმა, რომელმაც დაარღვია ვალდებულება.

ამგვარად ბრალი წარმოადგენს სამოქალაქო სამართალდარღვევის სუბიექტურ ელემენტს და მაშასადამე სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტურ საფუძველს.

როგორც ცნობილია, „ზარალის მიყენების პრინციპის“ მომხრეებს სრულიადაც არ აინტერესებთ მიყენებული ზარალის სუბიექტური მიზეზები. მათი აზრით, თუ სამართალსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ ზარალს შორის არსებობს გარეგანი ობიექტური მიზეზობრივი კავშირი, არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს ამ ზარალის გამომწვევ მიზეზთა გამოკვლევა. მთავარია განისაზღვროს ზარალის ოდენობა და დაეკისროს უწყისივრო კონტრაგენტს ან დელინკვენტს მიყენებული ზარალის ანაზღაურება. ამ პრინციპის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ თუ ზარალის ფაქტიურ მიმყენებელს ბრალი არ მიუძღვის, სრულიადაც არ არის ამაში დამნაშავე დაზარალებული და ამიტომ ზიანის მიმყენებელი ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზარალი, მიუხედავად მისი ბრალისა.

ამ თვალსაზრისის მომხრეები სთვლიან, რომ ბრალის მიჩნევა პასუხისმგებლობის სუბიექტურ საფუძვლად ე. ი. ბრალეული პასუხისმგებლობის აღიარება

სოციალისტურ ორგანიზაციათა ურთიერთობაში, მიგვიყვანდა სახელმწიკრულებო ვალდებულების შესრულებაში მათი პასუხისმგებლობის შესუსტებამდე.

გამოდიან რა ბრალის პრინციპის წინააღმდეგ, ზარალის მიყენების პრინციპის მომხრენი ამტკიცებენ, რომ სოციალისტურ ორგანიზაციათა პასუხისმგებლობიდან განთავისუფლება მათი ბრალის არარსებობის გამო მიგვიყვანს მათ საქმიანობაში ცალკეულ შეუთანხმებლობასთან და სიძნელების მიმართ პასიურ დამოკიდებულებამდე და შეასუსტებს მათ მობილიზებას ამ სიძნელებებთან ბრძოლაში.¹

თუმცა საკმაო ხანი გავიდა სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებისა და სამოქალაქო კოდექსების შემოღებიდან, ამ უკანასკნელ დროს საბჭოთა იურისტებს შორის აღმოჩნდნენ სოციალისტურ ორგანიზაციათა სამეურნეო ურთიერთობებში ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის უარყოფელნი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ამ პრინციპმა ვერ გაამართლა სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების მოთხოვნები სახელმწიკრულებო ვალდებულებათა შესრულების სფეროში და საჭიროა ბრალეული პასუხისმგებლობის შეცვლა ზარალის მიყენების პრინციპით.

ასე, მაგალითად, ვ. ოვსიენკომ გაილაშქრა სოციალისტურ ორგანიზაციათა ურთიერთობებში ბრალის პრინციპის წინააღმდეგ და წინადადება წაინათყენა სამეურნეო ორგანოთა მიერ სახელმწიკრულებო ვალდებულებათა დარღვევისას პასუხისმგებლობა ეყრდნობოდეს „ზარალის მიყენების პრინციპს“.²

ეკმათება რა ნ. მალიენს, რომელიც აღნიშნავს, რომ პასუხისმგებლობის ერთად-ერთ სუბიექტურ საფუძველს წარმოადგენს მხოლოდ ბრალი, ვ. ოვსიენკო სხვა ავტორებთან ერთად ასკვნის, რომ ეს თეზისი იქცევა მხოლოდ დეკლარაციათ, ხოლო პასუხისმგებლობა კი — უპასუხისმგებლობად. ბრალის პრინციპი, მათი მტკიცებით მარტო იმაში კი არ მდგომარეობს, რომ პასუხისმგებლობა მხოლოდ ბრალეულს ეკისრება, არამედ იმაშიც, რომ ეკონომიური პასუხისმგებლობა არ უნდა ატაროს უდანაშაულო (არაბრალეულმა) კრედიტორმა.³

ადვილი მისახვედრია ამ კონცეპციის აზრი. არ უარყოფს რა, რომ საარბიტრაჟო პრაქტიკა ბევრი მერყეობის შემდეგ მტკიცედ დაადგა ბრალის პრინციპის მიხედვით ანაზღაურების გზას, ვ. ოვსიენკოს მიაჩნია, რომ ბრალის ქვეშ აქ იგულისხმება არა იმდენათ მოვალის ფსიქოლოგიური დამოკიდებულება თავის მოქმედებისადმი და მის შედეგებისადმი, რამდენადაც მოვალისაგან დამოუკიდებლად არსებული მიზეზები მის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისა (კონტრაგენტების, ზემდგომ ორგანოების მოქმედება, დაუძლეველი ძალა და სხვ.). კიდევ მეტი, სამეურნეო კოდექსის პროექტის დამუშავებისას ზოგი ავტორი (ვ. მამუტოვი, ლ. ზნამენსკი) და მათ შორის ვ. ოვსიენკოც მივიდა ამ დასკვნამდე, რომ სამეურნეო ვალდებულებათა შეუსრულებლობისას ზარალის ანაზღაურების მოვალეზე დაკისრება კონსტრუირებულ უნდა იქნას „ზიანის მიყენების პრინციპით“, მიუხედავად მოვალის ბრალისა. ამ ავტორების მტკიცებით დაუძლეველი ძალის მოქმედებაც კი არ შეიძლება გახდეს კრედიტორის

¹ იხ. С. Ф. Скороходов, Проект Основ гражданского законодательства СССР и союзных республик, «Советское госуд. и право», 1961, № 2.

² იხ. В. В. Овсиенко, Проблема возмещения убытков в хозяйственном праве, автореферат докторск. диссерт., Харьков, 1972.

³ იხ. В. К. Мамутов, В. В. Овсиенко, В. Я. Юдин, Предприятие и материальная ответственность, «Наукова думка», Киев — 1971, стр. 39.

წინაშე პასუხისმგებლობიდან განთავისუფლების საფუძველი. იგი შეიძლება გახდეს მხოლოდ მოვალის მიერ გაცემული თანხების კომპენსაციის საფუძველი, დარგობრივ და სახელმწიფო სადაზღვევო ფონდების ხარჯზე.⁴

ამ დებულების წინააღმდეგ ჩვენ დასაბუთებულად გავილაშქრეთ, როცა ხსენებული კოდექსის პროექტი იხილებოდა სრულიად საკავშირო სამეცნიერო კონფერენციაზე.⁵ ამ კოდექსის პროექტის 167ე მუხლში (გვ. 99) მისმა ავტორებმა შესწორება შეიტანეს ჯარიმების გადახდევინების საფუძვლის მიხედვით. პროექტში ფიქსირებულია, რომ კანონმდებლობით და ხელშეკრულებით დადგენილი ჯარიმები გადახდევინებული უნდა იქნეს სამეურნეო ორგანოს მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მხოლოდ ბრალის არსებობის შემთხვევაში.

ამგვარად დაუსაბუთებელია ხსენებულ ავტორთა მტკიცება, ერთ შემთხვევაში და სახელდობრ ზარალის ანაზღაურების პასუხისმგებლობის საკითხში ვეყრდნობოდეთ ზიანის მიყენების პრინციპს, ხოლო მეორე შემთხვევაში ე. ი. ჯარიმის გადახდევინების საკითხში ვხელმძღვანელობდეთ ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპით. როგორც ზარალის ანაზღაურება ისე, პირგასამტეხლოს (ჯარიმის) გადახდევინება პასუხისმგებლობის საკითხებს მიეკუთვნება და მათი ასეთი განსხვავებითი დაპირისპირება დამაჯერებლობას მოკლებულია.

სამეურნეო ორგანოს ბრალეული პასუხისმგებლობის საწინააღმდეგო თვალსაზრისის ანვითარებს ლ. შორიცი. მას მიაჩნია, რომ მიწოდების შესახებ კანონმდებლობაში, როცა საქმე ეხება პირველ ყოვლისა სამეურნეო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს: პროდუქციის რაოდენობრივ, ასორტიმენტის მიხედვით დათქმულ ვადებში მიწოდებას, გათვალისწინებული უნდა იქნეს პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე.

ლ. შორი თავის ამ თვალსაზრისს ასაბუთებს იმით, რომ მიწოდების სფეროში დისციპლინის განმტკიცების და ხელშეკრულების როლის ამადლების ამოცანა მოითხოვს პასუხისმგებლობის საკითხისადმი სხვაგვარ მიდგომას. მიწოდების საგვეგმო დავალების მიმართ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სახელშეკრულებო კავშირთა იერითობათა ნორმალურ და რიტმულ ფუნქციონირებას და არ შეიძლება გადამწყვეტი როლი მივაკუთვნოთ ბრალის პრინციპს. ამით, მისი აზრით, მიწოდების სახელმწიფო გეგმის მნიშვნელობა კნინდება და თუ ბრალის პრინციპს დავეყრდნობით, ობიექტურად შეიქმნება პირობები, რომელიც ხელს შეუწყობდა პასიურობის გამოვლინებას და ყოველგვარი მიზეზების გამოძებნას, რათა გამართლებული იქნეს საგვეგმო-სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობა.⁶

ეს ავტორი წინადადებს იძლევა, რათა მიმწოდებლებმა, რომლებმაც დაუშვეს უკმარისოდება ან დაარღვიეს მიწოდების ვადები, ყოველთვის გადაიხადონ პირგასამტეხლო, გარდა მიწოდების შესახებ დებულებებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რომელთა არსებობისას შეიძლება მათი განთავისუფ-

⁴ იხ. Проект разделов хозяйственного кодекса. Донецк, 1970, стр. 11.

⁵ იხ. Обсуждение проекта основных положений хозяйственного кодекса СССР (секрощ. изложение стенограммы совещания 28—29 марта 1973 г.), Москва, 1973, стр. 38.

⁶ იხ. Л. М. Шор, Совершенствование договорно-правовых отношений в сфере материально-технического снабжения, «Советское государство и право», 1973 г. № 1, стр. 43—51.

ლება პასუხისმგებლობისაგან და რომლებსაც უდაოდ მიეკუთვნება დაუძლეველი ძალა და თვით მყიდველისაგან დამოკიდებული მიზეზები.

ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის პრინციპის შემოღება, ლ. შორის მტკიცებით, უნდა ესატყვისებოდეს კანონმდებლობის გაფართოებას საწარმოთა სამეურნეო ანგარიშის ინტერესების დაცვის და განმტკიცების მიზნით. როდესაც მიმწოდებელი არღვევს სოციალისტური პარტნიორობის ნორმებს, დარწმუნებული იმაში, რომ იგი მიაღწევს პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებას, აღნიშნავს, ლ. შორი, ასეთი „პარტნიორი“ თავის თავს არ თვლის ვალდებულად აცნობოს მეორე მხარეს ის გარემოება, რაც ართულებს ხელშეკრულების შესრულებას. ასეთ სიტუაციაში მომხმარებელი, რომელიც ფაქტის წინაშე იქნა დაყენებული და არა აქვს შესაძლებლობა თავის დროზე მიიღოს ზომები მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების შეუსრულებლობის შედეგების აცილებისათვის, — მძიმე მდგომარეობაში ვარდება. ყველა ზემოაღნიშნულის გამო ლ. შორი დაასკვნის, რომ ამ საკითხების გადაწყვეტისას პირველყოფლსა უნდა გამოვდიოდეთ ვალდებულების საგვემო ხასიათიდან და სიმძიმის ცენტრი გადავიტანოთ არა ბრალის და უდანაშაულობის საკითხთა განხილვაზე, არამედ შემდეგი პრინციპის თანმიმდევრულ გატარებაზე: თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობა შეუძლებელი იყო აგვეცილებინა, დაინტერესებულმა პირმა დადგინილი წესით უნდა დააყენოს საკითხი ხელშეკრულების ან საგვემო დავალების შეცვლის შესახებ.⁷

ამ თვალსაზრისის უსაფუძვლობაზე შეიძლებოდა არ გველაპარაკნა, მის ავტორს რომ კიდევ ერთი, ჩვენი აზრით, მცდარი არგუმენტი არ მოჰყავდეს სამეურნეო ორგანოს ბრალეული პასუხისმგებლობის წინააღმდეგ, საქმე იმაშია, რომ ლ. შორი ბრალის პრინციპის გატარების წინააღმდეგ იბრძვის იმ არგუმენტზე დაყრდნობით, თითქოს სოციალისტურ ორგანიზაციათა პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა სუბიექტურ ელემენტებთან დამოკიდებულებით, იურიდიული შედეგის (ე. ი. პირგასამტეხლოს და ზარალის გადახდევინების) გარეშე სტოვებდეს სამეურნეო სამართალდარღვევებს, რადგან ამ შემთხვევაში უკანა პლანზეა გადაწული სანქციის საკომპენსაციო (აღდგენითი) ფუნქცია და რომ სოციალისტურ ორგანიზაციათა ბრალის დამახასიათებელ ნიშნების პოვნის ცდამ მარცხი განიცადა, რადგან მოქალაქეთა ბრალის ცნება მექანიკურად გადაჰქონდათ ამ ორგანიზაციებზე.

ამ მცდარ არგუმენტაციას, ჩვენი აზრით, სწორი და სამართლიანი პასუხი გასცა საბჭოთა სამართლის დარგში ბრალის პრობლემების ცნობილმა მკვლევარმა პროფ. გ. მატვეევმა.⁸

და მართლაც, როდესაც სანქციის ფუნქციებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს მისი როგორც მასტიმულირებელი მნიშვნელობა, ისე საკომპენსაციო დანიშნულება. ამასთანავე, სანქციის აღმზრდელობითი ფუნქციაც არ შეიძლება იგნორირებულ იქნას, რადგან, როცა საწარმოს კოლექტივი თავისი სამეურნეო საქმიანობაში დარღვევებს უშვებს, მცირდება მისი წახალისების და სხვა ფონდები, ხოლო დამნაშავე მუშაკები ჰკარგავენ ხელფასის განსაზღვრულ

⁷ იხ. იქვე, გვ. 51.

⁸ იხ. Г. Матвеев, В защиту принципа виновной ответственности в отношениях между хозяйственными, «Советская юстиция», 1973, № 15, стр. 15—17.

ნაწილს და პრემიებს. ამდენად, სწორად არის შენიშნული, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკია სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის აღდგენითი და პრევენციული ფუნქციების შერწყმაზე და არა მათ ურთიერთ შთანთქმაზე ან ურთიერთ დაპირისპირებაზე.

რაც შეეხება მეორე არგუმენტს და სახელდობრ იმის მტკიცებას, რომ ადგილი აქვს მოქალაქეთა ბრალის ცნების მექანიკურ გადატანას სოციალისტურ ორგანიზაციებზე, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ იმ ავტორებს, რომელნიც სთვლიან, რომ ორგანიზაციის ბრალი არ ატარებს რაიმე თავის სპეციფიკურ; კონკრეტულ მუშაკის ბრალისაგან რამდენადმე განსხვავებულ შინაარსს, რომ სამართალსაწინააღმდეგო და ბრალეული მოქმედებები სრულდება კოლექტივის ცალკეული წევრის მიერ და ამიტომ ამ მუშაკის და კოლექტივის ბრალი ერთმანეთს ემთხვევა.

სახელმწიკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობა მთელი კოლექტივის თვალწინ ხდება. წარმოუდგენელია, მაგალითად, პროდუქციის უკმარისობაში ბრალი ცალკეულ მუშაკებს მიუძღოდეთ, თუ მთელი კოლექტივის მიერ არ იქნება საგეგმო-სახელმწიკრულებო ვალდებულებები სათანადოდ განაღდებული. ამდენად ვასაგებია, რომ პროდუქციის უკმარისობისათვის პასუხი უნდა აგოს მოცემულ საწარმოს მთელმა კოლექტივმა და არა ცალკეულმა მუშაკმა. ასევე არასათანადო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის, პასუხისმგებლობა საწარმოსა და ორგანიზაციის კოლექტივს ეკისრება. ეს არ გამოირიცხავს ცალკეულ მუშაკთა პასუხისმგებლობას წუნდებულ პროდუქციის გამომშვებისათვის, მაგრამ მათ მიერ ცალკე შემთხვევაში დაშვებული დარღვევა არ შეიძლება საერთო პროდუქციის გამომშვების დამაჯამებელი პროცესის განმსაზღვრელი გახდეს. ამიტომ არის დაწესებული მთელი საწარმოო ერთეულის და ორგანიზაციის ქონებრივი პასუხისმგებლობა წუნდებული პროდუქციის გამომშვებისათვის. სავსებით მართებულად არის შენიშნული, რომ „კოლექტივის საქმიანობა უფრო მეტ ეფექტურ ენერჯიას წარმოადგენს, ვიდრე იმ ინდივიდუალურ ძალთა ჯამი, რომელიც მასშია გაერთიანებული“.

მაგრამ ეს ყველაფერი იმას როდი ნიშნავს, რომ საგეგმო-სახელმწიკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის ყველა შემთხვევა განუკითხვად მივაწეროთ იმ საწარმოო კოლექტივს, რომელსაც არ მიუძღვის ბრალი ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობაში. პრაქტიკაში ჯერ კიდევ მართლაც არის შემთხვევები, როცა პროდუქციის უკმარისობა შედეგია სამინისტროს მხრივ წარმოებისა და პროდუქციის გასაღების არასრულფასოვანი დაგეგმვისა, საწარმოების სათანადო ფონდებით, სათბობით, ნედლეულით და მოწყობილობით უზრუნველყოფის გარეშე. ამდენად ძნელია არ დავეთანხმოთ იმ ავტორებს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ მიწოდების ასეთ უდანაშაულო დარღვევებისათვის ჯარიმების გადახდევინება და ზარალის ანაზღაურების დაკისრება საწინააღმდეგო ეფექტამდე მიგვიყვანდა და წარმოშობილ სიძნელეთა გადალახვისათვის საწარმოო კოლექტივების აქტივობის მობილიზაციის მაგიერ, მათში მართლაც პასიურობის გრძნობას წარმოშობდა, მეტ ზარალს მოგვიტანდა. სავსებით სწორია, რომ ასეთი მიდგომა დაამახინჯებდა მართლმსაჯულების იდეას და სამეურნეო დავათა განმხილველ ორგანოებს გადააქცევდა ჯარიმების და ზარალის თანხების „ერთი ჯიბიდან — მეორე ჯიბეში“ გადაქაჩვის მექანიკურ კანტორებად,

რაც საბოლოო ჯამში სრულიად გააუფასიურებდა ამგვარი სანქციების აღმზრდელობით დანიშნულებას.⁹

მაგრამ ეს არც იმას ნიშნავს, თითქოს ჩვენ მოვითხოვდეთ პასუხისმგებლობიდან ისეთ მიმწოდებელთა განთავისუფლებას, რომლებსაც მართალია, სიძნელეები შეექმნათ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების მომენტში, რაც საფრთხის წინაშე აყენებს ვალდებულების შესრულებას, მაგრამ არ მიიღეს ყველა მათგან დამოკიდებული ზომები ამ სიძნელეთა გადასალახავად. პასუხისმგებლობის საკითხის დადგენისას უნდა გაირკვეს — თუ როგორ იბრძოდა ვალდებულები პირი სახელშეკრულებო პირობათა შესრულებისათვის, ღებულობდა თუ არა იგი ყველა შესაძლებელ ზომას ვალდებულების დარღვევის აცილებისათვის და მხოლოდ მაშინ, თუ მან ყველაფერი იღონა და ვალდებულება მაინც არ შესრულდა მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, იგი უნდა განთავისუფლდეს მატერიალური პასუხისმგებლობისაგან. სხვანაირად ამ საკითხის გადაწყვეტა იმ დაშტამპულ შედეგებამდე მიგვიყვანდა, რომელთა შესახებ ზემოდ უკვე გვქონდა საუბარი.

გარდა იმისა, რომ კანონმდებელმა გარკვევით მიგვანიშნა ორგანიზაციათა გაღდებულებაზე — ანაზღაუროს მისი მუშაკების ბრალით შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულების დროს მიყენებული ზიანი (სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 88-ე მუხლი) იურიდიულ ლიტერატურაში დაქაჩვებლად არის მოტანილი იმის მაგალითები, როცა ცალკეულ მუშაკთა ბრალეული გადაცდომები ახალ სახეობად „ტრანსფორმირდება“ საწარმოს კოლექტივის ბრალად“, რადგან ორგანიზებულ კოლექტივში შეუმჩნეველი არ რჩება მისი წევრების როგორც დადებითი ისე უარყოფითი მოქმედებები, რომ საამქროს ერთი მუშაკის მიერ დაშვებული წუნი პროდუქციისა გასწორებული ან აცილებული შეიძლება იქნეს საამქროს სხვა მუშაკების მიერ, ანდა საამქროს უფროსის ან ქარხნის დირექტორის არასწორი, მცდარი განკარგულება შეიძლება გამოსწორებულ იქნას მუშაობის პროცესში ან პირიქით, გაღრმავებულ იქნას ქარხნის ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ შეცდომებთან ქარხნის მუშაკთა მხრივ გულგრილი დამოკიდებულების შედეგად.¹⁰

აქვე უნდა გავიხსენოთ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვები: „თვითულის პასუხისმგებლობა კოლექტივის წინაშე და კოლექტივის პასუხისმგებლობა ოპოტიული მუშაკის წინაშე — აი ჩვენი ცხოვრების წესის განუყოფელი ნიშანი“.¹¹

იურიდიულ ლიტერატურაში მართებულად არის მინიშნებული, რომ სამართალდამრღვევის ბრალი და ამის გამო შესაძლებელ მაგნე შედეგების მიმართ მისი ფსიქიკური დამოკიდებულება, წარმოდგენს ობიექტურ ფსიქოლოგიურ პროცესს, რომელშიაც ვლინდება მოქმედი პირის შეგნება და ნება, ამდენად სასამართლო, საარბიტრაჟო, ადმინისტრაციულ თუ სხვა ორგანოების ამოცანა მართლაცდა იმაში მდგომარეობს, რათა დაეყრდნონ განსაზღვრულ „სოციალურ ფაქტებს“ — პირთა საზოგადოებრივ მოქმედებებს, რომელთა მიხედვითაც ჩვენ ვმსჯელობთ, როგორც ვ. ი. ლენინი იტყოდა „რეალური ზრახვების და გრძნობების“, „რეალური პირობების“ შესახებ. ვ. ი. ლენინის მითითება,

⁹ უფრო დაწვრილებით ამის შესახებ ლაპარაკია გ. მატვეევის დასახელებულ წერილში.

¹⁰ იხ. Г. К. Матвеев, Основания юридической ответственности, «Советское государство и право», 1971, № 10, стр. 35, 36.

¹¹ იხ. სკკპ X XIV ყრილობის მასალები, თბილისი, 1971, გვ. 112.

რომ თუ დაბრკოლებები გვექნება უნდა შეგვეძლოს მათი აცილება და დამნაშავეთა სამართალში მიცემა, ან „რომ დავსაჯოთ, უნდა იქნეს მოძებნილი დამნაშავე“, ყველა შემთხვევაში ეხება სამეურნეო ორგანოთა ბრალეული პასუხისმგებლობის საკითხსაც.¹²

საარბიტრაჟო საქმიანობაში, სადაც უმთავრესად სამეურნეო დავები წყდება, მიუხედავად ზოგიერთი მერყეობისა დამკვიდრდა სამეურნეო ორგანოების ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი. საქმარისია გავისხენოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის 1969 წლის 6 ოქტომბრის № ი-1-33 საინსტრუქციო წერილის შინაარსი, რომ ამაში დავრწმუნდეთ.¹³

შემოწმებამ ცხადპყო, აღნიშნულია ამ წერილში, რომ სამეურნეო დავათა გადაჭრისას ძირითადად სწორად იყენებენ ბრალის პრინციპს, როგორც ვალდებულებათა დარღვევისას ქონებრივი პასუხისმგებლობის პირობას. მაგრამ ამასთანავე არბიტრაჟები ყოველთვის თანმიმდევრულად როდი ანხორციელებენ კანონის მითითებებს იმის შესახებ, რომ ვალდებულებათა დარღვევისას პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ ბრალის არსებობის შემთხვევაში. არის შემთხვევები, მიუთითებს საკავშირო არბიტრაჟი, როცა ზოგჯერ საწარმოებს და ორგანიზაციებს აკისრებენ ქონებრივ პასუხისმგებლობას, ზარალის პრინციპის მხედველობაში მიღების გარეშე, გამოდიან რა მხოლოდ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტიდან და არ აფასებენ გარემოებებს, რომელთა არსებობამ გამოიწვია ვალდებულების დარღვევა. სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟი ხსენებულ საინსტრუქციო წერილით ზუსტ მითითებას აძლევს სამეურნეო დავათა განმხილველ ორგანოებს — თანმიმდევრულად და მკაცრად გამოიყენონ ბრალის პრინციპი, რასაც ითვალისწინებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 37-ე მუხლი.

ბრალის პრინციპის უგულვებელყოფამ შეიძლება მიგვიყვანოს არასწორ, უკანონო გადაწყვეტილებამდე. ამის დასამტკიცებლად საქმარისია მოვიტანოთ ერთი მაგალითი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის პრაქტიკიდან. 1969 წლის ივლისში ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილებამ ფოთის თევზკომბინატის მიმართ აღძრა სარჩელი 4980 მან. და 2520 მანეთის ჯარიმის გადახდევინების შესახებ, 1969 წლის იანვარსა და თებერვალში გადაზიდვის გეგმის შეუსრულებლობისათვის. ფოთის თევზკომბინატს უნდა გაემზადებინა გადასატვირთად თევზი. ამასთანავე თევზის მარაგი საწყობში არ დაიშვება, რადგან იგი გადატვირთულ უნდა იქნეს დაჭერისთანავე. დიდი და ცივი ზამთრის გამო ამ თვეებში შავ ზღვაზე შტორმისა და გრიგალის გამო ხდებოდა ყინულის დიდი ფენების მოძრაობა, მათი შეკუმშვა და ერთმანეთზე დაშრევა. არხებში მთელ სიღრმეზე იყო ყინვა დაშრეგებული, რის გამოც ყოველად შეუძლებელი იყო ყინულმჭრელი მექანიზმების მოძრაობა. ეს გარემოება დადასტურებული იყო არბიტრაჟში წარდგენილი ქ. ჟღანოვის პილრომეტსადგურის 1969 წლის 11 თებერვლის და ფოთის საზღვაო პორტის კაპიტნის იმავე წლის 13 თებერვლის თარიღით გაცემული ცნობებით. სახელმწიფო არბიტრმა მინიც დააკისრა სასარჩელო თანხების გადახდა მოპა-

¹² В. И. Ленин, Полн. собр. соч., т. 45, стр. 104.

¹³ იხ. Сборник инструктивных указаний Государственного арбитража, выпуск 27, Москва, 1969 г.

სუხეს და ამით სრულიად უგულვებელპყო ბრალის პრინციპი. კომენტარს არ სა-
 ჭიროებს არბიტრაჟის ასეთი გადაწყვეტილების უსაფუძვლობა და იგი გაუქნდა
 კიდევ ზედამხედველობის წესით.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ სამეურნეო ორგანოთა ბრალეული პა-
 სუხისმგებლობა მტკიცედ დამკვიდრდა პრაქტიკაში, იგი ემყარება მოქმედ კა-
 ნონმდებლობას და არ არსებობს ამ პრინციპიდან გადახვევის არავითარი სა-
 ფუძველი.

ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების კვალდაკვალ აუცილებელია სა-
 მეურნეო საქმიანობის მარეგულირებელ ნორმათა სრულყოფა. ეს არ უნდა გა-
 მორიცხავდეს პროგრესულს, რაც ერთის მხრივ სწორედ იმაში მდგომარეობს,
 რომ თითოეული საწარმო უნდა აგებდეს პასუხს მხოლოდ მისი ბრალეული მოქ-
 მედებისათვის. მეურნეობის წარმართვის საერთო სახელმწიფოებრივი და სა-
 ხალხო ინტერესები მოითხოვს სოციალისტურ ორგანიზაციების წინაშე დასა-
 ხულ გეგმათა შეუსრულებლობის მიზეზების და ამაში კონკრეტულ დამნაშა-
 ვეთა გამოვლინებას და არა პასუხისმგებლობის საკითხის ფორმალურად გა-
 დაწყვეტას.

აქაველთ შინაგან საქმეთა ორგანოებში გამომძიების ხარისხი

მ. ჯაფარიძე,

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს
საგამომძიებო სამმართველოს უფროსი

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების საგამომძიებო აპარატის მთელი საქმიანობა მიმართულია იქეთკენ, რათა დროულად და მთლიანად გაიხსნას მძიმე დანაშაულობები — სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცება, მექრთამეობა, ყაჩაღობა, ძარცვა, ქურდობა და სხვ.

ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის აუცილებელია პირადი შემაღვწელობის დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცება, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა, პრაქტიკაში მეცნიერების და ტექნიკის მიღწევათა დანერგვა, საზოგადოებრიობასთან კავშირის გაფართოება.

ითვალისწინებს რა ყოველივე ამას სამმართველო დიდ საქმიანობას ეწევა მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის, მეცნიერებათა მიღწევების შესწავლისა და სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა ფართოდ გამოყენებისათვის. ამის შედეგად დანაშაულობათა გამოძიებაში მიღწეულია დადებითი შედეგები.

გაუმჯობესდა გამოძიების ხარისხი. გამოძიებლები აღწევენ უფრო მეტი დანაშაულის გახსნას, სწორად განსაზღვრავენ დანაშაულის კვალიფიკაციას. მკვეთრად გაიზარდა წარმოებაში დიდი ოდენობის და განსაკუთრებით დიდი ოდენობის ქონების გატაცების, აგრეთვე სხვა რთულ საქმეთა რიცხვი. ხშირად ხდება საგამომძიებო პრაქტიკის მეცნიერული განზოგადება, მტკიცედ დამკვიდრდა გამოძიებლის მუშაობაში ხმის ჩამწერი ტექნიკის გამოყენება.

შარშან საქართველოს სსრ შსს თვითეული გამოძიებლის დატვირთვა საშუალოდ გაცილებით მეტია, ვიდრე ეს სტატისტიკური მონაცემებით სჩანს. თუ ამ პოზიციებიდან გავანალიზებთ გამოძიებელთა დატვირთვას, მივიღებთ, რომ იგი მეტია საერთო საკავშირო მაჩვენებელზე. მიუხედავად ასეთი დატვირთვისა მიღწეულია დადებითი შედეგები წინასწარი გამოძიების ისეთ ძირითად მაჩვენებლებში, როგორცაა გამოძიების ხარისხი, ვადები, პროფილაქტიკა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აგრეთვე სოციალისტური კანონიერების დაცვას მოქალაქეთა დაკავების, დაპატიმრებისა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის დროს.

მაგრამ მიუტევებელი შეცდომა იქნება დავმშვიდდეთ მიღწეულით, არ შევნიშნოთ საქართველოს შსს საგამომიებლო აპარატების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები და ამოცანად არ დავისახოთ მათი აღმოფხვრა.

ლ. ი. ბრეჟნევიმ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმზე აღნიშნა: „არ შეიძლება არ შევავსოთ გაკეთებული საქმე, მაგრამ ამავე დროს ჩვენ არ უნდა გადავავსოთ იგი, უნდა დავინახოთ არსებული უარყოფითი გადაუწყვეტელი საქმეები და აგრეთვე ჩვენი საკუთარი ხარვეზები, რაც გვაქვს და მოითხოვს სერიოზულ და დაფიქრებულ ანალიზს“.

სწორედ ამ პოზიციებიდან ვაფასებთ მთელს ჩვენს საქმიანობას. სამწუხაროდ ბევრი გამომძიებელი ჯერ კიდევ უშვებს უხეშ შეცდომებს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხის გადაწყვეტაში, რაც შეიძლება აიხსნას მხოლოდ მათი არასაკმაო პროფესიული და პოლიტიკური მომზადებით, კანონის უცოდინარობით. ამას საბოლოო ჯამში მივყვართ მძიმე შედეგებამდე, მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებათა დარღვევამდე.

ლაგოდების შს რაიონული განყოფილების გამომძიებელმა ავაბეკოვმა მოსწავლეებზე სასკოლო სახელმძღვანელოების გადიდებულ ფასებში მიყიდვის ფაქტზე აღძრა სისხლის სამართლის საქმე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილის პლიევის მიმართ, სსკ 169 მუხლით, თუმცა სრულიად ნათელი იყო, რომ სკოლის დირექტორის მოადგილეს წიგნების გაყიდვასთან უშუალო დამოკიდებულება არა ქონდა, მით უმეტეს, თავისი თანამდებობრივი მდგომარეობით არ შეიძლებოდა პასუხი ეგო მიყიდვის მოტყუებისთვის.

აჭარის შსს საგამომიებლო პრაქტიკის შესწავლით დადგინდა, რომ ხშირად სოციალისტური საკუთრების მტაცებლობის და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების თანამშრომლები განაგრძობენ სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრას შეუმორწმებელი მასალების საფუძველზე, დოკუმენტური რევიზიის ჩატარებლად, რის გამოც ბევრი საქმე წარმოებით წყდება.

ქობულეთის შს რაიონული განყოფილების ინსპექტორმა ზოიძემ შეუმოწმებელი მასალების საფუძველზე, დოკუმენტური რევიზიის ჩატარებლად, აჭარის შსს საგამომიებლო განყოფილების ხელმძღვანელობის მითითების მიუხედავად უსაფუძვლოდ აღძრა სისხლის სამართლის საქმე ჩაქვის ჩაის მეთურნობის მთავარი ეკონომისტის — ნიკოლაიშვილის და სხვათა მიმართ სახელმწიფო თანხების გატაცებისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის. მალე საქმე წარმოებით იქნა შეწყვეტილი დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო.

საგამომიებლო აპარატის წინაშე დასმულ ამოცანათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია გამოძიების ხარისხი. შს ორგანოების ბევრი გამომძიებელი საქმეთა გამოძიებას მთელი სერიოზულობით უდგება და საქმეთა დიდი უმრავლესობა გამოძიებულია ხარისხიანად.

უკანასკნელ ხანს სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლ განყოფილებებთან, სისხლის სამართლის სამძებრო და სხვა სამსახურებთან ურთიერთმოქმედებით რესპუბლიკის საგამომიებლო აპარატი სულ უფრო აქტიურად მონაწილეობს დიდი ოდენობის და განსაკუთრებით დიდი ოდენობის ქონების გატაცებათა და სხვა ჯგუფურ სისხლის სამართლის დანაშაულობათა გამოძიებაში.

როტული, მრავალეპიზოდური იყო ბაბუნაშვილისა და სხვა პირების ბრალდების საქმის გამოძიება. დამანაშავეთა ეს ჯგუფი წლების მანძილზე ეწეოდნენ სახელმწიფო ქონების გატაცებას განსაკუთრებით დიდი ოდენობით თბილისის მაუდ-კამგოლის კომბინატში — „საბჭოთა საქართველო“. საქმეს იძიებდა ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის შსს განსაკუთრებულ საქმეების უფროსი გამომძიებელი პოდპოლკოვნიკი ვ. გრიაზნოვა, საქართველოს შსს საგამომძიებლო სამმართველოს გამომძიებლების კუპრავას, გაბრიელიანის, დოლიძის, ჭანტურიას, დვალის და შამირიანის მონაწილეობით.

საგამომძიებლო სამმართველოს განყოფილების უფროსმა, პოდპოლკოვნიკმა ბ. კვარაცხელიამ, გამომძიებლებთან სიღამონიძესთან, გედევანიშვილთან, ხუნჯუასთან და ქოიავასთან ერთად გამოიძიეს სისხლის სამართლის საქმე სულაქველიძის, ახვლედიანის და სხვათა მიმართ, რომლებიც ეწეოდნენ სახელმწიფო ქონების გატაცებას „ცეკავშირის“ სისტემაში.

გამომძიებლებმა ბაშალეიშვილმა და გახოკიძემ გამოიძიეს საქმე გელენიძესა და სხვა კომბინატორების მიმართ, რომლებიც მოკალათებულ იყვნენ გეგეჭორის ჩაის ფაბრიკაში.

ქ. თბილისის კიროვის რ-ნის, ადიგენის, ასპინძის, ყაზბეგის, მაიაკოვსკის, ონის, თიანეთის, ტყიბულის, ცაგერის, წითელწყაროს და შს ზოგიერთ სხვა რაიონული განყოფილების გამომძიებლებს გასულ წელს არცერთი საქმე არ დაბრუნებიათ დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად.

მიუხედავად ამისა, ბევრ საგამომძიებო ქვედანაყოფში გამოძიების ხარისხი დაბალია და ვერ პასუხობს წარდგენილ მოთხოვნებს. ადგილი აქვს საქმეთა დამატებით გამოძიებაში დაბრუნებას, რაც წინასწარი გამოძიების დაბალი ხარისხის მაჩვენებელია.

შარშან სასამართლოში წარმართულ საქმეთა 4,1 პროცენტი დაბრუნდა ხელახალი გამოძიების ჩასატარებლად. შესაბამისი საკავშირო მაჩვენებელი კი უფრო დაბალია და შეადგენს 3,9 პროცენტს.

დამატებით გამოძიებაში დაბრუნებულ საქმეთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი უმრავლესობა ავტოსატრანსპორტო, ხულიგნობის, ძარცვის დანაშაულობათა გამოძიებაზე მოდის.

ყოველი მეექვსე საქმე დაუბრუნდათ დამატებით გამოძიებაში დმანისის, მესტიის, ორჯონიკიძის, საჩხერის, თერჯოლის, წალკის შს რაიონული განყოფილების გამომძიებლებს.

დამატებით გამოძიებისათვის საქმეთა დაბრუნების ძირითადი მიზეზებია: არასრულყოფილი წინასწარი გამოძიება; საბრალდებო დასკვნებისა და ბრალდებულად ცნობის შესახებ დადგენილებების დაუდევრად და უვიცად შედგენა; დანაშაულის უსწორო კვალიფიკაცია; ბრალდებულთა და სამოქალაქო მოსარჩელეთა პროცესუალურ უფლებათა უგულვებელყოფა; ბრალდებულის ნამდვილი გვარის დაუდგენლობა (?); ბრალდებულის არ უზრუნველყოფა დამცველით, თარჯიმნით და ა. შ.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ შინაგან საქმეთა ადგილობრივი ორგანოების და საგამომძიებო ქვედანაყოფების ხელმძღვანელობა, ჯგუფების უფროსები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ გამოძიების ორგანიზაციას, სუსტად, არაკონკრეტულად, არაკომპეტენტურად ახორციელებენ კონტროლს გამომძიებლებისადმი, იშვიათად მონაწილეობენ გამოსაძიებელ მასალათა შეფასებაში.

აღნიშნული ნაკლოვანებები მოწმობენ აგრეთვე რესპუბლიკის საგამომძიებლო სამმართველოს ხელმძღვანელობის არასათანადო მომთხოვნელობას.

პასუხისმგებლობა წინასწარ გამოძიებაში დაშვებული შეცდომებისათვის ეკისრება პროკურატურის ორგანოებსაც.

საქართველოს სსრ შსს საგამომძიებლო სამმართველო იმ საქმეებზე, რომლებიც გამოშვებულია უშუალოდ მის მიერ, მუდმივად გრძნობს საპროკურორო ზედამხედველობის ქმედითობას. რესპუბლიკის ცალკეულ რაიონებში კი, სადაც ხდება საქმეთა ძირითადი მასის გამოძიება, ასეთი ზედამხედველობა და კონტროლი არასაკმაოა.

ზოგიერთი პროკურორი იშვიათად ამოწმებს შს ორგანოების გამომძიებელთა წარმოებაში არსებულ საქმეებს, არ აძლევს მათ საქმეთა ირგვლივ წერილობით მითითებებს, არ მონაწილეობს მნიშვნელოვან საგამომძიებლო მოქმედებებში, მასალებს ეცნობიან მხოლოდ საბრალდებო დასკვნის დამტკიცების მომენტში, დროულად არ ღებულობენ ზომებს გამოძიების პროცესში დაშვებულ კანონიერებათა დარღვევის, დანაშაულის არასწორი კვალიფიკაციის თავიდან აცილებისათვის.

მცხეთის რაიპროკურატურამ დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად დააბრუნა კალაბოვას, აგრეთვე გოლდიშვილის სისხლის სამართლის საქმე, ბრალდების კვალიფიკაციის შეცვლის მითითებით. პროკურატურის მითითებათა შესრულების შემდეგ საქმეები წარიმართა სასამართლოში, მაგრამ მცხეთის სახალხო სასამართლომ ეს საქმეები გამოძიებას დაუბრუნა იმ მოტივით, რომ დანაშაული არასწორად იყო დაკვალიფიცირებული. ვის სჭირდება ასეთი ზედამხედველობა, უკეთესად როდი ხორციელდება საპროკურორო ზედამხედველობა მახარაძის რაიონში.

საქმეთა დამატებით გამოძიებაში დაბრუნების საფუძვლიანობის შესწავლას, საჭირო რეკომენდაციების შემუშავებას დიდი მნიშვნელობა აქვს შეცდომათა თავიდან აცილებისათვის, მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის.

მაგრამ, უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ სასამართლოები საქმეებს დამატებით გამოძიებისათვის აბრუნებენ უსაფუძვლოდ, გამოგონილი მოტივებით, რაც იწვევს საქმის გაჭიანურებასა და დროის უმიზნოდ ხარჯვას.

შარშან მარტო საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ დააკმაყოფილა 14 პროტესტი და გააუქმა ქ. თბილისის სახალხო სასამართლოების უსაფუძვლო განჩინებები საქმეთა დამატებით გამოძიებისათვის დაბრუნების თაობაზე. მათგან სამი კიროვისა და ორჯონიკიძის სახალხო სასამართლოების განჩინებებზე, ორ-ორი კალინინის, ლენინის, ოქტომბრის და საქარხნო რაიონების სახალხო სასამართლოების განჩინებებზე.

აი საქმის გაჭიანურების ერთი მაგალითი: შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლები, პროკურატურის და უმაღლესი სასამართლოს მუშაკები 9 წელი წყვეტდნენ საკითხს ვარსიამაშვილის დამნაშავეობის შესახებ, რომელიც მიცემული იყო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში 1966 წლის 29 მარტს სახელმწიფო ქონების გატაცებისათვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით, ეს საქმე 8-ჯერ იქნა დაბრუნებული დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად. 1970—1972 წლებში საქმე უმოძრაოდ იყო გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოში. 1974 წლის მარტში იგი კვლავ დააბრუნეს დამატებით გამოძიებაში, მაგრამ 1974 წლის ივნისში გაიზიარეს პროტესტი და საქმე ხელახლა გარდაბნის რაი-

ონის სახალხო სასამართლოში წარმართეს, სადაც აღნაშენულ საქმის განხილვას, როგორც იყო წერტილი დაესვა 1975 წელს.

ცნობილია, რომ ბევრ სისხლის სამართლის საქმეზე ინიშნება ავტოტექნიკური, სასამართლო-ქიმიური, სასამართლო-სამედიცინო, სასამართლო-საბუღალტრო, სასაქონლო და სხვა ექსპერტიზები. მიღებული დასკვნები ძირითადად, ხარისხიანია და მეცნიერულად — დასაბუთებული. ხანდახან დასკვნები განსაკუთრებით ავტოსავაზო შემთხვევებზე არაობიექტურია, ეწინააღმდეგება საქმის მასალებს.

მაგალითად, ექსპერტ ბანცაძის დასკვნის საფუძველზე კერატიშვილი გამართლებული იქნა, მაგრამ, დაშვებული შეცდომა მალე გამოსწორდა და ამჟამად მძღოლი კერატიშვილი, მსჯავრდებულია, მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

აუცილებელია ექსპერტიზა ჩატარდეს ობიექტურად, მკაცრად, დასკვნა გამომდინარეობდეს საქმის მასალებიდან.

სისხლის სამართლის სამძებროსა და საგამოძიებო ორგანოების საქმიანი ურთიერთკავშირით გაუმჯობესდა დანაშაულობათა გახსნა. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ შს ბევრ განყოფილებაში კარგადაა ორგანიზებული ოპერატიულ-სამძებრო მუშაობა „ცხელ კვალზე“, გამოძიებლები დროულად არიან ინფორმირებული მომხდარ დანაშაულებებზე, რაც ქმნის ნორმალურ პირობებს შემთხვევის ადგილზე მათი დროული გასვლისათვის.

მაგრამ დანაშაულთა გამომყდავნების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არ არის ბოვანოვკის, ჩოხატაურის, ახალქალაქის, ბოლნისის, მარნეულის, ლანჩხუთის, ლენტეხის და ფოთის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებებში. სისხლის სამართლის საქმეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა ამ რაიონებში წარმოებით შეჩერებულია დამნაშავეთა დაუდგენლობის გამო.

შარშან წარმოებით შეჩერებულია ყოველი მეხუთე საქმე მახარაძის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების საგამომძიებლო ქვეგანყოფილებაში, ყოველი მეშვიდე — ყაზბეგის რაიონის შს განყოფილების, ყოველი მეათე ბოლნისის, ბორჯომის, გურჯაანის, მცხეთის, სავარეჯოს, სამტრედიის, წალენჯიხის შს განყოფილებაში.

დანაშაულთა გაუხსნელობის მიზეზია: საგამომძიებლო და ოპერატიულ-სამძებრო მუშაობის დაბალი დონე; შემთხვევის ადგილზე დაგვიანებით გასვლა და მისი არაკვალიფიციურად დათვალიერება, საქმის ზერელე გამოძიება, საგამომძიებო და ოპერატიულ მოქმედებათა ფორმალურად, უსისტემოდ და დაუდევრად შესრულება.

თუმცა საქმეთა შეჩერების საფუძველები განსაზღვრულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმებით, ზოგჯერ გამოძიებლები საქმეებს აჩერებენ უსაფუძვლოდ.

გაგრის შს საქალაქო განყოფილების საგამომძიებელმა ხიზბამ, ბოროტოქიმელთა დაძებნის მოტივით გამოიტანა დადგენილება პიტინოვისა და ბენდიაშვილის სისხლის სამართლის საქმის შეჩერებაზე, ხოლო 3 წლის გავლის შემდეგ კი შესწყვიტა საქმე ხანდაზმულობის მოტივით.

გამომძიებელმა აბრალავამ ბრალდებულის ადგილსამყოფელის დაუდგენლობის გამო, უსწოროდ შეაჩერა სისხლის სამართლის საქმე ძიდიგურის მი-

მართ, რომელმაც მოახდინა ავტოსაგზაო შემთხვევა, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი მუშაობდა თავის ძველ სამუშაო ადგილზე გვირაბმშენში. მალე ძიძი-გურმა ჩაიდინა მეორე დანაშაული, ბოროტი ხულიგნობა.

შეჩერებულ საქმეთა რაოდენობა ნაწილობრივ მცირდება არა მთი გახსნის, არამედ ხანდაზმულობის შეფარდების გამო შეწყვეტის ხარჯზე. შარშან მაგალითად ჩამოწერილია აღრიცხვიანობიდან ხანდაზმულობის გამო ათობით სისხლის სამართლის საქმე.

შინაგან საქმეთა ორგანოების საგამომძიებო აპარატში ჯერ კიდევ დიდა შეწყვეტილ საქმეთა რაოდენობა.

დანაშაულებრივი შემთხვევისა და დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არ არსებობის გამო შეწყვეტილია საქმეთა 8,8 პროცენტი. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბევრი საქმე აღძრულია უსაფუძვლოდ. მაგრამ სწორი არ იქნება მართლ ამით აიხსნას შეწყვეტილ საქმეთა დიდი რაოდენობა. არცთუ იშვიათად ვერ ახერხებენ აუცილებელ მტკიცებულებათა შეგროვებას, თუმცა ამის შესაძლებლობანი არის. ყოველი მეოთხე საქმე შეწყვეტილია დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო ბოგდანოვკის, მცხეთის, თელავის შინაგან საქმეთა განყოფილებებში, ყოველი მეხუთე საქმე — გარდაბნის, გურჯაანის, დმანისის, საჩხერის, თერჯოლის შინაგან საქმეთა განყოფილებებში. ზოგჯერ გამომძიებელი ნაჩქარევად ღებულობს გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის თაობაზე.

1974 წლის მარტში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთში ერთი ოჯახიდან 3 კაცი დაიღუპა. შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელმა ზურაბაშვილმა უხარისხოდ და არაობიექტურად გამოიძია საქმე და იგი წარმოებით შეწყვიტა. საქართველოს სსრ შსს საგამომძიებლო სამმართველომ განაახლა ეს საქმე. დამნაშავე ამჟამად მსჯავრდებულია, მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ასევე უსაფუძვლოდ ორჯერ შეწყვიტეს ახმეტის შს განყოფილების ყოფილმა გამომძიებელმა ფეტვიაშვილმა და ყვარლის რაიონის განყოფილების უფროსმა გამომძიებელმა სირბილაშვილმა სისხლის სამართლის საქმე ბაჩიაშვილის შესახებ, რომელმაც მოახდინა ავტოავარია. საგამომძიებლო სამმართველომ განაახლა, ბაჩიაშვილის დანაშაული დადასტურდა, იგი გასამართლებულია და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კანონიერების განუხრელად დაცვა იყო, არის და მომავალშიც იქნება საგამომძიებო საქმიანობის შეფასების ძირითადი მაჩვენებელი. ყველა ჩვენი მუშაკის, მიუხედავად წოდებისა და რანგისა, მოვალეა მკაცრად აღევნოს თვალყური კანონიერების განხორციელებას. სოციალისტურ საზოგადოებაში დაუშვებელია კანონისაგან ოდნავი გადახრაც კი.

გამომძიებელს, რომელიც მოქმედებს სახელმწიფოს სახელით, შეუძლია დამნაშავის მიმართ გამოიყენოს სხვადასხვა სანქცია და პროცესით გათვალისწინებული იძულების ნორმები, შევიდეს დანაშაულში ექვმიტანილის ბინაში, გაეცნოს კორესპონდენციებს, ამოიღოს საქმისათვის საჭირო ნივთები, აუცილებელ შემთხვევაში დააკავოს დამნაშავე. გამომძიებელი საქმის აღძვრის შემდეგ ყველა საგამომძიებო მოქმედებას ატარებს კანონით გათვალისწინებული ყველა წესის დაცვით. დამოუკიდებლად გამონაკლისისა, როდესაც საჭიროა



პროკურორისაგან ჩხრეკის ჩატარებისა და წინასწარი პატიმრობის შეფარდების სანქციის მიღება.

შარშან მოქალაქეთა უკანონოდ დაპატიმრებულთა რიცხვი წინა წელთან შედარებით შემცირდა 33,3 პროცენტით.

1974 წელს გამამართლებელი განაჩენის გამო წინასწარ პატიმრობიდან განთავისუფლდა 10 პირი, აქედან 8 პირი დანაშაულის ნიშნების არარსებობის მოტივით.

მოქალაქეთა უკანონო დაპატიმრების შემთხვევები დაუშვავს აფხაზეთის ასრ გამომძიებლებმა ვარტიკიანმა და ჩილინგაროვმა, ქ. თბილისის საგამომძიებლო განყოფილების გამომძიებლებმა ციმინტიამ და ბუაძემ, მესტიის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილემ ბერიანმა და გამომძიებელმა გულედანმა, გორის შს რაიგანყოფილების ყოფილმა გამომძიებლებმა ნინიკაშვილმა და სამადაშვილმა.

განსაკუთრებით საგანგაშო უნდა იყოს გამომძიებლების მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენება და უკანონობა. რა გამართლება შეიძლება მოუწინაოთ მაგალითად ლაგოდეხის შს რაიგანყოფილების უფროსი გამომძიებლის ორჯონიკიძის მოქმედებას, რომელმაც უკანონოდ დააკავა დამნაშავე ელადაშვილის დედა იმ ანგარიშით, რომ დამნაშავე გაიგებდა რა ამას, მილიციის ორგანოებში ნებაყოფლობით გამოცხადდებოდა.

სამართალდარღვევის ყველა ფაქტი უნდა გახდეს სპეციალური მსჯელობის საგანი.

ყოველმხრივ უნდა ავამაღლოთ გამომძიებლის პასუხისმგებლობა ყველა რგოლში.

მივადწიოთ კანონიერების უმკაცრეს დაცვას ყველა ჩვენი მუშაკისაგან.

ამჟამად საგამომძიებლო ქვეგანყოფილები შინაგან საქმეთა განყოფილებებს ექვემდებარებიან. ეს, რა თქმა უნდა, არ ცვლის გამომძიებლის პროცესუალურ მდგომარეობას. მიუხედავად ამისა, შს განყოფილების ხელმძღვანელები ზოგჯერ იჭრებიან გამომძიებლის ფუნქციებში და რაც მეტად სამწუხაროა, უკანონო მითითებებს აძლევენ მათ.

ქ. თბილისის კალინინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის ყოფილმა მოადგილემ ნაცვლიშვილმა გამომძიებელს უკანონო წერილობითი მითითებით გადაუღზავნა მასალები სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე.

გეგმეჭკორის შს რაიგანყოფილების უფროსმა მილიციის პოლკოვნიკმა ჯღარკავამ, იმისათვის, რომ შეეღამაზებინა სოციალისტური საკუთრების გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით მუშაობის მაჩვენებლები, გამომძიებელი ბალათურია აიძულა აღედრა სისხლის სამართლის საქმე ნაჭყებიას მიმართ სახელმწიფო ქონების გატაცებაზე, მაშინ როცა ნაჭყებიას მოქმედებაში იყო დაუდევრობის ნიშნები. მანვე აიძულა გამომძიებლები წურწუშია და ბალათურია გამოეძიებინათ პროკურატურის ორგანოების ქვემდებარე საქმეები კიკაღიშვილის და ხურცილავას მიმართ, რომლებსაც დაუდევრობაში და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ედებოდათ ბრალი.

შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლები ბოლო ხანს დიდ ყურადღებას უთმობენ საგამომძიებო ვადების დაცვას. და მაინც ვადის დარღვევით და-

თავრდა საქმეთა 8,5 პროცენტი, მაშინ, როდესაც საკავშირო მაჩვენებელი შეადგენს 6,8 პროცენტს.

გამოძიების ვადები, ძირითადად, ირღვევა ავტოავარიის საქმეთა გამოძიების დროს, სახელმწიფო ქონების დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცების, პირადი ქონების ქურდობის და სხვა კატეგორიის საქმეებში.

განსაკუთრებით ცუდად არის ამ მხრივ საქმე ბოგდანოვკის, გეგეჭკორის, დმანისის, მესტიის, წალკის, ბოლნისის, ლენტეხის, ზესტაფონის, თეთრიწყაროს, ჩხოროწყუს, ახალციხის, ახმეტის, ბორჯომის, გურჯაანის, ზუგდიდის, კასპის, საგარეჯოს, თელავის, ხაშურის შს განყოფილებებში.

ბევრ შემთხვევაში ამის მიზეზია გამოძიების უსაფუძვლოდ გაჭიანურება, სისხლის სამართლის საქმის ნაჩქარევად აღძვრა არასრული მასალების საფუძველზე, გამოძიებლის არაორგანიზებულ და უეგვმო მუშაობა, მოკვლევის ორგანოებთან არადაამაკმაყოფილებელი კონტაქტი, დოკუმენტალური რევიზიების, საბუღალტრო და სხვა ექსპერტიზების დავიანებით დანიშვნა და სხვა.

ამის თავიდან აცილება შეიძლება გამოძიებლების საქმიანობისადმი კონტროლის გაძლიერებით. საგამომძიებლო ქვეგანყოფილების უფროსებისა და ზონალური გამოძიებლების მიერ.

საგამომძიებლო აპარატი მოწოდებულია შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი დანაშაულობათა მიზეზების გამოვლენის, შესწავლისა და აღკვეთისათვის. საგამომძიებლო ქვედანყოფების გამოძიებლები პროფილაქტიკურ მუშაობას სერიოზულ ყურადღებას უთმობენ.

ბოლო ხანს გამოძიებლები უფრო მიზანდასახულად და კონკრეტულად, ღრმად და კვალიფიციურად ირკვევენ საქმის გარემოებებს, სახავენ ორგანიზაციულ და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა კომპლექსს დანაშაულობათა მიზეზების თავიდან ასაცილებლად.

გაიზარდა წარმოებების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელობის სახელზე შეტანილ წარდგინებათა რაოდენობა.

მაგრამ პროფილაქტიკურ საქმიანობაში ბევრი ნაკლოვანებებია. გამოძიებლები ხშირად ფორმალურად ეკიდებიან წარდგინებათა შეტანას, სუსტად იყენებენ ამ საქმეში საზოგადოებრიობის დახმარებას, ბეჭდვით სიტყვას, რადიოსა და ტელეხედვას, გამოძიებლები ჯერ კიდევ იშვიათად გამოდიან მშრომელთა კოლექტივებში მოხსენებებით მათ წარმოებაში მყოფ საქმეთა შესახებ.

საგამომძიებლო აპარატების სიწმინდის, მისი შემადგენლობის აღზრდის საკითხი იყო და რჩება ჩვენს ერთერთ მნიშვნელოვან პრობლემად.

შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ გამოძიებლების მიმართ არასოდეს ყოფილა ისეთი მაღალი მომთხოვნელობა, როგორიც იგი არის ამჟამად.

შინაგან საქმეთა ორგანოების საგამომძიებლო აპარატის მუშაკები ყველაფერს გააკეთებენ მათ წინაშე დასახულ ამოცანათა წარმატებით გადასატრელად.

ღირსეულად შეასრულებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, თავიანთ წვლილს შეიტანენ დანაშაულობის შემცირებასა და აღმოფხვრაში.



სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის განვითარება

პროფ. ს. ჯორჯანიძე

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 250-ე ფლინთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე 1975 წლის 7 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევემ აღნიშნა:

„მეცნიერებათა აკადემიას შეუძლია იამაყოს თავისი ორნახევარი საუკუნის ისტორიით. მან ძნელი, მაგრამ ჭეშმარიტად სასულიერო გზა განვლო. რუსეთის მეცნიერებათა აკადემია იქმნებოდა და მოქმედებდა მეფის რეჟიმის დესპოტიზმის, ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ჩამორჩენის ძნელ პირობებში, როცა მეცნიერებისა და კულტურის საკითხებისადმი გულგრილი იყო გაბატონებული კლასების უმეტესი ნაწილი. მაგრამ აკადემიამ შეძლო თავის გარშემო შეეკავშირებინა ყოველივე საუკეთესო, რისი მოცემაც შეეძლო ქვეყნის სამეცნიერო და კულტურულ ცხოვრებას იმ დროს, შეძლო დაეყრდნობოდა დასავლეთის პროგრესულ მეცნიერთა გამოცდილებას... თავისი მოღვაწეობის შედეგად მეცნიერებათა აკადემიამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ჩვენი დიდი ქვეყნის ყველა ხალხის მეცნიერების, კულტურის და განათლების განვითარებაში“.

სსრკ აკადემია ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. მსოფლიო ვეროპის რამდენიმე ქვეყანაში დაარსდა უფრო ადრე სამეცნიერო აკადემიები. რუსეთში მეცნიერებათა აკადემიის დაარსება პეტრე I გარდაქმნების დამამთავრებელ ეტაპს წარმოადგენდა.

1724 წლის იანვარში პეტრე I ხელი მოაწერა სენატის „გადაწყვეტილებას აკადემიის შესახებ“ და განიხილა მისივე მითითებით შედგენილი აკადემიის შესახებ დებულების-გენერალური რეგლამენტის პროექტი. იგი იყო მოქმედი ძირითადი ნორმატიული აქტი თითქმის მეოთხედი საუკუნე — 1747 წლამდე. ამ აქტით აკადემიას განსაკუთრებული სამართლებრივი მდგომარეობა ჰქონდა. იგი სენატსაც კი არ ემორჩილებოდა და იმყოფებოდა „იმპერატორის, როგორც პროტექტორის გამაგებლობაში“. ამას-

თან ერთად გათვალისწინებული იყო მართვის ავტონომიურობა. სამეცნიერო მოღვაწეობა აკადემიკოსისა განიხილებოდა როგორც სახელმწიფო სამსახური. მეტიც, მთელი შტატი აკადემიისა აკადემიკოსიდან დაწყებული სახელმწიფო კამაყოფაზე იმყოფებოდა. ამ გენერალური რეგლამენტით გათვალისწინებული ბევრი პროგრესული დებულება ვერ განხორციელდა ცხოვრებაში. 1747 წლის წესდება აქარწყლებდა ავტონომიურობის ყოველგვარ ნიშანწყალს. პრეზიდენტი და კანცელარია აკადემიკოსთა მონაწილეობის გარეშე წყვეტდნენ ბევრ საჭირობოტოტო საკითხს. სამაგვიეროდ წესდება დეტალურად აწესრიგებდა აკადემიკოსთა უფლება-მოვალეობებს. მაგალითად წესდების 23-ე პუნქტით „აკადემიკოსები, რომლებსაც მეცნიერულ საკითხებზე ერთმანეთის საწინააღმდეგო შესვლულებანი აქვთ, ვალდებული არიან ურთიერთ დისკუსიის წესებს დაცვით წარმართონ და აკადემიკოსები პატივი სცენ იმ ადგილს, სადაც ისინი იმყოფებიან, წინააღმდეგ შემთხვევაში კონფერენც-მდივანს როგორც პროკურორის თანამდებობაზე მყოფს, წესდების დაცვით შეუძლია აკრძალოს დავის გაგრძელება და ამის შესახებ უნდა უპატაკოს პრეზიდენტს“.

სამეფო კარი უფრო სახელმწიფოებრივ, სამკაულად განიხილავდა აკადემიას, ვიდრე ზრუნავდა მასზე. სახელმწიფოებრივი ბრწყინვალეობის ერთ-ერთ ფაქტორად ქცეული აკადემია წარმოადგენდა იმ დროის უმთავრეს ობიექტს, რომელსაც ათვალთვნიებდნენ უცხოეთის საპატიო სტუმრებსა და დიპლომატებს. სამეფო ზეიმებსა და ცერემონიებზე აკადემიის წინაშე თანამყოფობა და ფართო მონაწილეობა არ იყო მისი მოღვაწეობის ფართოდ გაშლის პირობა.

1803 წელს მიღებული ახალი წესდება მთელ რიგ ახალ და პროგრესულ მომენტებს ითვალისწინებდა. მისი თავისებურება უპირველესად იმაში მდგომ-

¹ იტალიაში ერთგული აკადემია 1603 წელს დაარსდა, ბუნებისმეტყველთა გერმანული აკადემია „ლეოპოლდინა“ 1652 წელს, ლონდონის სამეფო საზოგადოება, რომელიც ფაქტიურად დიდი ბრიტანეთის სამეცნიერო აკადემიის როლს ასრულებს — 1660 წ., ხოლო საფრანგეთის პარიზის სამეცნიერო აკადემია 1666 წ. გერმანიის მეცნიერებათა აკადემია ბერლინში 1700 წელს, იტალიის მეცნიერებათა ბოლონიის აკადემია 1711 წ. იხ.



რეობდა, რომ მოიხსნა საჭიროება უნივერსიტეტის შესახებ სპეციალური პარაგრაფის არსებობისა.

რუსეთში აკადემიის დაარსება წინ უსწრებდა უნივერსიტეტების შექმნას. ამიტომ აკადემიური უნივერსიტეტი განიხილებოდა პირველ ორ წესდებაში, როგორც ნაწილი აკადემიისა და მას სპეციალური პარაგრაფი ეძღვნებოდა.

1803 წლის წესდება კი იქიდან გამომდინარეობს, რომ ახლა უნივერსიტეტები დამოუკიდებელი დაწესებულებებია, თუმცა აკადემიის რეგლამენტის მე-6 პუნქტი იძლევა აკადემიისა და უნივერსიტეტების თანამშრომლობის იურიდიულ საფუძვლებს.

ამ წესდებაში პირველად არის ნათქვამი, რომ აკადემია იმპერიის პირველი სამეცნიერო საზოგადოებაა. პირველად იქნა შემოღებული მუდმივი მდივნის (Непрерывный секретарь) თანამდებობა, რომელიც ცნობილი მეცნიერი უნდა ყოფილიყო და აუცილებლად აკადემიკოსი. იგი პრეზიდენტის გვერდით იჯდა კრებებზე (ეს თანამდებობა არსებობდა აკადემიის სისტემაში 1937 წლის აგვისტომდე). წესდება აკადემიკოსის უპირველეს მოვალეობად მიიჩნევდა იმას, რომ მას მთელი თავისი ძალები გამოეყენებინა ახალი აღმოჩენებით მეცნიერების სრულყოფისათვის და ამ გზით კაცობრიობის ცოდნის გამდიდრებისათვის. აკადემიკოსის მეორე მოვალეობად ითვლებოდა ის, რომ ეხელმძღვანელა ადიუნტისათვის, რომელიც მის თანაშემწედ იწოდებოდა, დაეშვა იგი თავისი ცდებისა და დაკვირვებების შესრულებისას, ყოველმხრივ შეეწყობ ხელი, რათა მას მეცნიერებაში საჭირო ხარისხი მოეპოვებინა, და მიეღწია აკადემიკოსობისათვის. ამას გარდა აკადემიკოსს უნდა ჰყოლოდა ერთი აღსაზრდელი, რომელიც შემდგომ უნდა გამხდარიყო ადიუნტი.

აკადემიასთან აღსაზრდელთა განსაზღვრული რიცხვი არსებობდა, რომელიც განსაკუთრებული ყურადღებით შეირჩეოდა იმის მიხედვით, რომ ჰქონდათ „მუდმივი სწრაფვა და ჩინებული უნარი“ ერთერთ იმ მეცნიერებაში, რომელიც აკადემიაში იყო წარმოდგენი-

ლი. ამ წესდების შესაბამისად, აკადემიამ დაიწყო ახალგაზრდების მომზადება ადიუნტობისათვის. ცნობილია, რომ 1803 წელს შერჩეული იქნა 11 გიმნაზისტი აკადემიის აღსაზრდელად. შემდგომ მათგან ორი გარდაიცვალა, სამი გარიცხული იქნა აკადემიის აღსაზრდელთა სიიდან. დანარჩენებიდან ერთმა დატოვა აკადემია, როგორც უნივერსიტეტის კანდიდატმა, მეორემ როგორც მედიცინის დოქტორმა. მესამე წავიდა აკადემიიდან პეკინში ექსპედიციასთან ერთად, ხოლო სამი არჩეულ იქნა ადიუნტებად. ამ უკანასკნელთაგან ორი შემდგომ აკადემიკოსი გახდა.³ სამწუხაროდ 1830 წლიდან აკადემიაში შეწყდა აღსაზრდელების მიღება და თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე 1929 წლამდე აკადემია აღარ ზრდიდა ახალი პირანტებს.

აკადემიის ახალი ძალებით შევსება უპირატესად უნივერსიტეტების მეცნიერთა ხარჯზე ხდებოდა. მეცნიერული ცვლის მომზადებისაგან გვერდზე გადგომა აკადემიის ყველაზე ხერითული ნაკლი იყო იმის არსებობის მთელ საბოჭთამდე პერიოდში. წესდების მე-6 პარაგრაფით აკადემია, როგორც „ვეყენის უპირველესი სამეცნიერო დასი“ წყვეტს იმ დავებსა და ეჭვებს, რომელთა გადაწყვეტა სჭირდებათ ცალკეულ ადგილებსა და პირებს. 1836 წლის წესდება სანქტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ყველაზე ხანგრძლივად მოქმედი წესდება იყო, თუმცა ბევრჯერ იყო ცდა შეეტანათ მასში მნიშვნელოვანი ცვლილებები.⁴ სხვადასხვა ცვლილებებით ეს წესდება მოქმედებდა 1927 წლამდე.

მეფის ხელისუფლება ითმენდა სამეცნიერო აკადემიის არსებობას და ყოველმხრივ ცდილობდა ხალხისაგან ჩამოეშორებინა მეცნიერების გარდამქმნელი გავლენა წმინდა მეცნიერების ლოზუნგის დაცვით, რომელიც თითქოს გათიშული უნდა ყოფილიყო პოლიტიკისაგან. მაშინდელ ძნელ ვითარებაში აკადემიკოსების უდიდესი უმრავლესობა დაჟინებით იღწეოდნენ იმისათვის, რომ მეცნიერება ხალხის სამსახურში ჩამოეგარიყო. თავიანთ უმეყოფილებას არსებული რეჟიმის მიმართ ისინი ხშირად აკადემიის წესდების ნაკლოვანებებით ხსნიდნენ.

² ცნობილია, რომ 1761 წელს საიმპერატორო აკადემია დაათვალიერა თეიმურაზ II. აკადემიის სტამბის მსახური თავიანთ პატივისცემას გამოხატავენ იმით, რომ „მემკვიდრე მეფეს საქართველოსას“ უძღვნიან ამ დღის სახსოვრად ქართულ ენაზე დაბეჭდილ მიმართვის ტექსტს. იხ. ვ. მაჭარაძე, მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. თეიმურაზის ელჩობა რუსეთში რუსეთში. 1968, ნაწ. II, გვ. 232.

³ იხ. П. П. Сушкин. Подготовка новых работников Академии, კრებული «Академия Наук СССР за десять лет 1917 — 1927» 1974 г. გვ. 219 — 220.

⁴ იხ. ბ. ვ. ლევინის შესავალი წერილი კრებულში «Уставы Академии Наук СССР» გვ. 19 — 20.

დამახასიათებელია, მათი პოზიცია რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში. ცნობილია, რომ ამ რევოლუციამ გამოძახილი ჰქონდა მთელ პლანეტაზე, რუსეთის აკადემიური მეცნიერება რა თქმა უნდა, ვერღულ ვერ დადგებოდა ამ მოვლენის მიმართ. რუსული დემოკრატიული ინტელიგენციის პატრიოტიზმი დრმა და აქტიურ ჰუმანიზმს გულისხმობდა. აკადემიკოსთა პროტესტმა თავისი გამოსახულება ყრუ უკმაყოფილებასა და ჩუმი კრიტიკის ქვეტექსტში როდი ჰქონდა. პატრიოტი აკადემიკოსები სრულიადაც არ ფიქრობდნენ შეესრულებინათ „მკაცრების გენერლების როლი“, რომლისთვისაც უცნობა ჯარისკაცთა და მასის მოთხოვნებიანი. 1905 წლის იანვარში პრესაში გამოქვეყნდა წერილი განათლების საჭირობოთო საკითხებზე, რომელსაც 342 მეცნიერი, მათ შორის 17 აკადემიკოსი აწერდა ხელს. რევოლუციური კლიმატი განსაზღვრავდა ამ წერილის ტონს. მასში პირდაპირ აღნიშნული იყო, რომ „მოაგრობის პოლიტიკა ხალხის განათლების დარგში შთაგონებულა უპირატესად პოლიციური ხასიათის მოსაზრებებით, რაც ამხურუჭებს განათლების განვითარებას. ეს პოლიტიკა აფერხებს ხალხის სულიერ განვითარებას და სახელმწიფო დაცვს უღე მიჰყავსო“. სიტუაციის სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ სამიშრატორო აკადემიის წევრები, რომლებიც რუსეთის მეცნიერების დიდებს წარმოადგენენ, პროტესტსა და უკმაყოფილებას აკადემიის წესდების მოთხოვნათა შესაბამისად და იერარქიული წესების დაცვით კი არ გამოთქვამდნენ, არამედ აშკარად, შეუნიღბავად წერდნენ მასობრივ პრესაში, მსუსხავ სინამდვილეზე. ამ მოქმედებას დაუყოვნებლივ მოჰყვა მეფის ხელისუფლების რეპრესია. აკადემიის პრეზიდენტი დიდი თავადი კ. კ. რომანოვი ცირკულარულ წერილში, რომელიც აკადემიკოსებს დაევაზანა, მათ ბრალს სდებდა, რომ „მეცნიერებისაგან ისინი პოლიტიკის იარაღს ქმნიან“, არღვევენ კანონს და აქტიუბენ სტუდენტთა არეულობას. ამასთან დიდი თავადი აყვედრიდა აკადემიკოსებს მათ დიდ სახაზინო ხელფასს, რომ მათ ჯერ უნდა უარი თქვან სახაზინო რჩენისაგან, რომლითაც ისინი სარგებლობენ გაკიცხულ მთავრობის მხრივ და შემდეგ მოითხოვენ — პოლიტიკური თავისუფლებაო. ეს ბღალავდა მეცნიერთა ღირსებას: დიდი ხელფასის გამო მათ სიმართლე არ უნდა ეთქვათ. აკადემიის წევრები არ შეურიდნენ ღირსების ამგვარ შელახვას. გამოჩენილი რუსი ზოოლოგი აკადემიკოსი ვ. ვ. ზაღენსკი თავის წერილში აკადემიის პრეზიდენტისადმი ზიზღით წერდა, რომ ფულს ხალხი იძლევა და მთავრობა მხოლოდ ანაწილებს მას, არ თვლის, რომ

ხელფასს მას მთავრობისათვის განსაკუთრებული სამსახურის გამო იღებს.

აკადემიკოსი ა. ა. შანმატოვი წერდა: „ეს ჯამაგირი ჩვენ იმისათვის კი არ გვეძლევა, რომ ჩვენ არ გავიცხოთ მთავრობა, არამედ იმისათვის, რომ ჩვენ რუსი ხალხისა და რუსეთის სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის ვიმუშაოთ“.⁵

რუსეთის პირველი რევოლუციის წინა და მის შემდგომ პერიოდში მთელი რიგი ცვლილებები იქნა შეტანილი წესდებში, თუმცა მათ წესდების არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია. პირველმა მსოფლიო ომმა მკვეთრად გამოაჩინა კარიზმის დასავსებულება. გამონრდა განათლებისა და მეცნიერების ჩამორჩენილობა. ეს პატრიოტ მეცნიერთა აქტიურ გულისტკივილს იწვევდა. ისინი აკადემიის ძირეულ რეორგანიზაციას მოითხოვენ. ეს გულისხმობდა აკადემიის წესდების შეცვლასაც, რაც იმ დროს ვერ განხორციელდა.

აკადემიამ თავის ერთერთ უპირველეს ამოცანად დაისახა ქვეყნის ბუნებრივი საწარმოო ძალების შესწავლა და ხალხის სამსახურში ჩაყენება. ამ მიზნით 1915 წლის თებერვალში შეიქმნა რუსეთის ბუნებრივი საწარმოო ძალების შესწავლის მუშავი კომისია, რომელსაც გამოჩენილი რუსი მეცნიერი აკად. ვ. ი. ვერნადსკი მეთაურობდა. კომისიის მუშაობა გაღრმავდა და გაფართოვდა. სწორედ ამ კომისიის წევრთა ინიციატივით შემუშავდა აკადემიის რეორგანიზაციისა და რუსეთში სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების სახელმწიფოებრივი ქსელის შექმნის წინადადება. საქმე ისაა, რომ რევოლუციამდელ რუსეთში აკადემიის სისტემაში არ არსებობდა არც ერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, როგორც სამეცნიერო კვლევის წარმოების ორგანიზაციული ფორმა. პირველი ინსტიტუტი, რომელიც შეიქმნა აკადემიის სისტემაში იყო კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი თბილისში, რომელმაც ფუნქციონირება დაიწყო 1917 წლის ივნისიდან.⁶

თებერვლის რევოლუციის შემდეგ 1917 წლის მაისში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოებრივად ჩამოცილდა „სამიშრატორო“. შეიცვალა აკადემიის წესდების ზოგიერთი პუნქტიც. თუ აქამდე აკადემია მთავრობაში შუამდგომლობით შედიოდა განათლების სამინისტროს მუშავობით, ახლა იგი უშუალოდ შედიოდა მთავრობაში შუამდგომლობით საკითხების გადასაწყვეტად. გაფართოვდა აკადემიის ავტონომიურობა, მათ შორის ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ახლა პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი კი არ ინიშნებოდა, არამედ მას თვითონ აკადემიის წევრები ირჩევენ ორდინარულ აკადემიკოსთა რიცხვიდან ხუთი წლის ვადით. პირველი არჩევითი პრეზიდენტი

⁵ იხ. История Академии Наук СССР 1964, т. II, гл. 466 — 467.

⁶ იხ. კრებული Организация науки в первые годы Советской власти 1917—1925 гг., 1937 гг., 1966, гл. 59.

⁷ დაწერილებით ამ ინსტიტუტის შესახებ. იხ. ჩვენი «Учреждения Академии Наук СССР и Тбилисский университет» (Документы и факты)» 1974 г., гл. 36 — 58.



აკადემიისა გახდა აკადემიკოსი ა. პ. კარპინსკი (1917-1936 წ.წ.). ამასთან აკადემიის წევრთა სასარგებლოდ შეიზღუდა პრეზიდენტის ზოგიერთი აღრინდელი უფლება აკადემიის საჭირობოთო საკითხების ერთპიროვნულად გადაწყვეტისა.. აკადემიის ცხოვრებაში აშკარად შეინიშნებოდა განვითარების ახალი მიმართულებანი.⁸ მაგრამ დროებითი მთავრობის ბატონობის პირობებში მან ვერ პოვა შემდგომი გზა. სრულად ახალი ეტაპი დაიწყო აკადემიის ისტორიაში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ.

გამარჯვებული მუშათა კლასი ძალაუფლების აღებით მხოლოდ იწყებს საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნას. მბრძანებელ ეკონომიურ მწვერვალებთან ერთად იგი იპყრობს კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, უმაღლეს სკოლას, რომლებიც აგრეთვე „მბრძანებელი მწვერვალებია“.⁹ ამასთან ამ უკანასკნელთა დაუფლებას რევოლუციური ხელისუფლების მიერ რიგი თავისებურებებისა ახლავს. ძველის მსხვრევა, ახლის შექმნა თავისებურია არამარტო მეცნიერ მუშაკის შრომის სპეციფიკურობის გამო, არამედ იმიტომ, რომ რევოლუცია არ აყენებს იმის აუცილებლობას, რომ ძველ სახელმწიფოსთან ერთად დაიმსხვრეს ისეთი ორგანიზაციული ფორმა, როგორიც მეცნიერებათა აკადემიაა. ამის შესახებ ვ. ი. ლენინი მიუთითებდა ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამდე. ისეთი დაწესებულება, როგორიც აკადემიაა, არ შეიძლება დავანერით და არც არის საჭირო. ის უნდა გამოვლიოთ ძველი გაბატონებული კლასების დაქვემდებარებიდან და ამით უფრო ფართო, უფრო ყოვლისმომცველ და უფრო საერთო სახალხოდ ვაქციოთ.¹⁰ ვ. ი. ლენინი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სწორედ ამგვარ პოლიტიკას ახორციელებს მეცნიერებათა აკადემიის მიმართ.

ვ. ი. ლენინმა კარგად იცოდა აკადემიის ძლიერი

და სუსტი მხარეები. იგი დაქინებული მოწინააღმდეგე იყო აკადემიის ნაჩქარევი რეორგანიზაციისა.

რევოლუციამდელი აკადემია არსებითად იყო კარჩაკეტილი ორგანიზაცია, რომელიც სწორად კარჩაკეტილობის გამო წვერობაზე უარს ეუბნებოდა მსოფლიო სახელის რუს მეცნიერებს. სწორი ამიტომ იყო, რომ 1917 წლის დასაწყისში კ. ა. ტიმირიაზოვი აღმოფხვრებით წერდა: „აკადემიის რომელსაც თავის რიგებში არ ჰყავს არც მენდელეევი, არც ცენკოვსკი, არც სეჩენოვი, არც სტოლეტივი, არც ლებედევი და სულ ცოტა ხნის წინ გამოეთხოვა ფოქდოროვს, ასეთი აკადემია სულ ერთია არ არსებობს რუსი ხალხისათვის“.¹¹

ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ აკადემიის ნაჩქარევი რეორგნების შედეგად დაეფრთხო მეცნიერებათა ასოციაციისაგან, რაც მხოლოდ დაყოვნება მთ მოზიდვას სოციალიზმის მშენებლობაში, 1918 წლის დასაწყისში სახალხო განათლების კომისარიატის მთავარ სამეცნიერო განყოფილებაში, რომელსაც მეცნიერებათა აკადემია ემორჩილებოდა,¹² დაიბადა აზრი მეცნიერებათა აკადემიის რეორგანიზაციისა და მის მაგივრად სამეცნიერო დაწესებულებათა ასოციაციის შექმნისა, რომელშიც შევიდოდნენ ფედერაციის საწყისებზე სხვადასხვა საზოგადოებანი და მეცნიერ-სპეციალისტების გაერთიანებანი. მეცნიერებათა აკადემია მ. ნ. პოკროვსკის აზრით შეიძლება გარდაიქმნას მეცნიერებათა ასოციაციად.¹³ მეტიც კონკრეტულად მუშავდებოდა წინადადებანი მეცნიერების ასოციაციის შექმნისა.¹⁴ გამოთქმული იყო კიდევ უფრო მემარცხენე შეხედულებანი მეცნიერებათა აკადემიის წინააღმდეგ. ასე მაგალითად ჩრდილოეთის ოლქის კომუნების კავშირთა განათლების დარგის კომისარიატის სამეცნიერო განყოფილება თვლიდა, რომ აკადემიის ტიპის უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულებანი დაუყოვნებლივ უნდა გაქმნებულყოვნენ, როგორც „სრულიად ზედმეტი გადანაშთი კლასობრივი საზოგადოების განვითარების ცრუ-

⁸ იხ. Г. Д. Комков, Б. В. Левшин, Л. К. Семенов. Академия Наук СССР. Краткий исторический очерк, 1974 г., зб. 252.

⁹ სკაბ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების, რეზოლუციებისა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. I, 1954, გვ. 672.

¹⁰ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 34, გვ. 312.

¹¹ К. А. Тимирязев. «Наука и демократия. Сборник статей 1904 — 1919», 1963 г., зб. 447.

¹² მეცნიერებათა აკადემია დაუსაბუთებლად და გაუმართლებლად თვლიდა განათლების სახალხო კომისარიატის მთავარ სამეცნიერო განყოფილებისადმი დამორჩილებას და დაქინებით მოთხოვნად, პქონაოდ უფლება უშუალოდ მიემართა მთავრობისათვის და უშუალოდ მას დაქვემდებარებოდა. ეს დავა განათლების სახალხო კომისარიატის მთავარ სამეცნიერო განყოფილებასთან დამთავრდა იმით, რომ საბჭოთა მთავრობამ მხარი დაუჭირა მეცნიერებათა აკადემიას. მისი სსრ კავშირის აკადემიად გადაქცევის პერიოდიდან იგი უშუალოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარა (იხ).

Г. И. Фельдкин. Правовые вопросы научной работы в СССР. 1958, зб. 55).

¹³ იხ. И. С. Смирнов. Ленин и советская культура, 1960, зб. 266.

¹⁴ იქვე, зб. 267.

კლასიკური ეპოქისა. კომუნისტური მეცნიერება შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც საერთო სახალხო კოლექტიური შრომითი სასიცოცხლო საქმე და არა როგორც მისნობა მიუწოდებელ ტაქტიკაში, რომელსაც მივყავართ სინეკურამდე, ქურუმობის კასტურ ფსიქოლოგიამდე და შეგნებულ ანდა კეთილსინდისიერ შარლატანობამდე.¹⁵

ამგვარი შეხედულებები მხოლოდ ზიანს აყენებდა იმ ლოიალურ, ჯანსაღ კონტაქტებს, რაც საბჭოთა მთავრობისა და აკადემიურ მეცნიერებას შორის დამყარდა ახალი ხელისუფლების გამარჯვების პირველსავე თვეებში. აკადემიამ მისი პრეზიდენტის აკად. ა. პ. კარპინსკის სახელით მიმართა განათლების სახალხო კომისარიატს. ამ წერილში გამოთქმული იყო პრინციპულად უარყოფითი დამოკიდებულება იმ ნაჩქარევი და გაუმართლებელი რეფორმების მიმართ, რომელიც არ ითვალისწინებდა აკადემიის როგორც სამეცნიერო დაწესებულების უადრესად რთულ ბუნებას. აკადემიის ხელმძღვანელობა ყოველგვარი რეფორმის წინააღმდეგი როდი იყო. იგი მოითხოვდა მხოლოდ იმას, რომ ეს რეფორმა არ ქცეულიყო „რეფორმად მხოლოდ ქაღალდზე და ამიტომ სიცოცხლის უუნარო, ანდა რომ შემოქმედებითის ნაცვლად არ გამხდარიყო დამანგრეველი“.¹⁶

საქმეში ჩაერია პირადად ვ. ი. ლენინი. ჩარევა სრულიად არ ყოფილა ნაკარნახევი კონსუქტურული მოსაზრებებით. როგორც აღვნიშნეთ, ვ. ი. ლენინი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამდე ხაზგასმით მიუთითებდა, რომ მეცნიერების მთავარი ორგანიზაციული ფორმა კი არ უნდა იქნეს დანგრეული, არამედ გამოყენებული და შემდგომ სრულყოფილი ახალი ხელისუფლების მიერ. ვ. ი. ლენინი პირდაპირ მოითხოვდა აკადემიის რეორგანიზაციის შეჩერებას და იმას, რომ მთელი ყურადღება გადაეტანათ მეცნიერება პრაქტიკული ჩაბმისათვის ახალი საზოგადოების მშენებლობაში.

განათლების სახალხო კომისარს ა. ვ. ლუნაჩარსკის ვ. ი. ლენინი იმ დროს პირდაპირ ავალბებდა: „ოქვენ აკადემიას ნუ ანგრევთ, რეფორმებით ნუ ხართ გართული. ჩვენ ისედაც ბევრი სხვა საქმე გვაქვს. ის რომ მათ უნდათ დახმარება — ეს კარგია. და თქვენ ამის შესახებ გამოაცხადეთ მთელს მსოფლიოში, რომ მეცნიერების აკადემიამ იცნო ჩვენი

ხელისუფლება“.¹⁷

ვ. ი. ლენინი დიდი ტაქტით ეყრდნობოდა აკადემიას, არ უყენებდა აკადემიკოსებს საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობისათვის რაიმე პოლიტიკურ-ორგანიზაციულ პირობებს. მათგან მოითხოვდა პატრიოტიზმს, სამშობლოსა და მეცნიერებისადმი გულწრფელ სამსახურს. ვ. ი. ლენინი თვლიდა, რომ თავისებური ფორმით უნდა მოხდეს მეცნიერთა და სპეციალისტთა ჩაბმა სოციალიზმში. ა. ვ. ლუნაჩარსკი იფიქრებს, რომ ვ. ი. ლენინი მათ ბევრჯერ უზნებოდა: „ამა თუ იმ დარგის მსხვილი მეცნიერი, დიდი სპეციალისტი საჭიროა შევიწარმოოთ უკანასკნელ შესაძლებლობამდე, თუნდაც რომ ის რეაქციონერი იყოს“.¹⁸

ამ ფრთხილ და შორსმჭვრეტელურ პოლიტიკას უდიდესი შედეგები მოჰყვა რევოლუციის პირველ წლებშივე. მსხვილ მეცნიერთა სწრაფვა მთვებული დარგის განვითარებისა შემეხვედრ ინტერესად იქცა ახალი სახელმწიფო ხელისუფლებისათვის. ამ ხელისუფლებისაგან მეცნიერებათა აკადემიამ ვ. ი. ლენინის „მეცნიერულ-ტექნიკური სამუშაოების გეგმის მონახაზების“ სახით, მიიღო ისტორიული დოკუმენტი — პროგრამა, რომლის ძალა უპირველესად იმაში მდგომარეობდა, რომ იგი გამსჭვალული იყო აკადემიის მეცნიერებათა შემოქმედებითი ძალების რწმენით. ვ. ი. ლენინის მიერ ჩამოყალიბებული მონახაზები სამეცნიერო-ტექნიკურ გეგმისა აკად. ვ. ლ. კომაროვის სიტყვებით „იყო რევოლუციის პირველი სოციალური შეგვეთა მიმართული მეცნიერებისადმი“.¹⁹ სწორედ ეს მონახაზები აკად. მ. ვ. კვლდისხის სიტყვებით „ფაქტურად გახდა სამეცნიერო ტექნიკური მუშაობის პირველი პერსპექტიული გეგმა“.²⁰

მეცნიერების სახელმწიფოებრივ ორგანიზაციაში ძირეული ცვლილებები მოხდა საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში. ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობდნენ აკადემიის წევრები და წევრ-კორესპონდენტები. აკადემიას არც ერთი დღე არ შეუწყვეტია თავისი მოღვაწეობა. იგი თანდათანობით და განუხრელად ემუშავა ახალი საზოგადოების მშენებლობაში. უნდა აღინიშნოს, რომ ახალი მიმართულება აკადემიის მოღვაწეობისა არ მომხდარა მისი ორგანიზაციული სტრუქტურის და წესდების ძირეული ცვლილებებით. ამიტომ არა სწორია

¹⁵ იხ. А. В. Кольцов. Ленин и становление Академии Наук как центра советской науки, 1969, 33-61.

¹⁶ იხ. Г. Д. Комков, Б. В. Левшин, Л. К. Семенов. Академия Наук СССР. Краткий исторический очерк, 33-260.

¹⁷ В. А. Ульяновская. Формирование научной интеллигенции в СССР в 1917—1968, 33-3—4.

¹⁸ А. В. Луначарский. Интеллигенция и ее место в социалистическом строительстве, ეურბ. «Революция и культура», 1929, № 1, 33-29.

¹⁹ В. Л. Комаров. Избранные сочинения, 1948, 33-508

²⁰ იხ. «Наука и человечество. Международный ежегодник», 1967, 33-28.

მტიკებმა, რომ რევოლუციის შემდეგ ცვლილებები უპირველესად უნდა შეხებოდა „მეცნიერებათა აკადემიის სამართლებრივ საფუძველს“. ²¹ სინამდვილეში აკადემიის სამართლებრივი საფუძველები რევოლუციის გამარჯვების შემდეგ არსებითად თითქმის 10 წელიწადი უცვლელი დარჩა. მეტიც, სხვა შემთხვევა არ ჰქონია საბჭოთა ხელისუფლებას რომ ასე ხანგრძლივად დაეშვა ადრე მოქმედი (1836 წლიდან) ნორმატიული აქტის გამოყენება თუნდაც მასში შეტანილი ცვლილებებით. ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არ სჭირდებოდა ახალი ორგანიზაციული ფორმის გამოთვლება აკადემიის ნაცვლად.

აკადემიის წესდებში შეტანილი ცვლილებები რასაკვირველია, სრულად ვერ ასახავდა იმ ძირეულ გარდაქმნებს, რაც საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში მოხდა. ამიტომ მრავალგზის იდგა ახალი წესდების შემუშავების საკითხი.

სსრ კავშირის (1925 წლიდან რუსეთის მეცნიერებათა აკადემია გარდაიქმნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიად) მეცნიერებათა აკადემიის პირველი საბჭოთა წესდება დამტკიცდა სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927 წლის 18 ივლისს. ²²

წესდების მრავალ პრინციპულ სიახლეთა შორის დაეხასიათებთ ზოგიერთს. წესდების პირველსავე პუნქტში განსაზღვრულია აკადემიის ადგილი ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებათა სისტემაში. მასში ნათქვამია, რომ „სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია არის უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება სსრ კავშირისა“. ამით განსაზღვრულია მისი წამყვანი როლი მეცნიერების განვითარებაში. წესდების ამავე პუნქტში ნათქვამია, რომ აკადემია უშუალოდ ექვემდებარება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს. წესდების მეორე პუნქტი განსაზღვრავს აკადემიის ამოცანებს. ეს არის: ა) განათვლიანობა და სრულყოფის ის მეცნიერული დისციპლინები, რომლებიც მათ გამოვლენაშია, გამომდინარის ისინი ახალი აღმოჩენებითა და კვლევის მეთოდებით. ბ) შეისწავლოს ქვეყნის საწარმოო ძალები და ხელი შეუწყოს მის გამოყენებას. მეცნიერული თეორიები და მეცნიერული ცდებისა და დაკვირვების შედეგები მიუსადაგოს პრაქტიკულ გამოყენებას მრეწველობაში და კულტურულ-გეონომიურ მშენებლობაში.

სამეცნიერო ექსპედიცია ამიერიდან როდია არსებითად ერთადერთი ფორმა აკადემიის გარემეცნიერული კვლევისა. წესდების მე-3 პუნქტით აკადემია სამეცნიერო-საექსპედიციო სამუშაოებს ასრულებს მის წინაშე დასახული სამეცნიერო ამოცანების შესაბამისად, ითვალისწინებდა რა ამასთან ერთად მოკავშირე რესპუბლიკების საჭიროებას და სურვილს. ცნობილია, რომ ამის შემდგომ აკადემია მართო ცალკეულ აკადემიკოსთა მეცნიერული ინტერესებიდან კი არ გამოდიოდა, არამედ მოკავშირე რესპუბლიკების საწარმოო ძალების განვითარების გადადეებელ საჭიროებიდანაც. აკადემია ამ დროიდან როდია კარჩაკეტილი ორგანიზაცია, რომელსაც მხოლოდ ლენინგრადსა და მოსკოვში აქვს რამდენიმე სამეცნიერო და სამეცნიერო დახმარე დაწესებულება. წესდების მე-8 პუნქტით აკადემიის უფლება მიეცა თავის განყოფილებათა შემაღვლნობაში დააფუძნოს კვლევითი ინსტიტუტები და აგრეთვე უფლები კომისიები კვლევითი ინსტიტუტის ტიპისა. ამ დროს ამის ნებათავე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოდან უნდა მიეღო — ეს პუნქტი იმ ძირეულ სტრუქტურული ცვლილების ნორმატიული ფიქსაცია იყო, რაც საბჭოთა ხელისუფლების პირველივე წლებიდან მოხდა აკადემიის სტრუქტურაში და რამაც პრინციპულად უცვალა. სახე აკადემიის მოღვაწეობას საბჭოთა პერიოდში.

წესდებმა ნორმატიულად აწესებს აკადემიის გეგმურ მუშაობას. წესდების მე-10 პუნქტით თავისი მოღვაწეობის გეგმა აკადემია წარუდგენს დასამტკიცებლად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და ამასთან ერთად უგზავნის მას მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებს. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ხარჯთაღრიცხვა მტიკედებოდა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მეშვეობით მისი საერთო ხარჯთაღრიცხვის განსაკუთრებული პარაგრაფით. განისაზღვრა აკადემიის შემადგენლობა. გარდა ნამდვილი წევრებისა (აკადემიკოსებისა) საბატით წევრებისა და წევრ-კორესპონდენტებისა; იგი შედგებოდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებში მომუშავე სამეცნიერო პერსონალისაგან.


აკადემიის ნამდვილ წევრად შეიძლება გახდეს მეცნიერი — სსრ კავშირის მოქალაქე, რომელმაც გაამდიდრა მეცნიერება პირველხარისხიანი მნიშვნელობის მეცნიერული შრომებით. გაიზარდა სამეცნიერო დაწესებულებათა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, მეცნიერთა ჯგუფებისა და ცალკეული აკადემიკოსის როლი ვაკანტურ ადგილებზე კანდიდატურის წამოყენებაში. წესდების 22-ე პუნქტით აკადემიის ნამდვილ წევრს ერთმეფოვდა ეს წოდება თუკი ის ვერ ამართლებდა აკადემიკოსობასთან დაკავშირებულ მოვალეობას, ანდა თუკი მისი მოქმედება აშკარად საზიანოა სსრ კავშირისათვის.

აკადემიის საბატით წევრად შეიძლება ყოფილიყო როგორც სსრ კავშირის, ისე უცხოეთის მოქალაქე, რომლებმაც მსოფლიო მნიშვნელობის შრომებით გაამდიდრეს მეცნიერება.

ამ წესდებით პირველად შეიქმნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი. იგი შედ-

²¹ «Уставы Академии Наук 1724 — 1974», გვ. 20.

²² Собрание законов и распоряжений рабоче-крестьянского правительства СССР, 1927, № 35, გვ. 367.



გებოდა პრეზიდენტის, ორი ვიცე-პრეზიდენტის, მუდმივი მდივნისა და ორი განყოფილების აკადემიკოს-მდივნებისაგან. განსაკუთრებულ გადაუდებელ შემთხვევებში აკადემიის პრეზიდენტს შეეძლო იმ საქმეთა გადაწყვეტა, რომლებიც აკადემიის საერთო კრების ან განყოფილებათა ქვემდებარება, თუმცა ამ უკანასკნელთ ამის შესახებ შემდგომ უნდა მოხსენებოდათ.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ირჩევდა აკადემიის საერთო კრება ხუთი წლის ვადით აუცილებლად ერთ-ერთ აკადემიკოს-თაგან და იგი მტკიცდებოდა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

მუდმივ მდივანს ირჩევდა საერთო კრება აკადემიკოსთაგან. ამ არჩევას ასევე ამტკიცებდა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო.

მუდმივი მდივნის მოღვაწეობის ვადა წინასწარ არ იყო განსაზღვრული. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მის არჩევას სამი დღეში ხსიათი ჰქონდა. წესდების 41-ე პუნქტით აკადემიის საერთო კრებას უფლება ჰქონდა თავის შესვდულებისამებრ გაეთავისუფლებინა მუდმივი მდივანი მოვალეობის შესრულებისაგან და მის ნაცვლად სხვა პირი აერჩია.

მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში გაიზარდა სამეცნიერო დაწესებულებათა რიცხვი, დადგა მათი მართვის ორგანიზაციის საკითხი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომელთაგან ბევრი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში იქმნებოდა. ამ ინსტიტუტების ხელმძღვანელობა და მართვა ენდობოდა მათ დირექტორებს, რომელსაც სამი წლის ვადით ირჩევდა აკადემიის შესაბამისი განყოფილება აკადემიკოს — სპეციალისტთა რიცხვიდან. ამ არჩევნებს შემდეგ ამტკიცებდა აკადემიის საერთო კრება.

წესდების 57-ე პუნქტით აკადემიის სამეცნიერო დაწესებულების დირექტორს, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად შეიძლებოდა საერთო კრების ანდა განყოფილების დადგენილებით აერჩიათ პირი აკადემიის უფროსი სამეცნიერო პერსონალიდან, ანდა მეცნიერული შრომებით და ადმინისტრაციული გამოცდილებით ცნობილი მეცნიერებისაგან. სამეცნიერო ინსტიტუტთა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ განყოფილებათა ხელმძღვანელობა ენდობოდა სპეციალისტებს, რომლებიც ამ დარგში ცნობილი იყვნენ თავიანთი მეცნიერული დამსახურებით. ეს პირები იწოდებოდნენ დაწესებულების უფროს მცველად. (Старшие хранители) წესდების ბოლო IX პარაგრაფი განსაზღვრავდა აკადემიის განსაკუთრებულ უფლებებს. ყველა თავის საქმეების თაობაზე აკადემია უშუალოდ უკავ-

შირდებდა სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების ყველა დაწესებულებას; აკადემიას მთელი რიგი პრეროგატიული უფლებები გააჩნდა.

როგორც ვხედავთ, აკადემიის პირველი საბჭოთა წესდება საკმარისი სიზუსტით ასახავდა მის ორგანიზაციულ-სტრუქტურულ ცვლილებებს. არ შეიძლება აქ არ ითქვას, რომ გამოჩენილი მეცნიერი აკადემიკოსები აქტიურად მონაწილეობდნენ ამ წესდების შემუშავებაში.

სოციალ-ეკონომიური და კულტურულ გარდაქმნათა ყოვლისმომცველი და ღრმა პროცესი განუხრელად ზრდის აკადემიის როგორც ქვეყნის უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულებების როლს და მოითხოვს მასში ახალი ცვლილებების შეტანას. აკადემიის ახალი წესდებების შემუშავება კვლავც დიდი გულსყურით ხდება. უკვე 1930 წლის 23 მაისს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ახალ წესდებას ამტკიცებს სრულიად საკავშირო ცაკი.²³

1935 წლის 23 ნოემბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ამტკიცებს აკადემიის ახალ წესდებას.²⁴

ქვეყანაში მეცნიერული კვლევის ზრდის გიგანტური მასშტაბები კვლავ აყენებს ახალი წესდების მიღების საკითხს. მას ამტკიცებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება 1959 წლის 28 მარტს.

და ბოლოს 1963 წლის 1 ივლისს მტკიცდება წესდება, რომელიც მასში შეტანილი ცვლილებებით აშკაბად მოქმედებს.

1927 წლის შემდგომ წესდების ხშირი მიღება იურიდიული გამოხატულებაა იმ უღრმესი სოციალურ-ეკონომიური და კულტურული ძვრებისა, რასაც შედეგად მოჰყვა მეცნიერების როლის არნახულად გაზრდა მთელს ჩვენს საზოგადოებაში.

ცვლილებები აკადემიის წესდებაში ორი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობდა. ერთი ეს იყო აკადემიის შემადგენლობაში ანდა დაქვემდებარებაში სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებების განუხრელი ზრდა, მეორე კი, მთელს ქვეყანაში გვემოუბრის საწყისების განუხრელ განვითარებასთან დაკავშირებით. ასე მაგალითად, 1930 წლის წესდებაში აკადემიის მიზნებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია გვემოუბრის წარმართვა მეცნიერული ცოდნის მთელი სისტემისა ქვეყნის სოციალისტური რეკონსტრუქციის საჭიროებისათვის და სოციალისტური საზოგადოებრივი წყობის შემდგომი ზრდისათვის. მიუხედავად იმისა, რომ აკადემია ქვეყნის უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულებაა, იგი მაინც ნაწილია ქვეყნის სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების მთელი ქსელისა. ამიტომ ამ წესდების მე-4 პუნქტით აკადემია ძირ-



თაღსა და მთავარში კოორდინაციას უკეთებს თავს მუშაობას სსრ კავშირის სხვა სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებასთან, რათა გააერთიანოს თეორიული მიღწევები ორგანიზაციებისა და დაწესებულებების პრაქტიკულ მუშაობაზე. 1930 წლის წესდება არაფერს ამბობდა ასპირანტებისა და ასალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადების თაობაზე, თუმცა უკვე 1929 წლის ოქტომბერში მიღებული იყო დებულება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან ასპირანტურის შესახებ. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 1935 წლის წესდება კი გამოხატავს რა უკვე იმ დიდ წარმატებებს, რაც ასალგაზრდა მეცნიერული ძალების აღზრდაში მიღწეა აკადემიამ, სვან-გემოდ აღნიშნავს, რომ აკადემიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა მეცნიერ მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ხელისშეწყობა. პირველად აკადემიის მიერ მეცნიერული ნაშრომებისათვის მეცნიერების დოქტორისა და კანდიდატის ხარისხის მინიჭების უფლება. 1935 წლის წესდების მე-7 პუნქტით მეცნიერული კადრების სისტემატური მომზადების მიზნით აკადემიასთან არსებობს სპეციალური ასპირანტურა, რომლის შემადგენლობაში მიიღებიან პირები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მეცნიერული მუშაობით.

1935 წლის წესდება პირდაპირ და პირველად აკადემიის ისტორიაში 44-ე პუნქტით განსაზღვრავს, რომ მეცნიერებათა აკადემიის ძირითად ორგანოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობაში წარმოადგენს მისი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები. ინსტიტუტი პირდაპირ აკადემიის პრეზიდიუმს ემორჩილებოდა. პირველად ამ წესდებაში გაკეთებულია მითითება აკადემიის ფილიალზე. წესდების 48-ე პუნქტით მეცნიერებათა აკადემიის ფილიალი ეს არის ადგილებზე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების გაერთიანება, რომელიც შეისწავლის ცალკეული რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის ბუნებრივ სიმდიდრეებს, ეკონომიკასა და კულტურას.

ფილიალებს ხელმძღვანელობდნენ პრეზიდიუმები, რომელთაც აკადემიის საერთო კრება ირჩევს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წარდგინებით სამი წლის ვადით. ფილიალების პრეზიდიუმებთან არსებობდა სამეცნიერო საბჭოები, რომელთა შემადგენლობაში შედიოდნენ აკადემიის ნამდვილი წევრები, უმცროსი მეცნიერ თანამშრომლები, ადგილობრივი სახელმწიფო დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე ადგილობრივი მსხვილი სპეციალისტები.

1959 წლის წესდებაში მკვეთრად აისახა აკადემიის გაზრდილი როლი მეცნიერული კვლევის კოორდინაციის და კოოპერირების საქმეში.

1959 წელს ოთქქის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში შექმნილი იყო რესპუბლიკური აკადემიები. ამიტომაც წესდების მე-9 პუნქტი განსაზღვ-

რავს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დამოკიდებულებას მოკავშირე რესპუბლიკების სამეცნიერო აკადემიებთან, დარგობრივ აკადემიებთან, დარგობრივ ინსტიტუტებთან, უმაღლეს სკოლასთან და სხვ.

1959 წლის წესდება ითვალისწინებს თვალსაზრისით მეცნიერული ნაშრომისათვის, აღმოჩენისა და გამოგონებისათვის ოქროს მედლისა და სახელობითი პრემიის მიკუთვნებას. ამ წესდებით შემოღებულ იქნა honoris causa მეცნიერების დოქტორის მიკუთვნება განსაკუთრებულად გამოჩენილ საბჭოთა და უცხოელ მეცნიერთათვის. ამავე წესდებით გაუქმდა აკადემიის საპატიო წევრის წოდება. ამიერიდან სსრ კავშირის აკადემიაში შედიოდნენ ნამდვილი წევრები (აკადემიკოსები), წევრ-კორესპონდენტები და უცხოელი წევრები.

1963 წლის წესდება ითვალისწინებს მეცნიერებათა აკადემიის ორსაუკუნეზე მეტ დემოკრატიულ ტრადიციებს და იმ ახალ კოლოსალურ ამოცანებს, რაც მის წინაშე სოციალისტურმა სინამდვილემ დააყენა. წესდების მე-2 პუნქტში შემდეგნაირადაა განსაზღვრული სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამოცანები:

ბუნებისმეტყველებასა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა წამყვანი მიმართულებების განვითარება.

იმ პერსპექტიული სამეცნიერო კვლევათა განვითარება, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია წარმოების განვითარებასთან და პირველ რიგში ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელ დარგებში.

ტექნიკური პროგრესის ახალ შესაძლებლობათა გამოფლენა და რეკომენდაციების მომზადება მისი სახალხო მეურნეობაში გამოყენებისათვის მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა შესწავლა და განსოგადება. ამ მიღწევათა სრულად გამოყენებისათვის ხელშეწყობა სსრ კავშირის კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკაში.

მეცნიერებათა აკადემია თავის სამეცნიერო გამოკვლევებით და მთელი თავისი მოღვაწეობით აქტიურად მონაწილეობს სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის და ხელს უწყობს მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

წესდების მე-3 პუნქტით განსაზღვრულია აკადემიის, როგორც ქვეყნის უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულების წამყვანი როლი სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა სახელმწიფოებრივ სისტემაში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია ახორციელებს საერთო სამეცნიერო ხელმძღვანელობას სამეცნიერო გამოკვლევებზე ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივი მეცნიერების უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, რომლებიც სრულდება მოკავშირე რესპუბლიკების აკადემიებში, უმაღლეს სკოლებში და ქვეყნის სხვა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში, განსაზღვრავს ძირითად მიმართულებას და აწარმოებს ქვეყნის მასშტაბით ბუნებისმეტყველების და

საზოგადოებრივი მეცნიერების დარგში სამეცნიერო-კვლევით მუშაობის კოორდინაციას.

თავისი ამოცანების განსასრულებლად სამეცნიერო აკადემიის მინიჭებული აქვს მთელი რიგი უფლებები, რომელთა მიხედვითაც წარმართავს სხვადასხვა სამეცნიერო, სამეცნიერო-საკვლევო და სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებათა და უწყებათა კვლევით მუშაობას. ამ უფლებათა შორისაა კონტროლის უფლება ამ დაწესებულებაში წარმოებული სამეცნიერო კვლევის განვითარებაზე ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივი მეცნიერების დარგებში.

ამასთან ერთად სსრკ კავშირის მეცნიერებათა აკადემია და მისი დაწესებულებები აწარმოებენ მუშაობას იმ გეგმის შესაბამისად, რომელიც შემუშავებულია აკადემიის მიერ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმით. წესდების მე-10 პუნქტით, სსრკ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვეალება აღმოუჩინოს დახმარება მოკავშირე რესპუბლიკების აკადემიებს სამეცნიერო გამოკვლევების ჩატარებაში და ქვეყნის სხვა სამეცნიერო კვლევით ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან, უწყებებთან კავშირების განხორციელებაში. აკადემიის მოქმედი წესდების II კარი განსაზღვრავს აკადემიის შემადგენლობას, რომელშიც ისე, როგორც 1959 წლის წესდება, ითვალისწინებს მხოლოდ აკადემიკოსებს, აკადემიის, წევრ-კორესპონდენტებს და აკადემიის უცხოელ წევრებს.

ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების²⁵ არჩევნები ტარდება არა უადრეს ორ წელიწადში ერთხელ. არჩევნებს აკადემიის პრეზიდიუმი ნიშნავს არსებული ვაკანსიების ფარგლებში, ახალ ვაკანსიებს კი სსრკ კავშირის მინისტრთა საბჭო აღგენს.

ორი თვით აღწე ცენტრალურ ჩესში ქვეყნდება ცნობა აკადემიის ახალი არჩევნების მოწყობის შესახებ. ცნობა წამოყენებული და რეგისტრირებული აკადემიის წევრების და წევრ-კორესპონდენტების კანდიდატების შესახებ ქვეყნდება ცენტრალურ პრესაში არა უგვიანეს 15 დღისა არჩევნებამდე.

ნამდვილ წევრებს და წევრ-კორესპონდენტებს ირჩევს აკადემიის ხაერთო კრება იმ კანდიდატთა

რიცხვიდან, რომელიც განყოფილების საერთო კრების მიერაა არჩეული.

ნამდვილი წევრების არჩევნებისას განყოფილების საერთო კრებაზე გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს მხოლოდ ამ განყოფილების ნამდვილ წევრებს. განსაზღვრულია, რომ განყოფილების წევრთა სიის შემადგენლობაში არ ჩაითვლება აკადემიის ის ნამდვილი წევრები და წევრ-კორესპონდენტები, რომლებიც არჩევნების დროს მივლინებულ იწყობებიან საზღვარგარეთ; განსაკუთრებულ შემთხვევაში აკადემიის პრეზიდიუმის სპეციალური გადაწყვეტილებით სიის შემადგენლობაში შეიძლება არ იქნან შეყვანილი აკადემიის ის ნამდვილი წევრი ანდა წევრ-კორესპონდენტი, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა გამორიცხავს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს სხდომებსა და კენჭისყრაში.

საერთო კრებაზე როგორც ნამდვილი წევრის, ისე წევრ-კორესპონდენტის არჩევნების დროს გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს სსრკ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებს.

წესდების IV კარი განსაზღვრავს აკადემიის ნამდვილი წევრის და წევრ-კორესპონდენტის მოვალეობასა და უფლებებს.

როგორც ნამდვილ წევრს, ასევე წევრ-კორესპონდენტს შეიძლება წაერთვას ეს წოდება სსრკ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების დადგენილებით „თუკი მისი საქმიანობა მიმართულია სსრკ კავშირის საზიანოდ“.

ნამდვილ წევრისა და წევრ-კორესპონდენტის გარიცხვის დროს მოქმედებს კენჭყირის ის წესი, რაც არჩევნების დროსაა გათვალისწინებული. როგორც წესი, აკადემიაში არჩევას სამისდღეში მო ხასიათი აქვს. მართალია, იყო მომენტები, როცა აკადემიაში წევრთა განსაზღვრული იყო ვადით. ასე 1919 წლის 18 იანვარს აკადემიის საერთო კრებამ განსაზღვრა, რომ 70 წლის მიღწევის შემდეგ „დაკავებული აკადემიური საგარეოლი ითვლება ვაკანტურად“. თუმცა აკადემიკოსი ინარჩუნებდა თავის წოდებას და მასთან დაკავშირებულ უფლებებს. არ შეიძლებოდა მისი არჩევა აკადემიის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, თუ არა პრეზიდენტად და ლაბორატორიის ხელმძღვანელად. ამ სიახლის მომხრეებს მიაჩნდათ, რომ უზრუნველყოფდნენ აკადემიაში ახალი წევრების თანაბარბრთმობად მიღებას, ხოლო გამოჩენილ მეცნიერ-აკა-

²⁵ არ არის განსაზღვრული აკადემიაში ასარჩევ კანდიდატთა არც მინიმალური და არც მაქსიმალური ასაკი. 1966 წელს აკადემიის წევრ-კორესპონდენტად არჩევის დროს დადგინდა ასაკობრივი ცენზი, რომლითაც აკადემიაში შეიძლებოდა არჩეულიყო წევრ-კორესპონდენტად მეცნიერი არა უმეტეს 55 წლისა. ამ შეზღუდვამ ვერ გაამართლა თავისი თავი. 1968 წელს საერთო კრებამ გაუაქმა წევრ-კორესპონდენტის ასარჩევად დადგენილი ეს ცენზი. აკადემიაში არჩევნები არ უნდა ვაკანსიებოთ აკადემიის სამეცნიერო ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ასარჩევ პირებთან. აკადემიის ინსტიტუტის დირექტორად როგორც წესი უნდა იყოს მეცნიერი არა უმეტეს 65 წლის ასაკისა და მხოლოდ აკადემიის პრეზიდიუმს შეუძლია აქედან გადახვევა. (იხ. В. А. Рассудовский. Государственная организация науки в СССР (правовые вопросы) 1971, გვ. 35 — 36).



დემიკოსს მიეცემოდა საშუალება სიცოცხლის დარჩენილი წლები მხოლოდ მეცნიერულ მუშაობისათვის მიეძღვნა და დაეთავაზრებინა ახალგაზრდულ წლებში დაწყებული ნაშრომები პრაქტიკაში ეს ნორმატიული სიახლე ვერ განხორციელდა.

აკადემიის უმაღლესი ორგანოა მისი საერთო კრება. იგი შედგება ნამდვილ წევრებისა და წევროკორესპონდენტებისაგან. საერთო კრება მოიწვევა საჭიროების მიხედვით, მაგრამ არა ნაკლებ ორისა წელიწადში. წლიური საერთო კრება აკადემიისა მარტის პირველ დეკადაში მოიწვევა.

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი იქმნება შემდეგი შემადგენლობით: აკადემიის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, პრეზიდიუმის მთავარი სწავლული-მდივანი, განყოფილების აკადემიკოსს-მდივანი და პრეზიდიუმის სხვა წევრები, რომელთა რიცხვს განასაზღვრავს აკადემიის საერთო კრება.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ახორციელებს აკადემიის საერთო კრების გადაწყვეტილებებს და საერთო კრების სესიათა შორის პერიოდში ხელმძღვანელობს აკადემიის მთელ მოღვაწეობას. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებობს მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის საბჭო. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმზე იმ საკითხების განხილვის დროს, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკების აკადემიების მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული, პრეზიდიუმის მუშაობაში გადამწყვეტი ხმის უფლებით მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების აკადემიების პრეზიდენტები.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის განყოფილება წარმოადგენს სამეცნიერო და სამეცნიერო-ორგანიზაციულ ცენტრს, რომელიც აერთიანებს აკადემიის ერთ ან რამდენიმე დარგის მეცნიერებს.

ამჟამად, გარდა რუსურ-ისა, ყველა მოკავშირე რესპუბლიკას აქვს რესპუბლიკური აკადემია.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალები არსებობენ რუსურ სხვადასხვა ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში. ფილიალები წარმოადგენენ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების გაერთიანებას. ფილიალები სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს ემორჩილებიან. გამონაკლისს შეადგენენ ის ფილიალები, რომლებიც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილებაში შედიან. მთელი თავისი სამეცნიერო და სამეცნიერო-ორგანიზაციის მოღვაწეობაში ისინი უშუალოდ ამ განყოფილებას ექვემდებარებიან.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები სხვადასხვა მეცნიერული ამოცანების შესასრულებლად იქმნებიან და ამ მიზნისათვის წარმართავენ თავიანთ მოღვაწეობას, მაგრამ თავიანთი იურიდიული ბუნებით ისინი არსებითად ერთგვაროვანია. ეს გახდა

იმის პირობა, რომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ 1972 წლის 2 მარტს დაამტკიცა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის როგორც იურიდიული პირის ერთიანი წესდება.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოქმედი წესდების მიმოხილვის შემდეგ დგება საკითხი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის როგორც სამართლის სუბიექტის თავისებურების შესახებ. ეს საკითხი ამჟამად საბჭოთა იურისპრუდენციაში მწვავე დავის საგანია. მართლაც, როგორც აკადემიის წესდების, მთ შორის მოქმედი წესდების გაცნობამ დაგვანახა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია რეალურად რთული იურიდიული ბუნებისაა. ამიტომ სრულიადაც არაა საკმარისი საქმე ამოწუროთ იმით, რომ ვთქვათ „სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას აქვს იურიდიული პირის უფლება“. როგორც ამაზე წესდების მე-14 პუნქტი მიუთითებს, იურიდიული პირია აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ბევრი სხვა დაწესებულება.

ეს პუნქტი ერთ-ერთი გამოსატყულება იმ წინაღმდეგობისა, რაც აკადემიის წესდებს ახასიათებს, ვინაიდან იგი გულისხმობს რთულ სტრუქტურულ-ორგანიზაციულ, სამეცნიერო-კვლევით და ქონებრივ-თებრატულ ასპექტებს. სამართლებრივად ძალიან ცოტაა ვთქვათ, რომ მეცნიერებათა აკადემია იურიდიული პირია. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მე-12 მუხლით იურიდიული პირი არის ორგანიზაცია, რომელსაც აქვს განცალკევებული ქონება, შეუძლია თავისი სახელით მოიპოვოს ქონებრივი ან პირადი არქონებრივი უფლებები და იკისროს მოვალეობანი. ამასთან აკადემია მიეკუთვნება სახელმწიფო დაწესებულებათა რიგს. იმავე საფუძვლების მე-11 მუხლით ის დაწესებულებები და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებია იურიდიული პირები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებიან და აქვთ დამოუკიდებელი ხარჯთაღრიცხვა და რომელთა ხელმძღვანელები სარგებლობენ კრედიტების განკარგულების უფლებით.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოქმედი წესდების 45-ე პუნქტით აკადემიის პრეზიდიუმი აკადემიის კრედიტების მთავარი განმკარგებლებელია, მაგრამ ამან არ უნდა შეგვიქმნას წარმოდგენა, რომ პრეზიდიუმი აქ გამოდის როგორც აკადემიის სისტემაში შემავალი დაწესებულების სახელით, როგორც ერთიანი იურიდიული პირი. წესდების 45-ე პუნქტის მეორე ნაწილში განსაზღვრულია, რომ საქმე ეხება კრედიტების არა სამოქალაქო სამართლებრივ განკარგვას, არამედ აკადემიის პრეზიდიუმის გამოსვლას მის სისტემაში შემავალი დაწესებულებების მიმართ მმართველობის ორგანოს სახით, ვინაიდან პრეზიდიუმი ამტკიცებს აკადემიის წლიურ ხარჯთაღრიცხვას, ანაწი-

ლებს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას გეგმის შესაბამისად მთავრობის მიერ დაშვებული ასიგნებას აკადემიის დაწესებულებას შორის. კონტროლს უწევს აკადემიის დაწესებულებების მიერ სახსრების სწორად ხარჯვას.

განაგებს რა აკადემიისადმი გაცემულ სახსრებს, მისი პრეზიდიუმი სრულიადაც არ გამოდის იურიდიული პირის სახით. მხოლოდ მაშინ, როცა პრეზიდიუმში განკარგავს თავისი აპარატის საჭიროებისათვის სახსრებს, იგი გამოდის როგორც იურიდიული პირი, მაგრამ ეს ეხება პრეზიდიუმს და არა აკადემიის მთლიანად.

ამრიგად, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია როგორც დაწესებულებათა ერთიანი სისტემა, არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.²⁷

ამ როლში გამოდის მისი ინსტიტუტები და ზოგიერთი სხვა დაწესებულებები. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოქმედ წესდებიდან ამოღებული უნდა იქნეს მე-14 პუნქტის პირველი ნაწილი.

ტრადიციის ძალით აკადემიას ხშირად უწოდებენ ცნობილ მეცნიერთა საპატიო კორპორაციას. ეს გამოთქმა მიუთითებს აკადემიის როგორც გამოჩენილ მეცნიერთა ერთობლიობაზე და თავისთავად ნიშნავს აკადემიის არსებობის ერთ-ერთ უმთავრეს მომენტზე აქტენტირებას, მაგრამ იგი როდი გამოხატავს მრავალწახანაგოვან მოღვაწეობას აკადემიისა. იურიდიული თვალსაზრისით შეცდომაა აკადემია კორპორაციად განვიხილოთ. ეს მიუხედავად იმისა, რომ წესდების მე-15 პუნქტი აკადემიის შემადგენლობაში შედის მხოლოდ ნამდვილი წევრები (აკადემიკოსები), წევრ-კორესპონდენტები და უცხოელი წევრები. საქმე ისაა, რომ სამოქალაქო სამართალი განასხვავებს იურიდიული პირების ორ უმთავრეს სახეს კორპორაციასა და დაწესებულებას. აქედან კორპორაცია პირთა ისეთი გაერთიანებაა, რომელიც წევრობის პრინციპს ემყარება. თუ ამ წინამძღვრიდან გამოვალთ,²⁸ მაშინ ნათელი გახდება, რომ შეცდომაა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია განვიხილოთ როგორც კორპორაცია. იურიდიული სიზუსტის თვალსაზრისით უფრო სწორია აკადემია განვიხილოთ, როგორც მთელი სისტემა დაწესებულებებისა, რომლებიც ცალკეულ იურიდიულ პირებს წარმოადგენენ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მიგვაჩნია, რომ არასწორია იურიდიულ გამოკვლევებში გატარებული აზრი, რომლითაც ერთდროულად აკადემია განხილულია როგორც მეცნიერთა გაერთიანება, ე. ი. კორპორაცია, როგორც სამეცნიერო

დაწესებულებაც და დაწესებულებათა ერთობლიობაც.²⁹

არ არის დასაბუთებული მტკიცება, რომ აკადემია პრინციპში შეიძლება ვიგნოთ სამეცნიერო კორპორაციად, თუმცა იგი პრინციპულად განსხვავდება ჩვეულებრივი სამეცნიერო ასოციაციისაგან.³⁰ თუკი კორპორაციის ტრადიციული ცნების განმარტებას ვიღებთ როგორც წინამძღვარს, მაშინ არასწორია სსრ კავშირის აკადემია ჩვენ კორპორაციად განვიხილოთ, ასევე არასწორია იქნებოდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია გაგვეხილა ერთ სამეცნიერო დაწესებულებად, თუნდაც მისი წესდების პირველი პუნქტის შესაბამისად „უმაღლეს სამეცნიერო დაწესებულებად“. საქმე ისაა, რომ ამ პუნქტს მხოლოდ ისტორიული გამართლება აქვს და მიუთითებს აკადემიის წამყვან როლზე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა სისტემაში. ეს პუნქტი სრულიადაც არ ეწინააღმდეგება იმას, რომ სსრ კავშირის აკადემია სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა განშტოებულ სისტემას გულისხმობს.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ ერთ, უმაღლეს სამეცნიერო დაწესებულებიდან განვლო გზა სამეცნიერო დაწესებულებათა საოჯახო მდგომარეობაზე წამყვან ორგანოდ, რომელსაც თვითონ აქვს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, ობსერვატორიები, მუზეუმები, ბოტანიკური ბაღები და ა. შ. ამასთან იგი ახორციელებს არა მარტო ფართო სამეცნიერო კვლევით მუშაობას, არამედ ზრდის კადრებსაც მეცნიერებისათვის.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია სამართლის განსაკუთრებული სუბიექტია, ვინაიდან მისი იურიდიული მდგომარეობა განსაზღვრულია სახელმწიფო სამართლებრივი, აღმინისტრაციული სამართლებრივი და სამოქალაქო სამართლებრივი ნორმებით. ყოველივე ამით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია პრინციპულად განსხვავდება მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნების აკადემიებისაგან, რომლებიც როგორც წესი, წარმოადგენენ კარჩაკეტილ სამეცნიერო კორპორაციებს, სადაც არსებითად წევრობის გზით ხორციელდება მისი მთელი მოღვაწეობა.

1941 წლის მარტში მეცნიერების ორგანიზაციული ფორმების ღრმა მცოდნე, მეცნიერული შორსმჭვრეტელობის განსაკუთრებული ნიჭით აღჭურვილი, დიდი მეცნიერი აკად. ვ. ი. ვერნადსკი, აღტაცებული საქართველოს აკადემიის შექმნით, წერდა თბილისში თავის მოწაფეს აკად. ა. ა. თვალჭრელიძეს: „უცნაური ბედი აღმოაჩნდა თავისი არსებობის ისტორიულ

²⁷ იხ. В. А. Дозорцев. Академия Наук: правовой статус, органы управления и функции, ჟურნ. «Советское государство и право», 1974, № 11, გვ. 22 — 23.

²⁸ იხ. С. Н. Братусь. Субъекты гражданского права, 1950, გვ. 128.

²⁹ იხ. В. А. Рассудовский, М. С. Бастрекова. Академия Наук — высшее научное учреждение страны, ჟურნ. «Советское государство и право», 1974, № 2.

³⁰ იხ. В. А. Рассудовский. Государственная организация науки в СССР, გვ. 32 — 33.

მსვლელობაში პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას: პარიზის მეცნიერებათა აკადემიის ტიპის მისხედვით შექმნილმა, მან შეინარჩუნა მისი ძვირფასი თვისებები, რომელიც დაკარგა პარიზის მეცნიერებათა აკადემიამ, — მისი კავშირი კვლევით ინსტიტუტებთან და პრაქტიკული ცსოვრების მოთხოვნილებებთან. საფრანგეთის აკადემიამ დაჰკარგა ეს თვისებები, როგორც უმრავლესობამ საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის და ამერიკული აკადემიებისა, რომლებიც მათ ჩანასახის ფორმით ჰქონდათ. XIX საუკუნის შუა პერიოდიდან ჩვენი რუსული ახლა სრულიად საკავშირო აკადემია წავიდა ამ გზით, განუსრულად აფართოებდა და აღლიერებდა მას. ამ დროს პარიზის აკადემია, რევოლუციის დროს დაკეტილი და ნაპოლენ I მიერ აღდგენილი, ჰკარგავს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის იარაღს.³¹

აკად. ვ. ი. ვერნადსკის ეს შედარებითი დასასაბუთება სსრ კავშირისა და კაპიტალისტური ქვეყნების აკადემიების, კვლავაც ინარჩუნებს ძალას, თუმცა უნდა ითქვას, რომ მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნების აკადემიებში, რომლებიც სამეცნიერო საზოგადოების ტიპის მისხედვით არიან შექმნილი, ძლიერდება მთავრობის სხვადასხვა დაწესებულებებთან და მათ გარეშე კვლევითი ორგანიზაციების შექმნის ტენდენცია.³² მიუხედავად სტრუქტურული და მიზნობრივი სხვაობისა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია მრავალმხრივ მეცნიერულ კონტაქტებს ამყარებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების აკადემიებთან და სამეცნიერო საზოგადოებებთან. ეს პირდაპირი საწესდებო

მოვალეობაა აკადემიისა, აკადემიის წესდების მე-11 პუნქტით განსაზღვრულია, რომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია სამეცნიერო კავშირებს ამყარებს და ავითარებს საზღვარგარეთის ქვეყნების აკადემიებთან და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან, მონაწილეობს სამეცნიერო ყრილობების კონფერენციებისა და თათბირების მუშაობაში, ხდება საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციების წევრი, მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შექმნაში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უადრესად მჭიდრო კავშირები აქვს დამყარებული სოციალისტური ქვეყნების, განსაკუთრებით კი ეკონომიურ ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ-ქვეყნების სამეცნიერო აკადემიებთან. საქმეს აადვილებს არა მარტო ერთიანი მიზანი ახალი საზოგადოების მშენებლობისა, არამედ ის, რომ ამ ქვეყნების აკადემიებში, ისე როგორც სსრ კავშირის აკადემიაში, ვითარდებიან კომპლექსური სამეცნიერო დაწესებულებანი, რომელთა მოღვაწეობა თანამედროვე მეცნიერების ძირითად მიმართულებას მოიცავს.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლობა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნების აკადემიებთან შემთხვევიდან შემთხვევამდე კი არ ვითარდება, არამედ იგი დაფუძნებულია ამ ქვეყნების თანამშრომლობის კომპლექსურ პროგრამაზე, რაც გულისხმობს შრომის სოციალისტურ დანაწილებას და თანამშრომლობის ხანგრძლივ პერსპექტიულ განვითარებას.³³

³¹ იხ. Воспоминания о В. И. Вернадском. К 100-летию со дня рождения, 1963, 33-55.

³² იხ. კრებული «Эволюция форм организации науки в развитых капиталистических странах», 1973, 33-73.

³³ ამ თანამშრომლობის ორგანიზაციული ფორმების თავისებურებაზე იხ. И. Н. Кисилев. *Виды Академии Наук СССР с Академией наук стран членов СЭВ*. 1974.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ხსენის მასალები

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძვლები

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად ჩვენს ქვეყანაში მიწის წიაღი ნაციონალიზებულია და სახალხო კუთვნილება გახდა.

წიაღის სახელმწიფო საკუთრება სსრ კავშირში შეადგენს სამთო ურთიერთობის წიაღის ანუ გამოყენებისა და დაცვის დარგში საზოგადოებრივი ურთიერთობის საფუძველს, ქმნის წიაღის გეგმიანი, რაციონალური, კომპლექსური გამოყენების პირობებს, უზრუნველყოფს ქვეყნის საწარმოო ძალების სწორ განლაგებასა და სახალხო მეურნეობის განვითარების სწრაფ ტემპს, კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

სსრ კავშირის სასარგებლო წიაღისეულის დიდი მარაგი აქვს. ამასთანავე სახალხო მეურნეობაში მინერალური ნედლეულის მოხმარების განუწყვეტელი ზრდა ამაღლებს სასარგებლო წიაღისეულის მეცნიერულად დასაბუთებულ, ეფექტიანი გამოყენების მნიშვნელობას, მოითხოვს, რომ ყველა საწარმო ორგანიზაცია, დაწესებულება და მოქალაქე ყარათიანად ეკიდებოდეს წიაღის სიმდიდრეებს.

საბჭოთა სახელმწიფო ზრუნავს არა მარტო მინერალურ ნედლეულზე ქვეყნის სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებების უზრუნველყოფისა და სახალხო მეურნეობის იმ სხვა საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის, რომელიც დაკავშირებულია წიაღის გამოყენებასთან, არამედ იმისათვის, რომ შეუწარმოოს ბუნებრივი სიმდიდრეები მომავალ თაობებსაც.

საბჭოთა წიაღის კანონმდებლობამ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი წიაღის ყველაზე რაციონალურ გამოყენებასა და დაცვას.

პ ა რ ი I ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საბჭოთა წიაღის კანონმდებლობის ამოცანები

საბჭოთა წიაღის კანონმდებლობის ამოცანებია სამთო ურთიერთობის მოწესრიგება წიაღის რაციონალური, კომპლექსური გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით მინერალურ ნედლეულზე არსებულ მოთხოვნილებათა და სახალხო მეურნეობის სხვა საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის, წიაღის დაცვისათვის, წიაღით სარგებ-

ლობისას სამუშაოთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა უფლებების დაცვა, ამ დარგში კანონიერების განმტკიცება.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობა

სამთო ურთიერთობას სსრ კავშირში აწესრიგებს ეს საფუძველები და სსრ კავშირის წიაღის კანონმდებლობის სხვა აქტები, კანონები (კოდექსები) და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის სხვა გვარი აქტები, რომლებიც გამოიცემა ამ საფუძველების შესაბამისად.

მიწის, წყლისა და ტყის ურთიერთობას აწესრიგებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი კანონმდებლობა.

მუხლი 3. წიაღის სახელმწიფო საკუთრება სსრ კავშირში

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად წიაღი საბჭოთა, სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში სახელმწიფო საკუთრება ანუ საერთო-სახალხო კუთვნილებაა. სსრ კავშირში წიაღი არის მხოლოდ სახელმწიფო საკუთრება და გადაიცემა მხოლოდ სარგებლობისათვის. მოქმედება, რომელიც აშკარა ან ფარული ფორმით არღვევს წიაღის სახელმწიფო საკუთრების უფლებას, აკრძალულია.

მუხლი 4. წიაღის ერთიანი სახელმწიფო ფონდი

მთელი წიაღი სსრ კავშირში შეადგენს წიაღის ერთიან სახელმწიფო ფონდს, რომელშიც შედის წიაღის როგორც გამოყენებულ, ისე გამოუყენებელი ნაწილები.

მუხლი 5. სსრ კავშირის კომპეტენცია სამთო ურთიერთობის მოწესრიგების დარგში

სამთო ურთიერთობის მოწესრიგების დარგში სსრ კავშირის კომპეტენციაში შედის:

- 1) წიაღის ერთიანი სახელმწიფო ფონდის განკარგვა იმ ფარგლებში, რომლებიც აუცილებელია სსრ კავშირის რწმუნებულების განხორციელებისათვის სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად;
- 2) წიაღის გამოყენებისა და დაცვის დარგში ძირითადი დებულებების დაწესება და ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განსაზღვრა;
- 3) წიაღის დაცვისა და მინერალური რესურსების რაციონალური გამოყენების საერთო-საკავშირო გეგმების დაწესება;



4) სახელმწიფო ზედამხედველობა და კონტროლი წილის გამოყენებისა და დაცვისადმი, წილის გეოლოგიური შესწავლისათვის სამუშაოთა წარმოებისადმი და ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელების წესის დადგენა;

5) წილის გამოყენებისა და დაცვის დარგში სხვა საკითხების მოწესრიგება სსრ კავშირის კონსტიტუციისა და ამ საფუძვლების შესაბამისად.

მუხლი 6. მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენცია სამთო ურთიერთობის მოწესრიგების დარგში

სამთო ურთიერთობის მოწესრიგების დარგში მოკავშირე რესპუბლიკის კომპეტენციაში სსრ კავშირის კომპეტენციის ფარგლებს გარეთ, შენდის წილის ერთიანი სახელმწიფო ფონდის განკარგვა რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში; წილით სარგებლობისა და დაცვის წესის დადგენა; წილის დაცვისა და მინერალური რესურსების რაციონალური გამოყენების რესპუბლიკური გეგმების დაწესება; წილის გამოყენებისა და დაცვისადმი და წილის გეოლოგიური შესწავლისათვის სამუშაოთა წარმოებისადმი სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება, აგრეთვე წილის გამოყენებისა და დაცვის დარგში სხვა საკითხების მოწესრიგება, თუ ისინი არ მიეკუთვნება სსრ კავშირის კომპეტენციას.

მუხლი 7. სახელმწიფო მართვა-გამგეობა წილის გამოყენებისა და დაცვის დარგში

სახელმწიფო მართვა-გამგეობას წილის გამოყენებისა და დაცვის დარგში ახორციელებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები. მშრომელთა დემუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე ამისათვის სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები — სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. წილით მოსარგებლენი

წილით მოსარგებლენი შეიძლება იყვნენ სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, აგრეთვე სსრ კავშირის მოქალაქენი.

სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში წილი შეიძლება სარგებლობისათვის გადაეცეთ სხვა ორგანიზაციებსა და პირებსაც.

მუხლი 9. წილით სარგებლობის სახეობები

წილის სარგებლობისათვის გადაცემა ხდება: გეოლოგიური შესწავლისათვის;

სასარგებლო წილისეულის მოპოვებისათვის. ისეთ მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლოატაციისათვის, რომლებიც დაკავში-

რებული არ არის სასარგებლო წილისეულის მოპოვებასთან, მათ შორის ნავთობის, გაზისა და სხვა ნივთიერებების და მასალების მიწისქვეშა შესანახავად, მავნე ნივთიერებათა და წარმოების ნარჩენების ჩასამარხად, ჩამდინარე წყლების ჩასაშვებად განკუთვნილ ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლოატაციისათვის;

სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის.

წილი სარგებლობისათვის გადაეცემა უსასყიდლოდ, გარდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი შემთხვევებისა.

მუხლი 10. წილის გადაცემა გეოლოგიური შესწავლისათვის

გეოლოგიური შესწავლისათვის, ესე იგი წილის გეოლოგიური აგებულების, მასში მიმდინარე პროცესების შესახებ მონაცემების მიღებისათვის, სასარგებლო წილისეული საბადოთა გამოვლენისა და შეფასებისათვის, მათი ჩამოყალიბებისა და განლაგების კანონზომიერებათა შესწავლისათვის, სასარგებლო წილისეულის საბადოთა დამუშავების სამთო-ტექნიკური და სხვა პირობების დადგენისა და წილის იმ მიზნით გამოყენებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წილისეულის მოპოვებასთან, სარგებლობისათვის წილის გადაცემა ხდება სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით ამისათვის სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემულ ნებართვათა საფუძველზე.

მუხლი 11. წილის გადაცემა სასარგებლო წილისეულის მოპოვებისათვის

წილის გადაცემა სასარგებლო წილისეულის მოპოვებისათვის ხდება სამთო მონაკვეთის გამოყოფის დამადასტურებელი აქტის საფუძველზე.

სამთო მონაკვეთებს სასარგებლო წილისეულის საბადოთა დამუშავებისათვის (საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წილისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო მონაკვეთების გარდა) გადასცემენ სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოები სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამთო მონაკვეთებს საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წილისეულის საბადოთა დამუშავებისათვის გადასცემენ მშრომელთა დემუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და რევისტრაციისაში ატარებენ სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოები, სასარგებლო წილისეულის საყოველთაოდ გავრცელებული წილისეულისათვის მიკუთვნება ხდება სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოების მიერ სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სასარგებლო წილისეულის საბადოთა დამუ-

შეება გამოყოფილი სამთო მონაკვეთების ფარგლებს გარეთ აკრძალულია.

სასარგებლო წიაღისეულის საბადოს ან მისი ნაწილის საცდელ-სამრეწველო დამუშავება, აგრეთვე ტორფისა და მტკნარი მიწისქვეშა წყლების საბადოთა დამუშავება ხორციელდება საბითონა მონაკვეთის გამოყოფილ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს უფლება აქვთ ისარგებლონ წიაღით მათთვის გადაცემული მიწის ნაკვეთების ფარგლებში, თავიანთი სამეურნეო და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის, ტორფისა და მტკნარი მიწისქვეშა წყლების მოპოვების მიზნით სამთო მონაკვეთის გამოყოფილ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. წიაღის გადაცემა ისეთი მიწები-სათვის, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან

მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლოატაციისათვის, და სხვა მიზნისათვის, რომელიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, წიაღი სარგებლობისათვის გადაიცემა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით. წიაღის გადაცემა მაგნეტიტისა და წარმოების ნარჩენების ჩამარხვისათვის დასაშვებელია მხოლოდ გამოკლის შემთხვევებში და სპეციალური მოთხოვნებისა და პირობების დაცვით.

საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს უფლება აქვთ მათთვის გადაცემული მიწის ნაკვეთების ფარგლებში ისარგებლონ წიაღით თავიანთი სამეურნეო და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, — მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 13. წიაღით სარგებლობის ვადები

წიაღით სარგებლობა შეიძლება იყოს უვადო ან დროებითი. უვადოდ (მუდმივად) მიჩნეულია წიაღით სარგებლობა ვადის წინასწარ დაუდგენლად.

დროებითი სარგებლობის შემთხვევებში წიაღი გადაიცემა ვადით, რომელიც ათ წელს არ აღემატება. საჭიროების შემთხვევაში დროებითი სარგებლობის ვადა შეიძლება გაგრძელდეს.

მუხლი 14. წიაღით მოსარგებლეთა ძირითადი უფლება-მოვალეობები

წიაღით მოსარგებლებებს უფლება აქვთ და მო-

ვალენი არიან წიაღი გამოიყენონ იმ მიზნების შესაბამისად, რისთვისაც იგი ეძლევათ.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში წიაღით მოსარგებლეთა უფლებები შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფო ინტერესების, აგრეთვე სხვა წიაღით მოსარგებლეთა ინტერესების შესაბამისად.

წიაღით მოსარგებლენი ვალდებული არიან უზრუნველყონ:

1) წიაღის სრული გეოლოგიური შესწავლა; რაციონალური, კომპლექსური გამოყენება და დაცვა;

2) წიაღის სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოება მუშაკებისა და მოსახლეობისათვის;

3) ატმოსფერული ჰაერის, მიწების, ტყეების, წყლებისა და ბუნებრივი გარემოს სხვა ობიექტების, ეგრეთვე შენობებისა და ნაგებობათა დაცვა წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მაგნეტიტისაგან;

4) ნაკრძალების, ბუნებისა და კულტურის ძეგლების დაცვა წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მაგნეტიტისაგან.

5) წიაღით სარგებლობის დროს დარღვეული მიწის ნაკვეთების უსაფრთხოება, აგრეთვე მათი გამოსადეგობა სახალხო მეურნეობაში გამოყენებისათვის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 15. წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები და წესი

წიაღით სარგებლობის უფლება წაუდება მთლიანად ან ნაწილობრივ იმ შემთხვევებში, როცა:

1) საჭირო აღარ არის წიაღით სარგებლობა;

2) ამოიწურება წიაღით სარგებლობის დადგენილი ვადა;

3) წიაღის მოცემული მონაკვეთი უნდა გამოიყენონ სხვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის;

4) გაუქმდება საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომლებსაც სარგებლობისათვის გადაცემული ჰქონდათ წიაღი;

5) მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის აშკარა საფრთხე წარმოიშობა.

წიაღით სარგებლობის უფლება შეიძლება შეწყდეს, თუ მოსარგებლემ: ორი წლის განმავლობაში არ დააწყო წიაღით სარგებლობა;

წიაღს არ იყენებს იმ მიზნით, რომლისთვისაც იგი გადაეცა: დაარღვია წიაღით სარგებლობისა და დაცვის სხვა წესები.

ამ მუხლის პირველი ნაწილის 1, 3, 4 და 5 პუნქტებით და მეორე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში წიაღით სარგებლობის უფლებას წყვეტენ შესაბამისი ორგანოები მათ მი-



ურ გაცემული სამთო ნაკვეთის გამოყოფის აქტის ან ნებართვის გაუქმების გზით.

საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს შეიძლება ჩამოერთვათ უფლება მათთვის გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის, ტორფისა და მტკნარი მიწისქვეშა წყლების მოპოვებისა იმ შემთხვევაში, თუ დაარღვევს მოპოვების წესები და პირობები.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის სხვა საფუძვლებიც.

პ ა რ ი II

წიაღის გეოლოგიური შესწავლა

მუხლი 16. წიაღის გეოლოგიური შესწავლისადმი ძირითადი მოთხოვნები

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ წიაღის გეოლოგიურ შესწავლას, ვალდებული არიან უზრუნველყონ:

1) წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა რაციონალური, მეცნიერულად დასაბუთებული მიმართულება და ეფექტიანობა;

2) წიაღის გეოლოგიური აგებულების, დაზვერილი საბადოების, სამთოტექნიკური, ჰიდროგეოლოგიური და დამუშავების სხვა პირობების, იმ მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლოატაციის შესწავლის სისრულე, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან;

3) ძირითადი და მასთან ერთად განლაგებული სასარგებლო წიაღისეულისა და მასში შემავალი კომპონენტების მარაგის რაოდენობისა და ხარისხის განსაზღვრის უტყუარობა; სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა გეოლოგიურ-ეკონომიური შეფასება;

4) წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოება იმ მეთოდებითა და ხერხებით, რომელიც გამოყენებისას არ იქნება სასარგებლო წიაღისეულის გაუმართლებელი დანაკარგები და ხარისხის გაუარესება;

5) წიაღიდან ამოღებული ქანებისა და სასარგებლო წიაღისეულის ისეთი განლაგება, რომ არ იყოს მათი მავნე გავლენა გარემოზე;

6) იმ სადაზვერვო სამთო გამოწამლუშევრებისა და ქაბურღილების დაცულობა, რომელთა გამოყენება შეიძლება საბადოების დამუშავებისა და სხვა სახალხო-სამეურნეო მიზნებისათვის, და გამოყენებისათვის გაუთვალისწინებელი გამოწამლუშევრებისა და ქაბურღილების ლიკვიდაცია დადგენილი წესით.

7) გეოლოგიური და საშემსრულებლო-ტექნიკური დოკუმენტაციის, ქანებისა და მადნის ნიმუშების, კერძის, სასარგებლო წიაღისეულის სინჯების დუბლიკატების დაცულობა, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს წიაღის შემდგომი შესწავლის, სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დაზვერვისა და დამუშავების დროს, აგრეთვე წიაღით სარგებლობისას, რომელიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან.

მუხლი 17. წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა სახელმწიფო რეგისტრაცია და სახელმწიფო აღრიცხვა

წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოების სახელმწიფო რეგისტრაცია და სახელმწიფო აღრიცხვა უნდა განხორციელდეს წიაღის შესწავლის შედეგების განზოგადებისა და მაქსიმალური გამოყენების, აგრეთვე აღნიშნულ სამუშაოთა დუბლირების თავიდან ასაცილებლად.

წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა სახელმწიფო რეგისტრაცია და სახელმწიფო აღრიცხვა ხორციელდება სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოება აკრძალულია, თუ არ მოხდა მათი სახელმწიფო რეგისტრაცია.

მუხლი 18. მინერალური ნედლეულის კონდიციები

საბადოების სამრეწველო მნიშვნელობის განსაზღვრისა და მათში სასარგებლო წიაღისეულის მარაგის გამოანგარიშებისათვის დაწესებულია მინერალური ნედლეულის კონდიციები თვითეული საბადოს მიხედვით, რომლებიც სასარგებლო წიაღისეულის ხარისხისა და რაოდენობისადმი, საბადოს დამუშავების სამთო-გეოლოგიური და სხვა პირობებისადმი ეკონომიურად დასაბუთებული მოთხოვნების ერთობლიობაა.

მინერალური ნედლეულის კონდიციებს ამუშავებენ ძირითადი და მასთან ერთად განლაგებული სასარგებლო წიაღისეულის, აგრეთვე მასში შემავალი ძვირფასი კომპონენტების გამოყენების გათვალისწინებით და ამტკიცებენ სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 19. სასარგებლო წიაღისეულის დაზვერილ საბადოთა გადაცემა სამრეწველო ათვისებისათვის

სასარგებლო წიაღისეულის დაზვერილი საბადოები ან მათი უბნები, რომელთა მიხედვით დამტკიცებულია სასარგებლო წიაღისეულის მარაგი, სამრეწველო ათვისებისათვის უნდა გადაეცეთ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებას.

სამრეწველო ათვისებისათვის სასარგებლო წიაღისეულის დაზვერილი საბადოების გადაცემის წესს (საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებ-

ლო წიაღისეულის საბადოთა ვარდა) ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა, ხოლო საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოებისას — მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობა.

მუხლი 20. სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა პირველადომჩენნი

პირველადომჩენებად ითვლებიან პირნი, რომლებიც აღმოაჩენენ სამრეწველო მნიშვნელობის წინათ უცნობ საბადოს, აგრეთვე გამოავლენენ სასარგებლო წიაღისეულის დამატებით მარაგს ან ახალ მინერალურ ნედლეულს წინათ ცნობილ საბადოში, რომლებიც არსებითად ზრდიან მის სამრეწველო მნიშვნელობას.

პირველადომჩენებს აქვთ გასამრჩელოს მიღების უფლება.

პირველადომჩენთა უფლებებსა და მათთვის გასამრჩელოს გადახდის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

პ ა რ ი III

სამთომომპოვებელ საწარმოთა, აგრეთვე იმ მიწისქვეშა ნაგებობათა დაპროექტება, მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაცემა, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან

მუხლი 21. სამთომომპოვებელ საწარმოთა, აგრეთვე იმ მიწისქვეშა ნაგებობათა დაპროექტების თავისებურებები, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან

სამთომომპოვებელ საწარმოთა და მიწისქვეშა ნაგებობათა დაპროექტება, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, წარმოებს სავარაუდო მშენებლობის უზანზღ წიაღის გეოლოგიური და სხვაგვარი შესწავლის საფუძველზე ეკონომიური რაიონის კომპლექსური განვითარების გათვალისწინებით.

სამთომომპოვებელ საწარმოთა დაპროექტება წარმოებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამტკიცდება სასარგებლო წიაღისეულის მარაგი და საბადო გადაცემა სამრეწველო ათვისებისათვის. გამონაკლის შემთხვევებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნებართვით სამთომომპოვებელი საწარმოების დაპროექტება შეიძლება სასარგებლო წიაღისეულის მარაგის დამტკიცებამდე.

სამთომომპოვებელი საწარმოებისა ან იმ მიწისქვეშა ნაგებობების განლაგების ადგილებს, რომლებშიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, საპროექტო სამუშაოთა დაწყებამდე უთანხმებენ მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოების აღმასრუ-

ლებელ და განმკარგულებელ ორგანოებს, სინქრონიზაციის სამთო ზედამხედველობის ორგანოებსა და სხვა დაინტერესებულ ორგანოებს.

მუხლი 22. ძირითადი მოთხოვნები სამთომომპოვებელ საწარმოთა, აგრეთვე იმ მიწისქვეშა ნაგებობათა დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემისადმი, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან.

სამთომომპოვებელ საწარმოთა პროექტებში გათვალისწინებული უნდა იყოს:

1) სამთომომპოვებელ საწარმოთა მიწისზედა და მიწისქვეშა ნაგებობათა განლაგება სასარგებლო წიაღისეულის საბადოებში, რაც უზრუნველყოფს სასარგებლო წიაღისეულის მარაგის ყველაზე რაციონალურ და ეფექტურ გამოყენებას;

2) სასარგებლო წიაღისეულის საბადოების გადახსნის წესები და მათი დამუშავების სისტემები და მინერალური ნედლეულის გადაამუშავების (მოზადების) ტექნოლოგიური სქემები, რომლებიც უზრუნველყოფს წიაღიდან ძირითადი და მასთან ერთად განლაგებული სასარგებლო წიაღისეულის ყველაზე სრულ კომპლექსურ და ეკონომიურად მიზანშეწონილ ამოღებას, აგრეთვე მისი კომპონენტების გამოყენება, რომლებსაც სამრეწველო მნიშვნელობა აქვს;

3) გადახსნილი ქანების რაციონალური გამოყენება სასარგებლო წიაღისეულის საბადოების დამუშავების დროს;

4) გზადგენა მოპოვებული დროებით გამოყენებელი სასარგებლო წიაღისეულის, აგრეთვე წარმოების სასარგებლო კომპონენტების შემცველი ნარჩენების დასაწყობება და შენახვა;

5) სამთომომპოვებელ საწარმოთა მშენებლობისა და ექსპლოატაციის პროცესში გადახსნილი წიაღის გეოლოგიური შესწავლა და გეოლოგიურ-მარკშაიდერული დოკუმენტაციის შედგენა;

6) მოსახლეობის უსაფრთხოების, წიაღისა და ბუნებრივი ვარემოს სხვა ობიექტების, შენობებისა და ნაგებობების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

სამთომომპოვებელ საწარმოთა დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის დროს უცილობლად უნდა შესრულდეს აგრეთვე ამ საფუძველების მე-14 მუხლში აღნიშნული მოთხოვნები.

იმ მიწისქვეშა ნაგებობათა დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის დროს, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, უცილობლად უნდა შესრულდეს ამ მუხლის 3-6 პუნქტებში და შესაბამისად ამ საფუძველების



მე-14 მუხლის მესამე ნაწილის 1-5 პუნქტებში აღნიშნული მოთხოვნები.

სამთომომპოვებელ საწარმოთა, აგრეთვე იმ მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობა, რეკონსტრუქცია და სექსპლოატაციოდ გადაცემა, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, აკრძალულია, თუ მათი დაპროექტების დროს დაცული არ არის ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები.

პ ა რ ო ი V

წიაღით სარგებლობა სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის და იმ მიზნით, რომელიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან

მუხლი 23. სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების წესი

სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავება წარმოებს სამთომომპოვებელ საწარმოთა დამტკიცებული პროექტების, სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმების, ნავთობის, გაზისა და მიწისქვეშა წყლების ბუღბუღების დამუშავების პროექტებისა და სქემების და ტექნიკური ექსპლოატაციის წესების შესაბამისად.

სამთომომპოვებელ საწარმოთა, საბადოთა ტექნიკური ექსპლოატაციის წესებს, ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავების წესებს, ამტკიცებენ შესაბამისი ორგანოები სახელმწიფო სამთომომპოვებლობის ორგანოებთან შეთანხმებით.

მუხლი 24. ძირითადი მოთხოვნები სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისადმი
სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

1) ძირითადი და მასთან ერთად განლაგებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ყველაზე რაციონალური და ეფექტიანი მეთოდების გამოყენება და მისი სამრეწველო მნიშვნელობის კომპონენტების აბოღება, აგრეთვე ის, რომ არ დაუშვან სასარგებლო წიაღისეულის ზენორმატიული გადარიბება, აგრეთვე საბადოთა მდიდარი მონაკვეთების შერჩევითი დამუშავება, რასაც სასარგებლო წიაღისეულის საბალანსო მარაგის დაუსაბუთებელი დანაკარგები მოსდევს;

2) სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა ხელახალი დაზვერვისა და სხვა გეოლოგიურ სამუშაოთა განხორციელება, მარკჟაიდერულ სამუშაოთა შესრულება, აგრეთვე გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოება;

3) სასარგებლო წიაღისეულის მარაგის მდგომარეობისა და მოძირობის, დანაკარგებისა და გაღარიბების აღრიცხვა;

4) განხორციელებულ სამთო სამუშაოთა შედეგად სასარგებლო წიაღისეულის დასამუშავებელი და მეზობელ საბადოთა გაფუჭების დაუშვებლობა, აგრეთვე წიაღში გაკონსერვებული მარაგის შენარჩუნება;

5) ზზადაგზა მოპოვებული დროებით გამოუყენებელი სასარგებლო წიაღისეულის, აგრეთვე წარმოების სასარგებლო კომპონენტების შემცველი ნარჩენების შენახვა და აღრიცხვა;

6) გადახსნილი ქანებისა და წარმოების ნარჩენების რაციონალური გამოყენება, აგრეთვე მათი სწორი განლაგება;

7) მუშაოთა და მოსახლეობის უსაფრთხოება, წიაღისა და ბუნებრივი ვარემოს სხვა ობიექტების, შენობებისა და ნაგებობების დაცვა ავარიითა ლიკვიდაციის გეგმების შემუშავება-დამტკიცება.

მუხლი 25. სამთომომპოვებელ საწარმოთა ლიკვიდაცია და კონსერვაცია

სასარგებლო წიაღისეულის მარაგის დამუშავების დამთავრების შემდეგ, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როცა ტექნიკურ-ეკონომიური გაანგარიშებითა და სხვა დასაბუთებთა გამო საბადოს ან მისი ნაწილის შემდგომი დამუშავება მიზანშეწონილი არ არის ან შეუძლებელია, საბადოს დამუშავებელი სამთომომპოვებელი საწარმო, ან ამ საწარმოს შესაბამისი ნაწილი უნდა გაუქმდეს, ანდა მოხდეს მისი კონსერვაცია.

სამთომომპოვებელი საწარმოს სრული ან ნაწილობრივი ლიკვიდაციის თუ კონსერვაციის დროს სამთოგამონამუშევრები და ჭაბურღილები ისეთ მდგომარეობაში უნდა იყოს, რომ უზრუნველყოფდეს მოსახლეობის უსაფრთხოებას, ბუნებრივი ვარემოს, შენობათა და ნაგებობათა დაცვას, კონსერვაციის დროს კი საბადოს, სამთოგამონამუშევრების და ჭაბურღილების დაცულობასაც კონსერვაციის მთელ პერიოდში. სამთომომპოვებელი საწარმოს ლიკვიდაციის დროს უნდა გადაიჭრას აგრეთვე ის საკითხი, შეიძლება თუ არა სამთოგამონამუშევრებისა და ჭაბურღილების გამოყენება სხვა სახალხო-სამეურნეო მიზნებისათვის.

სამთომომპოვებელი საწარმოს ან მისი ნაწილის ლიკვიდაციისა და კონსერვაციის დროს მისი გეოლოგიური და მარკჟაიდერული დოკუმენტაცია ივსება სამთო სამუშაოთა დამთავრების მომენტისათვის და დადგენილი წესით ჩაბარდება შესანახავად.

სამთომომპოვებელ საწარმოებში, რომლებიც სალიკვიდაციო ან საკონსერვაციო საწარმოებს ემიჯნება, უნდა განხორციელდეს სამთო სამუშაოთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

სამთომომპოვებელი საწარმოს ან მისი ნაწილის ლიკვიდაცია და კონსერვაცია ხდება სა-

ხელმოწიფო სამთოზედამხედველობის ორგანო-
ებთან და სხვა დაინტერესებულ ორგანოებთან.
შეთანხმებით.

მუხლი 26. მოხალისეთა მიერ სასარგებლო
წიაღისეულის მოპოვება

სასარგებლო წიაღისეულის საბადოებში თუ
მათს უბნებზე, რომელთა დამუშავება სამთო-
მოპოვებელ საწარმოთა მიერ მიზანშეწონილია,
დაშვებულია სასარგებლო წიაღისეულის მო-
პოვება მოხალისეთა პირადი შრომით.

მოხალისეთა არტელებს სასარგებლო წიაღი-
სეულის მოპოვება შეუძლიათ სამთომომპოვე-
ბელ საწარმოებთან დადებული ხელშეკრულე-
ბით მათთვის გამოყოფილ სამთო ნაკვეთების
ფარგლებში, ხოლო ცალკეულ მოქალაქეებს —
სამთომომპოვებელი საწარმოების მიერ გაცე-
მული ნებართვის მოწმობით. სამთომომპოვებელ
საწარმოებს ეკისრებათ კონტროლი მოხალისეთა
მიერ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვები-
სადმი.

იმ სასარგებლო წიაღისეულის ნუსხა, რომ-
ლის მოპოვება ნებადართული აქვთ მოხალისე-
ებს, და მოხალისეთა არტელის ტიპობრივი წეს-
დება მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბ-
ჭოს მიერ დადგენილ წესით.

მუხლი 27. წიაღის იმ მიზნით გამოყენების
წესი, რომელიც დაკავშირებული არ არის სა-
სარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან

წიაღის გამოყენება მიწისქვეშა ნაგებობათა
მშენებლობისა და ექსპლოატაციისათვის და
სხვა იმ მიზნებისათვის, რომლებიც დაკავშირე-
ბული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპო-
ვებასთან, წარმოებს სპეციალური პროექტებით,
რომლებიც მტკიცდება სსრ კავშირისა და მო-
კავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის დად-
გენილ წესით.

პროექტებით გათვალისწინებული უნდა იყოს
ლონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს შე-
საბამისად ჩამდინარე წყლების, მავნე ნივთიე-
რებების, წარმოების ნარჩენებისა და სხვა ნივ-
თიერებათა და მასალათა უვნებელყოფას ან
ლოკალიზაციას, ზუსტად დადგენილ საზღვრებში
და მთის გამონამუშავებებში, დედამიწის ზედა-
პირზე და წყლის ობიექტებში მათი შედწივის
თავიდან აცილებას.

ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევის შემთხ-
ვეებში წიაღში ჩამდინარე წყლების ჩაშვება,
მავნე ნივთიერებებისა და წარმოების ნარჩენე-
ბის ჩამარხვა, ნივთიერებებისა და მასალების
მიწისქვეშა შენახვა უნდა შეზღუდონ, შეაჩერონ
ან აკრძალონ სახელმოწიფო სამთო ზედამხედვე-
ლობის ორგანოებმა ან სხვა ამისათვის სპე-
ციალურად უფლებამოსილმა სახელმოწიფო ორ-
განოებმა.

პ ა რ ი V

**წიაღის გამოყენებასთან დაკავშირებულ
სამუშაოთა უსაფრთხოება**

მუხლი 28. წიაღის სარგებლობასთან დაკავ-
შირებულ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების
უზრუნველყოფა

სამთომომპოვებელი საწარმოების, აგრეთვე იმ
მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობის, რეკონ-
სტრუქციისა და ექსპლოატაციის დროს, რომ-
ლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო
წიაღისეულის მოპოვებასთან, გეოლოგიურ-სა-
დაზვერვო და წიაღით სარგებლობასთან დაკავ-
შირებულ სხვა სამუშაოების შესრულებისას
უზრუნველყოფილი უნდა იყოს მუშაკებისა და
მოსახლეობის უსაფრთხოება.

წიაღით მოსარგებლე საწარმოებში, ორგანიზა-
ციებსა და დაწესებულებებში უსაფრთხოების
წესებისა და ნორმების დაცვის უზრუნველყო-
ფისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათს
ხელმძღვანელებს. ისინი განსაზღვრავენ პი-
რებს, რომლებიც კონტროლს უწევენ საწარმო-
თა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სტრუქ-
ტურულ ქვეგანყოფილებაში უსაფრთხოების აღ-
ნიშნული წესებისა და ნორმების დაცვას.

მუხლი 29. წიაღით სარგებლობასთან დაკავ-
შირებულ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების
უზრუნველყოფის ძირითადი მოთხოვნები

წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სა-
მუშაოთა წარმოების დროს უზრუნველყოფი-
ლი უნდა იყოს:

1) მუშაკთა მიერ სამუშაოთა უსაფრთხო წარ-
მოების წესებისა და ნორმების შესწავლა და
შესრულება, აგრეთვე ავარიების თავიდან აცი-
ლებისა და დაგვიადვისის ღონისძიებათა დაგეგ-
მვა და განხორციელება;

2) სამუშაოთა შეჩერება მუშაკთა სიცოცხლი-
სათვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში, ადა-
მიანთა გამოყვანა უსაშიშრო ადგილზე და საფ-
რთხის აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებათა
განხორციელება;

3) იმ მანქანების, მოწყობილობისა და მასა-
ლების გამოყენება, რომლებიც შეესაბამება
უსაფრთხოების წესებისა და ნორმების სანიტა-
რიული ნორმების მოთხოვნებს;

4) ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და ფეთ-
ქებად საშუალებათა აღრიცხვა, სათანადო შენახ-
ვა და ხარჯვა. აგრეთვე მათი სწორი და უსაფ-
რთხო გამოყენება;

5) უსაფრთხოების წესებით გათვალისწინე-
ბული ტექნიკური დოკუმენტაციის, მათ შორის
სამთო სამუშაოთა გეგმების დროული შეცვლა
მონაცემებით, რომლებიც აზუსტებენ სამუშაო-
თა უსაფრთხო წარმოების ზონების საზღვრებს,



აგრეთვე ავარიების ლიკვიდაციის გეგმების დროულ შეგება.

განსაკუთრებით საშიშ მიწისქვეშა პირობებში მომუშავე პირთათვის დისციპლინის წესდებას ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

მუხლი 30. სამთო სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოების საგანგებო მოთხოვნები.

სამინისტროები, უწყებები და მათი დაქვემდებარებული და საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც სამთო სამუშაოებს აწარმოებენ, მოვალენი არიან მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით შეიმუშაონ და განახორციელონ სპეციალური კომპლექსური ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებს მაღაროს ატმოსფეროს შედგენილობის გაუმჯობესებას, სამთო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიისა და კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სრულყოფას და მიზნად ისახავს პროფესიული დაავადებებისა და საწარმოო ტრავმატიზმის თავიდან აცილებას.

სამთო სამუშაოებზე დასაქმებული მუშებისა და მოსამსახურეების ნორმალური ცხოველმობედეობისა და უსაფრთხოების ყველაზე ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფის მიზნით სამინისტროები და უწყებები, აგრეთვე სხვა დაინტერესებული ორგანოები მოვალენი არიან სისტემატურად სრულყოფდნენ უსაფრთხოების წესებსა და ნორმებს, სანიტარულ წესებსა და ნორმებს.

აგრძელდება სამთო სამუშაოთა წარმოება, თუ მოქმედს სამთოგაომანამუშევრების მაღაროს ატმოსფეროში ენაგზადის, მავნე და ფეთქებადი ვაზებისა და მტკრის შემცველობა, აგრეთვე ჰაერის ტემპერატურა არ შეესაბამება უსაფრთხოების წესებისა და ნორმების, სანიტარული წესებისა და ნორმების მოთხოვნებს.

სამთო და ასაფეთქებელ სამუშაოთა ხელმძღვანელობის ნება ეძლევათ იმ პირებს, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სპეციალური განათლება. ასაფეთქებელ სამუშაოებზე შეიძლება იყვნენ მხოლოდ ის პირები, რომლებსაც აქვთ ასეთ სამუშაოთა წარმოების უფლება.

მუხლი 31. სამთო სამუშაოებზე დასაქმებულ პირთა მოვალეობები უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვაში

სამთო სამუშაოებზე დასაქმებული პირნი მოვალენი არიან:

- 1) შეასრულონ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების წესებისა და ნორმების მოთხოვნები;
- 2) სისტემატურად მოაწიონ სამუშაო ადგილებზე მხოლოდ ის პირები, რომლებსაც აქვთ განახორციელონ უსაფრთხოების წესების და

ნორმების გამოგონილ დარღვევათა დაუყოვნებლივი აღმოფხვრის ღონისძიებები;

3) სამუშაოზე იყვნენ სპეციალური ტანსაცმელი და ისარგებლონ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;

4) არ გამოიყენონ სამუშაოთა წარმოებისას წესები, რომლებმაც შეიძლება ავარიის ან უბედური შემთხვევის საფრთხე შექმნას;

5) ავარიის საფრთხის შექმნისთანავე შეწყვიტონ სამუშაოები, დაუყოვნებლივ აცნობონ ეს სამუშაოთა ხელმძღვანელს და იმოქმედონ ზუსტად ავარიების ლიკვიდაციის გეგმის შესაბამისად.

მუხლი 32. სამთო-მაშველი სამსახური

საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც სამთო სამუშაოებს აწარმოებენ, დადგენილი წესით ემსახურებიან სამთო-მაშველი ნაწილები, ხოლო ნავთობისა და ვაზის საბადოების დაზვერვა-დამუშავების დროს საბურღ სამუშაოთა მწარმოებლებს — ვაზისა და ნავთობის ღია შადრევნების თავიდან აცილებასა და ლიკვიდაციის სამსახურები, ამ ნაწილებისა და სამსახურების დისლოკაციის განსაზღვრავენ შესაბამისი სამინისტროები და უწყებები სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებით.

სამთო-მაშველი ნაწილებისა და სამსახურების დებულებას ნავთობისა და ვაზის ღია შადრევნების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის შესახებ ამტკიცებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მშრომელთა დებულებების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, ვისაც უნდა ექვემდებარებოდნენ უწყებრივად, მოვალენი არიან სამთო-მომზოვებელ საწარმოებში ავარიების დროს გამოუყონ სტრანსპორტო საშუალებები, მასალები და მოწყობილობა, კავშირგაბმულობის საშუალებები და მედიკამენტები და გაუწიონ სხვა სახის დახმარება ავარიის ლიკვიდაციაში.

**პ ა რ ი VI
წილის დაცვა**

მუხლი 33. წილის დაცვის ძირითადი მოთხოვნები

სსრ კავშირის მთელი წიალი დაცული უნდა იქნეს.

წილის დაცვის დარგში ძირითადი მოთხოვნები:

წილის სრული და კომპლექსური გეოლოგიური შესწავლის უზრუნველყოფა;

სარგებლობისათვის წილის გადაცემის დად-

გენილი წესის შესრულება და წილის თვით-
ნებური გამოყენების შეუწყნარებლობა;

წილიდან ძირითადი და მასთან ერთად განლა-
გებული სასარგებლო წილისეულისა და მათში
შემავალი კომპონენტების მარაგის რაც შეიძ-
ლება სრული ამოღება და რაციონალური გამო-
ყენება;

სასარგებლო წილისეულთა მარაგის შენარ-
ჩუნებაზე წილით სარგებლობასთან დაკავშირე-
ბულ სამუშაოთა მავნე გავლენის შეუწყნარე-
ლობა;

სასარგებლო წილისეულის საბადოთა დაცვა
დატბორვისაგან, გაწყლიანებისაგან, ხანძრები-
სა და სხვა ფაქტორებისაგან, რომლებიც აუარე-
სებს სასარგებლო წილისეულის ხარისხს და
საბადოს სამრეწველო ღირსებას ან ართულებს
მის დამუშავებას;

სასარგებლო წილისეულის განლაგების ფარ-
თობების დაუსაბუთებელი და თვითნებური გა-
ნაშენიანების აღკვეთა და სხვა მიზნებისათვის ამ
ფართობების გამოყენების დადგენილი წესის
შესრულება;

ექსპლუატაციასა და კონსერვაციაში მყოფი
სამთო გამონამუშევრების და ჰაბურღილების,
აგრეთვე მიწისქვეშა ნაგებობების დაცვაზე წი-
ლის გამოყენებასთან დაკავშირებულ სამუშაო-
თა მავნე გავლენის თავიდან აცილება;

წილის გაჟუჟყვიანების თავიდან აცილება,
ნავთობის, გაზის და სხვა ნივთიერებებისა და
მასალების მიწისქვეშა შენახვის, მავნე ნივთი-
ერებებისა და წარმოების ნარჩენების ჩამარხ-
ვის, ჩამდინარე წყლების ჩაშვების დროს.

ამ მუხლის მოთხოვნების დარღვევის შემთხ-
ვევაში სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის
ორგანოებს ან სხვა ამისათვის სპეციალურად
უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებს შეუძ-
ლიათ წილით სარგებლობა შეზღუდონ, შეაჩე-
რონ ან აკრძალონ სსრ კავშირის კანონმდებლო-
ბით დადგენილი წესით.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკე-
ბის კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს წი-
ლით მოსარგებლეთა მატერიალური და მორა-
ლური შესაბამისების ღონისძიებები, რომლებიც
სტიმულს მისცემენ წილით სარგებლობის გა-
უმჯობესებისა და მისი დაცვის გაძლიერების
ღონისძიებათა განხორციელებას.

**მუხლი 34. სასარგებლო წილისეულის გან-
ლაგების ფართობების განაშენიანების პირობები**
აკრძალულია დასახლებული პუნქტების, სამ-
რეწველო კომპლექსებისა და სხვა სახალხო-
სამეურნეო ობიექტების დაპროექტება და მშე-
ნებლობა, სანამ შესაბამისი ტერიტორიული გე-
ოლოგიური ორგანიზაციისაგან არ მიიღებენ მო-
საწყემებს, რომ მომავალი განაშენიანების უზნის
წილში არ არის სასარგებლო წილისეული.

გამონაკლის შემთხვევებში სასარგებლო წი-
ლისეულის (გარდა საერთოდ გავრცელებული
სასარგებლო წილისეულისა) განლაგების ფარ-
თობების განაშენიანება, აგრეთვე მათი განლა-
გების ადგილებში მიწისქვეშა ნაგებობების შექ-
მნა, რომლებიც დაკავშირებული არ არის სა-
სარგებლო წილისეულის მოპოვებასთან, შეიძ-
ლება მხოლოდ სახელმწიფო სამთოზედამხედვე-
ლობის ორგანოებთან შეთანხმებით. ამასთან უნ-
და გაითვალისწინონ და განახორციელონ სამშე-
ნებლო და სხვა ღონისძიებები, რომლებიც უზ-
რუნველყოფს წილიდან სასარგებლო წილისე-
ულის ამოღების შესაძლებლობას.

საერთოდ გავრცელებული სასარგებლო წი-
ლისეულის განლაგების ფართობების განაშენი-
ანება, აგრეთვე მათი განლაგების ადგილებში
ისეთი მიწისქვეშა ნაგებობების შექმნა, რომ-
ლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო
წილისეულის მოპოვებასთან, შეიძლება მოკავ-
შირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგე-
ნილი წესით.

**მუხლი 35. წილის განსაკუთრებული მეცნიე-
რული ან კულტურული მნიშვნელობის მქონე
უბნების დაცვა**

იშვიათი გეოლოგიური გაშიშვლებები, მინე-
რალოგიური წარმონაქმნები, პალეონტოლოგიუ-
რი ობიექტები და წილის სხვა უბნები, რომლებ-
საც განსაკუთრებული მეცნიერული ან კულტუ-
რული მნიშვნელობა აქვს, შეიძლება დადგე-
ნილი წესით ნაკრძალებად ან ბუნებისა თუ
კულტურის ძეგლებად გამოცხადდეს. ყოველ-
გვარი საქმიანობა, რომელიც ხელს უშლის აღ-
ნიშნული ნაკრძალებისა და ძეგლების დაცვას,
აკრძალულია.

თუ წილით სარგებლობის დროს აღმოჩნდა
იშვიათი გეოლოგიური გაშიშვლებები და მინე-
რალოგიური წარმონაქმნები, მეტეორიტები, პა-
ლეონტოლოგიური, არქეოლოგიური და სხვა
ობიექტები, რომლებიც საინტერესოა მეცნიერე-
ბისა და კულტურისათვის, წილით მოსარგებ-
ლენი მოვალენი არიან შეწყვიტონ სამუშაოები
შესაბამის უბანზე და აცნობონ ეს დანიტერესე-
ბულ სახელმწიფო ორგანოებს.

**მუხლი 36. საზოგადოებრივ ორგანიზაციათა
და მოქალაქეთა მონაწილეობა წილის დაცვისა
და მისი რაციონალური გამოყენების ღონისძიე-
ბათა განხორციელებაში**

პროფესიული კავშირები, ახალგაზრდული ორ-
განიზაციები, ბუნების დაცვის საზოგადოებები,
სამეცნიერო საზოგადოებები და სხვა საზოგა-
დოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე მოქალა-
ქენი ხელს უწყობენ სახელმწიფო ორგანოებს
წილის, დაცვისა და მისი რაციონალურად გა-
მოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონაწილე-



ობენ საქმიანობაში, რომელიც მიზნად ისახავს წიაღის დაცვისა და მისი რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფას, მათი წესდებების (დებულებების) და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

სახელმწიფო ორგანოები მოვალენი არიან ყოველნაირად გაითვალისწინონ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა წინადადებები წიაღის დაცვისა და მისი რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა განხორციელების დროს.

კ ა რ ი V I I

სასარგებლო წიაღისეულის მარაგისა და საბადოების, აგრეთვე ისეთი სარგებლობისათვის გადაცემული წიაღის უზენების სახელმწიფო აღრიცხვა, რომელიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან

მუხლი 37. სასარგებლო წიაღისეულის მარაგისა და საბადოების სახელმწიფო აღრიცხვა

სასარგებლო წიაღისეულის მარაგი და საბადოები, აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულის გამოვლინება ექვემდებარება სახელმწიფო აღრიცხვას სსრ კავშირისათვის ერთიანი სისტემებით.

წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოებისა და სამთო-მოპოვებელი მრეწველობის საწარმოების განლაგების დაკავშირებული უზრუნველყოფის, სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა რაციონალური, კომპლექსური გამოყენების მიზნით, აგრეთვე სხვა სახალხო-სამეურნეო ამოცანათა გადასაწყვეტად წარმოებს სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა სახელმწიფო კადასტრი და დგება სასარგებლო წიაღისეულის მარაგის სახელმწიფო ბალანსები.

მუხლი 38. სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა სახელმწიფო კადასტრი

სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა სახელმწიფო კადასტრი უნდა შეიცავდეს ცნობებს თვითეული საბადოს შესახებ, რომლებიც ახასიათებს ძირითადი და მასთან ერთად განლაგებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგისა და მასში შემავალი კომპონენტების რაოდენობასა და ხარისხს, საბადოს დამუშავების სამთო-ტექნიკურ, პირობათა და სხვა პირობებს და მის გეოლოგიურ-ეკონომიურ შეფასებას, აგრეთვე ცნობებს სასარგებლო წიაღისეულის თვითეული გამოვლინების შესახებ.

მუხლი 39. სასარგებლო წიაღისეულის მარაგის სახელმწიფო ბალანსები

სასარგებლო წიაღისეულის მარაგის სახელმწიფო ბალანსები უნდა შეიცავდეს ცნობებს სამრეწველო მნიშვნელობის მქონე საბადოებში სასარგებლო წიაღისეულის მარაგის რაოდენო-

ბას, ხარისხისა და შესწავლის დონის, მისი განლაგების, სამრეწველო ათვისების დონის, მოპოვების, დანაკარგებისა და სასარგებლო წიაღისეულის დაზვერილი მარაგით მრეწველობის უზრუნველყოფის შესაძლებლობის შესახებ.

მუხლი 40. სასარგებლო წიაღისეულის მარაგის დამტკიცება

დაზვერილი საბადოების სასარგებლო წიაღისეულის მარაგს, აგრეთვე საბადოთა დამუშავების პროცესში დამატებით დაზვერილი სასარგებლო წიაღისეულის მარაგს ამტკიცებენ ამისათვის სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მარაგის დამტკიცებისას განსაზღვრავენ სასარგებლო წიაღისეულის დაზვერილი მარაგის უტყუარობას, რაოდენობასა და ხარისხს, საბადოს განლაგების პირობებს, შესწავლის დონეს, სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობასა და სამრეწველო ათვისებისათვის მზადყოფნას.

მუხლი 41. სასარგებლო წიაღისეულის საბალანსო მარაგის ჩამოწრა

მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული, აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულის მარაგი, რომელმაც დაკარგა სამრეწველო მნიშვნელობა, გაიზნა მოპოვების პროცესში, არ დადასტურდა შემდგომი გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოებისა ან საბადოს დამუშავების დროს, უნდა ჩამოიწეროს სასარგებლო წიაღისეულის სახელმწიფო ბალანსიდან სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამთომომოვებელი საწარმოს აღრიცხვიდან იმ სასარგებლო წიაღისეულის საბალანსო მარაგის ჩამოწრა, რომელმაც დაკარგა სამრეწველო მნიშვნელობა, გაიზნა მოპოვების პროცესში ან არ დადასტურდა შემდგომი გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოებისა ან საბადოს დამუშავების დროს, ხდება სახელმწიფო სამთო ზედახმედველობის ორგანოებთან შეთანხმებით.

მუხლი 42. ისეთი ხარგებლობისათვის გადაცემული წიაღის უზენების სახელმწიფო აღრიცხვა, რომელიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან

მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლოატაციისათვის და სხვა ისეთი მიზნებისათვის გადაცემული წიაღის უზენები, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, ექვემდებარება სახელმწიფო აღრიცხვას სსრ კავშირისათვის ერთიანი სისტემებით.

პ ა რ ი VIII

წიაღის გამოყენებისა და დაცვისადმი და წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოებისადმი ზედამხედველობა და კონტროლი

მუხლი 43. წიაღის გამოყენებისა და დაცვისადმი და წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოებისადმი სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის ამოცანები

წიაღის გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის ამოცანაა უზრუნველყონ, რომ ყველა სამინისტრომ, უწყებამ, საწარმომ, ორგანიზაციამ, დაწესებულებამ და მოქალაქემ დაცვას წიაღით სარგებლობის დადგენილი წესი, შეასრულოს წიაღის დაცვის, წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების, მოსახლეობაზე, ბუნებრივ გარემოზე, შენობებსა და ნაგებობებზე მისი მავნე გავლენის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის ვალდებულებები, დაიცვას სასარგებლო წიაღისეულის მარაგისა და საბადოების სახელმწიფო აღრიცხვის წარმოების წესები, აგრეთვე წიაღის კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესები და ნორმები.

წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოებისადმი სახელმწიფო კონტროლის ამოცანაა უზრუნველყოს გეოლოგიური ავგემვის წარმოების, საძიებო, სადაზვერვო, პიდროგეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური, გეოფიზიკური, გეოქიმიური და წიაღის გეოლოგიური შესწავლის სხვა იმ სამუშაოების წარმოების დადგენილი წესის დაცვა და ეფექტიანობა, რომლებსაც ასრულებენ საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, სულ ერთია ვის ექვემდებარებიან ისინი.

მუხლი 44. ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო ზედამხედველობასა და კონტროლს წიაღის გამოყენებისა და დაცვისადმი და წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოებისადმი

წიაღის გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის (სახელმწიფო სამთხედამხედველობის) და წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოებისადმი სახელმწიფო კონტროლს (სახელმწიფო გეოლოგიურ კონტროლს) ახორციელებენ ამისათვის სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოები და მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები ახორციელებენ სახელმწიფო კონტროლს წიაღის გამოყენებისა და დაცვის დარგში სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 45. წიაღის გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება.

სახელმწიფო სამთხედამხედველობის ორგანოები ამოწმებენ:

1) სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების სისწორეს და წიაღის დაცვის მოთხოვნათა შესრულებას;

2) სამთომომპოვებელ საწარმოთა მიერ სასარგებლო წიაღისეულის მარაგის აღრიცხვის დადგენილი წესის დაცვას, მისი ჩამოწრის სისწორესა და დროულობას;

3) წიაღით სარგებლობის დროს სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების წესებისა და ნორმების დაცვას;

4) იმ ღონისძიებათა განხორციელების სისწორესა და დროულობას, რომლებიც უზრუნველყოფს მოსახლეობის უსაფრთხოებას, ბუნებრივი გარემოს, შენობებისა და ნაგებობების, მოქმედი და დაკონსერვებულ სამთო გამოანაშუშეკრებისა და ჭაბურღილების დაცვას წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მავნე გავლენისაგან;

5) მიწისქვეშე დაცული ნივთების, ვახისა და სხვა ნივთიერებებისა და მასალების, წიაღში ჩაშვებული ჩამდინარე წყლების, ჩამარხული მავნე ნივთიერებებისა და წარმოების ნარჩენების სამთო გამოანაშუშეკრებში, მიწის ზედაპირზე და წყლის ობიექტებში მოხვედრის თავიდან აცილების მოთხოვნათა შესრულებას.

6) სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების დროს გეოლოგიურ და მარკშირირულ სამუშაოთა მოწყობის წესების დაცვას.

სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოებს უფლება აქვთ:

შეაჩერონ წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სამუშაოები იმ შემთხვევაში, თუ დარღვეულია სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების წესები და ნორმები, აგრეთვე წიაღის დაცვის წესები;

შეწყვიტონ წიაღით თვითნებური სარგებლობა და სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ფართობზე თვითნებური განაშენიანება;

წიაღით მოსარგებლე საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს მისცენ შესრულებისათვის სავალდებულო მითითებები, რომ აღმოფხვრან სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისა და წიაღის დაცვის წესებისა და ნორმების დარღვევები;

დადგენილი წესით გამოიძიონ წიაღით სარგებლობის დროს ავარიებისა და საწარმოო ტრავმატიზმის შემთხვევების გარემოებები და მიზეზები და გამოიძიონ შედეგების მიხედვით მიიღონ გადაწყვეტილებები, რომელთა შესრულება სავალდებულოა და შესაბამისი საწარმო-

ბის, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებისათვის.

სახელმწიფო სამოთხე დამხმეველობის ორგანოებს შეიძლება დაეცისროთ წიადის გამოყენებისა და დაცვისადმი ზედამხმეველობის სხვა ფუნქციებიც და მიენიჭოთ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისა და წიადის დაცვის წესებისა და ნორმების დარღვევების აღკვეთისა და თავიდან აცილების სხვა უფლებები.

მუხლი 46. წიადის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოებისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება

სახელმწიფო გეოლოგიური კონტროლის ორგანოები ამოწმებენ წიადის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა მიმართულებას, მეთოდუკას, კომპლექსურობასა და ხარისხს.

სახელმწიფო გეოლოგიური კონტროლის ორგანოებს უფლება აქვთ:

მისცენ შესასრულებლად სავალდებულო მითითებები წიადის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოების დროს ნაცლოვანებათა და დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ;

შეაჩერონ წიადის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოები, თუ ისინი არ შესაბამეა დამტკიცებულ პროექტებს ან ხორციელდება სახელმწიფო რეგისტრაციაში გაუტარებლად, აგრეთვე ამ სამუშაოთა წარმოების წესის განსაზღვრული წესებისა და ნორმების დარღვევის შემთხვევაში.

სახელმწიფო გეოლოგიურ საკონტროლო ორგანოებს შეიძლება მიენიჭოთ წიადის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოების წესებისა და ნორმების დარღვევათა აღკვეთისა და თავიდან აცილების სხვა უფლებებიც.

მუხლი 47. საუწყებო კონტროლი წიადის გამოყენებისა და დაცვისადმი

წიადით სარგებლობის დადგენილი წესის დაცვას, წიადის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოებას, წიადის დაცვის, ძირითადი და მასთან ერთად განლაგებული სასარგებლო წიადისეულისა და მისი კომპონენტების სრული ამოღების უზრუნველყოფის, მათ შორის მინერალური ნედლეულის გამდიდრებისა და გადაამუშავების დროს, — მოთხოვნების, წიადის გამოყენებისადმი დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების მოთხოვნების შესრულებას, მოსახლეობის უსაფრთხოების, ბუნებრივი გარემოს, შენობებისა და ნაგებობების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებას, სასარგებლო წიადისეულის მარაგისა და საბადოების აღრიცხვის წესების, აგრეთვე წიადის კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესებისა და ნორმების დაცვას საუწყებო კონტროლს უწყვეტ ორგანოები, რომელთა გამგებლობაშია წიადით მოსარგებლე საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები.

სასარგებლო წიადისეულის საბადოთა დამუშავების სისწორისადმი კონტროლს ანორციელებენ სამარკშიდერო, გეოლოგიური და სხვა სამსახურები.

ტიობრივ დებულებებს სამარკშიდერო და გეოლოგიური სამსახურების შესახებ ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

პ ა რ ი IX

წიადით სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული დავის გადაჭრის წესი

მუხლი 48. დავის გადაჭრის წესი

საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა დავის წიადის გამოყენების საკითხებზე შესაბამისად წყვეტენ მშრომელთა დებუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სახელმწიფო სამოთხე დამხმეველობის ორგანოები, სახელმწიფო გეოლოგიური კონტროლის ორგანოები და ამისათვის უფლებამოსილი სხვა სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

პ ა რ ი X

პასუხისმგებლობა წიადის კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 49. პასუხისმგებლობა წიადის კანონმდებლობის დარღვევისათვის

ბათილია ვარიგება, რომელიც აშკარა ან ფარული ფორმით არღვევს წიადის სახელმწიფო საკუთრების უფლებას.

იმ პირთ, რომლებსაც ბრალი მიუძღვით იმაში, რომ დადეს აღნიშნული ვარიგებები, აგრეთვე:

თვითნებურად გამოიყენეს წიადი;

დაარღვეეს წიადის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა მოწყობის წესები და მოთხოვნები, რასაც მოჰყვა სასარგებლო წიადისეულის დაზვევრილი მარაგისა ან სამოთხომპოვებელ საწარმოთა, აგრეთვე იმ მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლოატაციის პირობების მცდარი შეფასება, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიადისეულის მოპოვებასთან;

შერჩევით დამუშავეს საბადოთა მდიდარი უბნები, რასაც მოსდევს სასარგებლო წიადისეულის საბალანსო მარაგის უსაფუძვლო დანაკარგები, სასარგებლო წიადისეულის ზენორმატიული დანაკარგები და ზენორმატიული გადარიბება მოპოვებისას, სასარგებლო წიადისეულის საბადოთა გაფუჭება და სასარგებლო წიადისეულის საბადოთა დამუშავების შეწყვეტა.

ლისეუმის მარაგის რაციონალური გამოყენების მოთხოვნათა სხვა დარღვევები;

თვითნებურად გააშენიანეს სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ფართობები;

დაარღვიეს წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების წესები და ნორმები;

არ შეასრულეს წიაღის დაცვის წესები, აგრეთვე წიაღის სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მანვე გავლენისაგან ბუნებრივი გარემოს, შენობებისა და ნაგებობების დაცვის მოთხოვნები;

მოსპეს ან დააზიანეს მიწისქვეშა წყლებზე დაკვირვების სარეჟიმო ჭაბურღილები, აგრეთვე მარკშიდრული და გეოდეზიური ნიშნები;

დაკარგეს მარკშიდრული ან გეოლოგიური დოკუმენტაცია, აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულის სინჯების დუბლიკატები და კერძი, რომლებიც აუცილებელია წიაღის შემდგომი გეოლოგიური შესწავლისა და საბადოს დამუშავების დროს;

არ შეასრულეს ლიკვიდირებული ან დაკონსერვებული სამთო გამონამუშევრებისა და ჭაბურღილების ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსახლეობის უსაფრთხოებას, აგრეთვე კონსერვაციის დროს საბადოების, სამთო გამონამუშევრებისა და ჭაბურღილების დაცულობის მოთხოვნები —

ეკისრებათ სისხლისამართლებრივი, ადმინისტრაციული ან სხვა პასუხისმგებლობა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება დაწესდეს პა-

სუხისმგებლობა წიაღის კანონმდებლობის სხვა დარღვევებისთვისაც.

წიაღით თვითნებური სარგებლობა და სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ფართობების თვითნებური განაშენიანება წყდება, გააწეული ხარჯების აღნაზღაურებლად.

მუხლი 50. ზარალის ანაზღაურება

საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები და მოქალაქენი ვალდებული არიან აღნაზღაურონ წიაღის კანონმდებლობის დარღვევით გამოწვეული ზარალი იმ ოდენობითა და წესით, რომლებსაც ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა. თანამდებობის პირებსა და სხვა მუშაკებს, რომელთა მიზეზითაც გასწიეს საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ხარჯები, მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ დადგენილი წესით.

კ ა რ ი X I

საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი

მუხლი 51. საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები

თუ სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკის მონაწილეობით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო შეთანხმებით დადგენილია სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკის წიაღის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესებისაგან განსხვავებული წესები, მაშინ საერთაშორისო ხელშეკრულების ან საერთაშორისო შეთანხმების წესებს იყენებენ.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ რ ე ბ ე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრეატივის კომიტეტის

ნარკომანიით დაავადებულთა იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრეატივის კომიტეტის ადგილი:

1. დაწესდეს, რომ ნარკომანიით დაავადებულნი ვალდებული არიან იმკურნალონ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში.

ნარკომანიით დაავადებულნი, რომლებიც თავს არიდებენ ასეთ მკურნალობას, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დადგენილებით გაიგზავნებიან სამკურნალო-შრომით პროფილაქტიკურ იძულებითი მკურნალობისათვის ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე.

2. ამ ბრძანებულების პირველ მუხლში აღნიშნულ პირთა პროფილაქტიკურ იძულებითი მკურნალობის საკითხს საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომელთა კოლექტივების ან სახელმწიფო ორგანოების შუამდგომლობით, სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, 10 დღის ვადაში განიხილავს რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლო ღია სასამართლო სხდომაზე; ამასთან სხდომაზე გამოახებულ უნდა იქნეს ის პირი, რომლის მიმართაც აღძრულია შუამდგომლობა, ხოლო საჭირო შემთხვევაში სასამართლო სხდომას უნდა ესწრებოდნენ იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციის, კოლექტივების ან ორგანოების წარმომადგენლები, რომელთაც აღძრეს შუამდგომლობა.

3. სასამართლოში განსახილველი მასალის მომზადება და გაგზავნა წარმოებს შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ.

თუ პირი, რომლის მიმართ აღძრულია იძულებითი მკურნალობის და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შუამდგომლობა, თავს აარიდებს სამედიცინო გამოკვლევას ან სასამართლოში გამოცხადებას, იგი უნდა მოიყვანონ შინაგან საქმეთა ორგანოებმა.

სასამართლოს დადგენილებას, არა უგვიანეს 10 დღისა, აღსრულებენ შინაგან საქმეთა ორგანოები.

4. თუ სამკურნალო-შრომით პროფილაქტიკურ იძულებით მოთავსებული პირი თავს აარიდებს იძულებით მკურნალობას, მას პროფილაქტიკურ იძულებითი მკურნალობის ვადა შეიძლება გაუგრძელდეს იმ

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დადგენილებით, რომლის ტერიტორიაზედაც მდებარეობს სამკურნალო-შრომითი პროფილაქტიკური იძულებითი მკურნალო-შრომითი პროფილაქტიკური იძულების ადმინისტრაციის წარდგინების საფუძველზე, რომელიც ემყარება სამედიცინო დასკვნას; ამასთან ასეთი პირის პროფილაქტიკურ იძულებითი მკურნალობის ვადა საერთო ჯამში არ შეიძლება აღემატებოდეს ორ წელს.

5. იძულებითი მკურნალობისათვის სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის არააკლებ ექვსი თვის გასვლის შემდეგ, მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შემოქმედების წარმატებით მიმდინარეობის შემთხვევაში, პროფილაქტიკურ იძულებითი მკურნალობის პირს შეიძლება შეუმცირდეს იქ ყოფნის ვადა, მაგრამ არაუმეტეს ნახევრისა. იმ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დადგენილებით, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს პროფილაქტიკური იძულებითი მკურნალო-შრომითი პროფილაქტიკური იძულების ადმინისტრაციის წარდგინების საფუძველზე, რომელიც ემყარება სამედიცინო დასკვნას, როგორც წესი, დაუშვებელია ვადის შემცირება იმ პირთა მიმართ, რომლებიც განმეორებით არიან გაგზავნილი სამკურნალო-შრომით პროფილაქტიკურ იძულებით.

სასამართლოს დადგენილებით პროფილაქტიკურ იძულებითი მკურნალობის პირი შეიძლება ვადადგე გათავისუფლებულ იქნეს თუ დაავადება ისეთი მძიმე დავადებაა რომელიც ხელს შეუშლის პროფილაქტიკურ იძულებითი მკურნალობის ვადის შემცირებას.

6. სასამართლოს დადგენილება ამ ბრძანებულების მე-2, მე-4 და მე-5 მუხლებში აღნიშნული საკითხების თაობაზე საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

7. სასამართლოს დადგენილება პირის სამკურნალო-შრომით პროფილაქტიკურ იძულებითი მკურნალობის ვადის შემცირებას წარმოადგენს სამუშაოდან მისი განთავისუფლებას საფუძველს გასასვლელი დახმარების მიუცემლად.

სამკურნალო-შრომით პროფილაქტიკურ იძულებით

ყოფნის დრო არ წყვეტს შრომის სტაჟს და ჩათვლება საერთო შრომის სტაჟში; შევსებული ასეთ პირებს ამ პერიოდისათვის არ მიეცემათ.

პროფილაქტორიუმში მოთავსებულ პირთა შრომა ანაზღაურდება საერთო საფუძველზე. ხელფასიდან ან პენსიიდან უკავებენ თანხებს დადგენილი წესით სამკურნალო შრომით-პროფილაქტორიუმში შენახვის ხარჯების დასაფარავად, აგრეთვე ახდენენ სხვა დაქვითვებს საერთო საფუძველზე; დარჩენილი თანხა გადაერთიხება ოჯახს, ხოლო თუ ოჯახი არა აქვთ, ჩიორიხება მათ პირად ანგარიშზე.

სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში მყოფ პირებს უნარჩუნდებათ საცხოვრებელი ფართობის უფლება მათი წინანდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმიდან დაბრუნებულ პირთა შრომითი მოწყობა, როგორც წესი, უნდა მოხდეს მათ წინანდელ სამუშაოზე და ეკისრება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს.

8. სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმიდან ან ამ დაწესებულებაში წაყვანის დროს გზიდან გაქცევა ისევე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

9. ის პირი, რომელსაც თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში ყოფნის ან მის მიმართ სასამართლოს მიერ იძულებითი მკურნალობის შეფარდების თაობაზე დადგენილების გამოტანიდან

პროფილაქტორიუმში მისვლამდე პერიოდში ჩადენილი დანაშაულისათვის, სასჯელის მოხდის შემდეგ გაიგზავნება პროფილაქტორიუმში იძულებითი მკურნალობის მოუხდელი ვადით, თუ კი სამედიცინო დასკვნით იგი საჭიროებს ასეთ მკურნალობას.

10. პროფილაქტორიუმში არ გაიგზავნებიან:

ა) ქრონიკული სულიერი სენით დაავადებულნი, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები, ორსული ქალები და მეძუძური დედები, აგრეთვე დაავადებულნი ისეთი მძიმე სენით, რომელიც ხელს უშლის მათს პროფილაქტორიუმში მოთავსებას, — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად;

ბ) მამაკაცები 60 წლისა და ქალები 55 წლის ასაკს ზევით, აგრეთვე პირები, რომლებსაც 18 წელი არ შესრულებიათ. გამონაკლის შემთხვევებში პროფილაქტორიუმში შეიძლება გაიგზავნონ ნარკომანიით დაავადებული არასრულწლოვანები, რომლებსაც შესრულდათ 16 წელი.

11. ძალდაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულება „ნარკომანებისა და ქრონიკული ალკოპოლიკების იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1965 წ., № 30, მუხ. 628; 1969 წ. № 6, მუხ. 122; 1972 წ., № 6, მუხ. 97; 1973 წ., № 6, მუხ. 99; 1974 წ., № 9, მუხ. 171).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძიწინიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე

თბილისი, 1975 წლის 28 აგვისტო.



ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ქრონიკული ალკოჰოლიკების იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს, რომ ქრონიკული ალკოჰოლიკები ვალდებული არიან გაიარონ სპეციალური მკურნალობის სრული კურსი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეციალიზებულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში.

ქრონიკული ალკოჰოლიკები, რომლებიც დისციპლინარული, ადმინისტრაციული ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების მიუხედავად თავს არიდებენ მკურნალობას ან მკურნალობის შემდეგ განაგრძობენ ლოთობას, არღვევენ შრომის დისციპლინას, საზოგადოებრივ წესრიგს ან სოციალისტური თანაცხოვრების წესებს, გაიგზავნებიან სამკურნალო-შრომით პროფილაქტიკურ იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნისათვის ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე.

2. ამ ბრძანებულების პირველ მუხლში აღნიშნულ პირთა პროფილაქტიკურ იძულებაში გაგზავნის საკითხს საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა კოლექტივების ან სახელმწიფო ორგანოების შუამდგომლობით, სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, 10 დღის ვადაში განიხილავს რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლო და სასამართლო სსდომარე; ამასთან სსდომარე გამოძახებულ უნდა იქნეს ის პირი, რომლის მიმართაც აღძრულია შუამდგომლობა, ხოლო საჭირო შემთხვევაში სასამართლო სსდომარე უნდა ესწრებოდნენ იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციის კოლექტივების ან ორგანოების წარმომადგენლები, რომელთაც აღძრეს შუამდგომლობა.

3. სასამართლოში განსახილველი მასალის მომზადება და გაგზავნა წარმოებს შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ.

თუ პირი, რომლის მიმართ აღძრულია იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შუამდგომლობა, თავს აარიდებს სამედიცინო გამოკვლევას ან სასამართლოში გამოცხადებას, იგი უნდა მოიყვანონ შინაგან საქმეთა ორგანოებმა.

სასამართლოს დადგენილებას, არა უგვიანეს 10 დღისა, აღასრულებენ შინაგან საქმეთა ორგანოები.

4. თუ სამკურნალო-შრომით პროფილაქტიკურ იძულებაში მოთავსებული პირი თავს აარიდებს იძულებით მკურნალობას, მას პროფილაქტიკურ იძულებაში ყოფნის ვადა შეიძლება გაუგრძელდეს იმ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დადგენილებით, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს სამკურნალო-შრომითი პროფილაქტიკური იძულება. ასეთ გადაწყვეტილებას სასამართლო მიიღებს სამკურნალო-შრომითი პროფილაქტიკური იძულების ადმინისტრაციის წარდგინების საფუძველზე, რომელიც ემყარება სამედიცინო დასკვნას; ამასთან, ასეთი პირის პროფილაქტიკურ იძულებაში ყოფნის ვადა საერთო ჯამში არ შეიძლება აღემატებოდეს ორ წელს.

5. იძულებითი მკურნალობისათვის სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის არანაკლებ ექვსი თვის ვასელის შემდეგ, მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის ზემოქმედების წარმატებით მიმდინარეობის შემთხვევაში, პროფილაქტიკურ იძულებაში მოთავსებულ პირს შეიძლება შეუმცირდეს იქ ყოფნის ვადა, მაგრამ არაუმეტეს ნახევრისა, იმ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დადგენილებით, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს პროფილაქტიკური იძულება. ასეთ გადაწყვეტილებას სასამართლო მიიღებს სამკურნალო-შრომითი პროფილაქტიკური იძულების ადმინისტრაციის წარდგინების საფუძველზე, რომელიც ემყარება სამედიცინო დასკვნას. როგორც წესი, დაუშვებელია ვადის შემცირება იმ პირთა მიმართ, რომლებიც განმეორებით არიან გაგზავნილი სამკურნალო-შრომით პროფილაქტიკურ იძულებაში.

სასამართლოს დადგენილებით პროფილაქტიკურ იძულებაში მყოფი პირი შეიძლება ვადადგე გაითავისუფლებულ იქნეს თუ დაავადდება ისეთი მძიმე დაავადებით, რომელიც ხელს შეუშლის პროფილაქტიკურ იძულებაში მის შემდგომ ყოფნას.

6. სასამართლოს დადგენილება ამ ბრძანებულების მე-2, მე-4 და მე-5 მუხლებში აღნიშნულ

ნული საკითხების თაობაზე საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

7. სასამართლოს დადგენილება პირის სამკურნალო-შრომით პროფილაქტიკორიუმში გაგზავნის შესახებ წარმოადგენს სამუშაოდან მისი განთავისუფლების საფუძველს გასასჯელი დახმარების მიუცემლად.

სამკურნალო-შრომით პროფილაქტიკორიუმში ყოფნის დრო არ წყვეტს შრომის სტაჟს და ჩაითვლება საერთო შრომის სტაჟში; შევსებულია ასეთ პირებს ამ პერიოდისათვის არ მიეცემათ.

პროფილაქტიკორიუმში მოთავსებულ პირთა შრომა ანაზღაურდება საერთო საფუძველზე. ხელფასიდან ან პენსიიდან უკავებენ თანხებს დადგენილი წესით სამკურნალო-შრომით პროფილაქტიკორიუმში შენახვის ხარჯების დასაფარავად, აგრეთვე ახდენენ სხვა დაქვითვებს საერთო საფუძველზე; დარჩენილი თანხა გადაერიცხება ოჯახს, ხოლო თუ ოჯახი არა აქვთ, ჩაირიცხება მათ პირად ანგარიშზე.

სამკურნალო-შრომით პროფილაქტიკორიუმში მყოფ პირებს უნარჩუნდებათ საცხოვრებელი ფართობის უფლება მათი წინანდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სამკურნალო-შრომითი პროფილაქტიკორიუმიდან დაბრუნებულ პირთა შრომითი მოწყობა, როგორც წესი, უნდა მოხდეს მათ წინანდელ სამუშაოზე და ეკისრება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს.

8. სამკურნალო-შრომითი პროფილაქტიკორიუმიდან ან ამ დაწესებულებაში წაყვანის დროს გზიდან გაქცევა ისჯება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

9. ის პირი, რომელსაც თავისუფლების აღკვეთა მიუსჯავს სამკურნალო-შრომით პროფილაქტიკორიუმში ყოფნის ან მის მიმართ სასამართლოს მიერ იძულებითი მკურნალობის შეფარდების თაობაზე დადგენილებას გამოტანიდან

პროფილაქტიკორიუმში მისვლამდე პერიოდში ჩადენილი დანაშაულისათვის, სასჯელის მოხდის შემდეგ გაიგზავნება პროფილაქტიკორიუმში იძულებითი მკურნალობის მოუხდელი ვადით, თუკი სამედიცინო დასკვნით იგი საჭიროებს ასეთ მკურნალობას.

10. პროფილაქტიკორიუმში არ გაიგზავნიებიან:

ა) ქრონიკული სულიერი სენით დაავადებულნი, პარველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები, ორსული ქალები და მეჭუჭური დედები, აგრეთვე დაავადებულნი ისეთი მძიმე სენით, რომელიც ხელს უშლის მათს პროფილაქტიკორიუმში ყოფნას, — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად;

ბ) მამაკაცები 60 წლისა და ქალები 55 წლის ასაკ ზევით, აგრეთვე არასრულწლოვნები, რომლებსაც 18 წელი არ შეუსრულებიათ.

11. „ლოთობისა და ალკოპოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულების მე-17 მუხლი (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1972 წ. №9 მუხ. 87; 1973 წ. №6, მუხ. 100) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„17. ქრონიკული ალკოპოლიკები, რომლებიც დისციპლინარული, ადმინისტრაციული ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების მიუხედავად თავს არიდებენ მკურნალობას ან მკურნალობის შემდეგ განაგრძობენ ლოთობას, არღვევენ შრომის დისციპლინას, საზოგადოებრივ წესრიგს ან სოციალისტური თანაცხოვრების წესებს, გაიგზავნიებიან სამკურნალო-შრომით პროფილაქტიკორიუმში იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდამკმნისათვის ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე.“

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ქოჭინიძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. კვაპაძე**

თბილისი
1975 წლის 28 აგვისტო

გადაწყვეტილება

თბილისის მშრომელთა დეპუტატების
საქალაქო საბჭოსი

1975 წლის 25 სექტემბერი

თბილისის საქალაქო სასამართლოს არჩევის შესახებ

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭომ გადაწყვიტა:
არჩეულ იქნას თბილისის საქალაქო სასამართლო შემდეგი შემადგენლობით:

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

მახარაძე შალვა კირილეს ძე

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები:

კობახიძე ავთანდილ ვლადიმერის ძე

ჩორგოლაშვილი ლამარა იონას ასული

თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრები:

ალადაშვილი ალექსანდრე ვახტანგის ძე

მნაცავანი ლეონ ბარუნაკის ძე

კერესელიძე ვალერიან რუბენის ძე

ნიკოლაიშვილი მდედა სერგოს ასული

მატკავა დავით ვლადიმერის ძე

სავანელი ბიძინა ვარლამის ძე

მედვედევა სოფიო ემანუილის ასული

თბილისის საქალაქო სასამართლოს მსახურლები

ლენინის რაიონი

ბაირამოვი ხაზინ გულის ძე

მაჭავარიანი მერაბ გიორგის ძე

ბერძენიშვილი ირაკლი მიხეილის ძე

მგელაძე მიხეილ ალექსის ძე

ბორაშვილი გიორგი არტემის ძე

მიქიტაშვილი შაიკ ალექსანდრეს ძე

გულვერდაშვილი სირან გაბოს ასული

ნათენაძე სერგო ზაქარაის ძე

ღრიაევი ანა საკოს ასული

ნაკაშვილი ომარ ვასილის ძე

ერქვანია ივოლდა შალვას ასული

პაპაშვილი ზონი გაბრიელის ასული

თელია ზაირა რაუდენის ასული

სურგულაძე გიორგი ალექსანდრეს ძე

თოფურაძე თეიმურაზ არჩილის ძე

ფირიულიანი ანა ანისიმეს ასული

იმერლიშვილი თამარ ალექსანდრეს ასული

ფარეიშვილი გულნაზი დავითის ასული

კამკაშიძე ფატი ერმალოზის ასული

ქადაგიშვილი ეთერ გიორგის ასული

კახაძე გენრიეტა პოლიკარპეს ასული

ქავთარაძე რუსუდან თევდორეს ასული

კეშელავა ღურმიშხან დავითის ძე

შავლუხოვი გიორგი იხიდორეს ძე

კვიციანიშვილი ცილა იოსების ასული

შათირიშვილი რიტა დავითის ასული

ლოლაძე თამარ არშაკის ასული

ცოშია ალექსანდრე ნესტორის ძე

ლომიძე მარინე ალექსანდრეს ასული

ჭეირონაშვილი ლამარა მიხეილის ასული

I მაისის რაიონი

აბაშიძე ავთანდილ ბაუკის ძე
 ამირჯანოვა ყუყუხუნა ალექსანდრეს ასული
 ანთია რამინ ვლადიმერის ძე
 ანისონოვა ასტგიკ გრიგოლის ასული
 ბარათაშვილი გურამ ვახტანგის ძე
 გაბეჩავა შოთა შალვას ძე
 გადელია თენგიზ ირაკლის ძე
 გამცემლიძე მედეა ნესტორის ასული
 გოგორიშვილი რუსუდან შალვას ასული
 თევზაძე დალი ალექსანდრეს ასული
 ივანაძე ლამარა ნოეს ასული
 ირომაშვილი გიორგი ივანეს ძე
 კანდელაკი თამარ ოთარის ასული
 კაპანაძე აგრაფინა ტერენტიის ასული
 კობახიძე აკაკი ივანეს ძე

კუპრაძე სულიკო გერონტის ძე
 მაჭავარიანი ჭემალ ილიას ძე
 მსხილაძე გუგული ვარდენის ასული
 მუმლაძე ნიკოლოზ კარაპეტის ძე
 მუსერიძე ანუელინა ბენიამინის ასული
 ნარეკლიშვილი მედეა აბრამის ასული
 პატარიძე ნათელა ქსენოფონტეს ასული
 პიტიურიშვილი ლილა ქარუმას ასული
 რობიტაშვილი თენგიზ ზაქარაას ძე
 როსნაძე ლილი ერასტის ასული
 სოსნოვსკაია ვალენტინა პეტრეს ასული
 ცაბუტაშვილი ჭულიეთა ალექსანდრეს ასული
 ჭაოშვილი ირინა პავლეს ასული
 ჭაფარიძე ნუნუ დიმიტრის ასული
 ხარაძე მერი ბიქტორის ასული

ოქტომბრის რაიონი

ანთიძე ვალენტინა მათეს ასული
 არონიშიძე ალექსანდრე პავლეს ძე
 ბაროიანი მარინა ამასასპის ასული
 ბაზაზიანი ლამარა კარაპეტის ასული
 ბერძენიშვილი გელა დავითის ძე
 გაბინაშვილი დიმიტრი იოსების ძე
 გენგაური მარიაშ ილიას ასული
 გეონჯიანი ანატოლი გრიგოლის ძე
 გეწაძე ცისანა დავითის ასული
 გომიაშვილი ნაირა ვლადიმერის ასული
 გორგაძე ავთანდილ ბესარიონის ძე
 გურასაშვილი თინა გრიგოლის ასული
 დორეული გურამ სოლომონის ძე
 ვეკუა გიგლა შირიმის ძე
 კენკებაშვილი ლია სოლომონის ასული

კერესელიძე გულნარა სამსონის ასული
 კვაჭანტირაძე ნონა სევასტის ასული
 კვიტატიანი ციალა ალექსანდრეს ასული
 კობიაშვილი ალექსანდრე არსენის ძე
 კობიაშვილი ციალა ალექსანდრეს ასული
 კოკოზაშვილი ჭულიეთა ალექსის ასული
 კოსტენკო იური ილიას ძე
 ლელინა მარია ივანეს ასული
 მესხიშვილი ზურაბ ივანეს ძე
 ტატანაშვილი გივი ივანეს ძე
 ღრუბელაშვილი იზოლდა ვარლამის ასული
 ციცავი რუსუდან თევდორეს ასული
 წიქარიძე ვალიდა ვლადიმერის ასული
 წოწკოლაური გიული გიორგის ასული
 ხუნდაძე ვენერა არჩილის ასული

კალინინ რაიონი

ბილანიშვილი ციალა გიორგის ასული
 გაგოშიძე გიორგი დიომიდეს ძე
 გამყრელიძე ოთარ კალენიკეს ძე
 გერმანოვაშვილი ლილი ალექსანდრეს ასული
 გიგაური თამარ კონსტანტინეს ასული
 გოგუა ანდრო ბარნაბის ძე
 გრიგოლია ლამარა ვლადიმერის ასული
 გულუა იოსებ ოთარის ძე
 თავაძე დიმიტრი მათეს ძე
 თეთრაძე თამარ გიორგის ასული
 იაშვილი შოთა ივანეს ძე
 კალაძე ცირა ვლადიმერის ასული
 კასრაძე დალი შალვას ასული
 კელენჭერიძე მანანა ანტონის ასული

კორძაია ნანა ვლადიმერის ასული
 ლომაძე ეთერ პილატეს ასული
 მალრაძე ნაზიკო გრიგოლის ასული
 მენაბდე აკაკი იოსების ძე
 მირზაიანი ბახშო მინელიის ძე
 ოშიაძე თამაზ გიორგის ძე
 როსტომაშვილი ნუნუ არმენაკის ასული
 სინარულიძე ციცინო ივანეს ასული
 სტეფანაძე ჭემალ კონსტანტინეს ძე
 შავდია გიული პლატონის ასული
 შავდია ლამარა ბაგრატის ასული
 ჩალათაშვილი ლუარა კვიროსის ასული
 გოგიჩაიშვილი ლია ვალერიანის ასული
 სერგეევა სვეტლანა პეტრეს ასული



კიროვის რაიონი

აკოფიანი სირუმ სერგოს ასული
 ანანივე ბორის ნიკოლოზის ძე
 აფნაწიველი ლუსია ნიკოლოზის ასული
 გაფრინდაშვილი კუკური ლეონიდეს ძე
 გიორგაძე ნანი ლავრენტის ასული
 გოგიჩაიშვილი რუსუდან დიმიტრის ასული
 ენუქიძე ვასილ კალისტრატეს ძე
 ჯალიაშვილი ნანა მიხეილის ასული
 კაკაურიძე ნადეჟდა ნესტორის ასული
 კანაშვილი მაყვალა მიხეილის ასული
 კაპანაძე ჯაურ ნიკოლოზის ძე
 კველიშვილი ოთარ ვასილის ძე
 კისელევი ვალენტინ ალექსის ძე
 მატოიანი დიანა აზარის ასული
 მელქონიანი აიკანუშ ოგანეზის ასული

მეფარიშვილი გიორგი კონსტანტინეს ძე
 მემძარიაშვილი კონსტანტინე ვლადიმერის ძე
 ნარიშანიძე ევგენი ალექსანდრეს ძე
 ნინუა ფიჭვი ვლადიმერის ასული
 ონაშვილი ნელი რაფიელის ასული
 პაკელიანი ნინო მუჟას ასული
 ქარსელაძე სოფიო ბაგრატიის ასული
 დვინიაშვილი რუსუდან შალვას ასული
 შილაკაძე ჯემალ მიხეილის ძე
 შიოშვილი თამარ ალექსის ასული
 ჩიგოგიძე დალი სევერიანის ასული
 ჩორგოლაშვილი ცისანა ექვთიმეს ასული
 ხუნეიკოვა ნინა ილიას ასული
 ხლოპოვსკი ლეონიდ გრიგორის ძე
 ჯავახიშვილი ქეთევან შოთას ასული

ორჯონიძის რაიონი

აღადაშვილი ნაირა ვასილის ასული
 არნაძე დოტანა მიხეილის ასული
 ბერიძე ნანა დავითის ასული
 ბიჩინაშვილი ნინო ალექსანდრეს ასული
 გეწახე ნელი დავითის ასული
 გიორგაძე ივანე პლატონის ძე
 დარსაველიძე სელიტო ნიკოლოზის ძე
 დიდმელაშვილი ნანული გიორგის ასული
 ვალიევა თებრო ვლადიმერის ასული
 ზოსიაშვილი თამარ იოსების ასული
 კალანდაძე კარლო დავითის ძე
 კეშელავა მადონა ბენიამის ასული
 კობერიძე ანა მალაქიას ასული
 ლომაძე დიმიტრი ვასილის ძე
 მუჟვანაძე ფატიმა შალვას ასული

მუჟავა მერი ტარიელის ასული
 ნათიძე მერი სოლომონის ასული
 ოჩიგავა ლამარა აკაკის ასული
 საღანაძე ნანული გრიგოლის ასული
 ტუავეი სიმონ რევაზის ძე
 ფაჩულია სერგო ბორისის ძე
 შენგელია ვახუშტი ნიკოლოზის ძე
 შიმშილაშვილი შოთა რუბენის ძე
 ჩახავა ირმა ავთანდილის ასული
 ჩიბირკო ლეონიდ დიმიტრის ძე
 ჩუბინიძე ივანე ირაკლის ძე
 წიკლაური ლილი ვასილის ასული
 ხოფერია დავით ამირანის ძე
 ხურციძე ვალერიან სერაპიონის ძე
 ჯარიანი ვლადიმერ ივანეს ძე

26 კომისრის რაიონი

ავაქოვი სურენ არშაკის ძე
 აზდაროვა დალი ნიკოლოზის ასული
 ბაკაშვილი მიმოზა ფორეს ასული
 ბიკაშვილი ნათელა იოსების ასული
 ბუბერენკო პავლინა პავლეს ასული
 ვართაზაროვი ჯაირა იოსების ასული
 თაბაგარი ნინელი ანდროს ასული
 კარაკულოვა არაქსი აკოფის ასული
 მდნარაძე ლუიზა ილიას ასული
 მშვიდლობაძე მარინა მამუკას ასული
 პეისახოვიჩი-კრუგლოვა მანია ლეიბოს ასული
 ხალირაშვილი ნელი ვლადიმერის ასული
 სიემიშვილი ივანე ჯაქარაის ძე

სუხიტაშვილი მიხეილ ჯაქარაის ძე
 ულუმბელაშვილი ციალა თევდორეს ასული
 ქორიძე სერგო მათეს ძე
 ყურულაშვილი ალექსანდრე ხარქიის ძე
 ცანავა ჯაირა ივანეს ასული
 ხავერნიუკი ნადეჟდა ტიტკოს ასული
 ხანანაშვილი გაბრიელ მიხეილის ძე
 ხეცურაიანი ნელი შალვას ასული
 ხეთაგური დალი გიორგის ასული
 ჯანელიძე მერი ალექსის ასული
 ჯაფარიძე ლილი კონსტანტინეს ასული
 ჯღარკავა ლიანა აკაკის ასული

საქარხნო რაიონი

აპაკინა ლუბა ნიკიფორეს ასული
ახვლედიანი გივი ნიკოლოზის ძე
ბოსტოლანაშვილი ჭემალ ვიქტორის ძე
ბროლაძე იური ივანეს ძე
გოდოლაძე გურამ აკაკის ძე
გულიაშვილი მერი ივანეს სული
დევნოშვილი ნანული ჯაქარიას ასული
დვალაძე ლილი ტარასის ასული
ევრემოვა ვალენტინა პავლეს ასული
ჭუბიაშვილი მარიაშ ჯაქარიას ასული
კახიანი ნაზიბროლა ანდროს ასული
კუჭავა ლეონტი პავლეს ძე
მაჭავარიანი ლიანა ივანეს ასული

მაცაბერიძე ალკაჯარ შოთას ძე
მელქაძე ვენერა ივანეს ასული
მეიფარიანი ესმა მიხეილის ასული
მიქაძე მურთაზ ბაგრატის ძე
პროვოტოროვი ალექსანდრე ბორისის ძე
სელიანინოვა ნადეჟდა მიხეილის ასული
სერებრიაკოვა ნატალია ვახილის ასული
სომხიშვილი ივანე არშაკის ძე
სხირტლაძე ქეთევან რომანის ასული
ტატიშვილი მზიური გიორგის ასული
ტატევისიანი რობერტ არტაშის ძე
ჩიტაძე ნელი კარლოს ასული
ჩინლაძე ვაჟა შაღვას ძე

აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ლოგუშანიძე

აღმასკომის მდივანი დ. ბოკერიძე

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

„სახალხო განათლების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„სახალხო განათლების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1975 წლის 28 ივნისის დადგენილების მე-2 მუხლის

შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში აღგენს: ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტები, თანახმად დანართისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიკა**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭავაძე**

თბილისი, 1975 წლის 1 ოქტომბერი.

დანართი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 1 ოქტომბრის ბრძანებულების „სახალხო განათლების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“

ნ უ ს ხ ე

ინ საკანონმდებლო აქტებისა, რომელთაც დაკარგეს ძალა „სახალხო განათლების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით

1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1959 წლის 18 აპრილის კანონი „საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 4, მუხ. 13).

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 5 ოქტომბრის ბრძანებულება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი გან-

ვითარების შესახებ“ კანონის მე-8 მუხლში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის თაობაზე“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964 წ., № 28, მუხ. 483).

3. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1964 წლის 26 დეკემბრის კანონი „საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ კანონის მე-8 მუხლში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებუ-

ლების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964 წ., № 36, მუხ. 668).

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 12 მაისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ კანონის მე-8 მუხლში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის თაობაზე“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1966 წ., № 5, მუხ. 69).

5. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1966 წლის 24 ივნისის კანონი „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ კანონის მე-8 მუხლში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის თაობაზე „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს

სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1966 წ., № 6, მუხ. 101).

6. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 20 სექტემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 36-ე მუხლის ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1967 წ., № 9, მუხ. 398).

7. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1967 წლის 27 ოქტომბრის კანონი „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 36-ე მუხლის ნაწილობრივი შეცვლის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1967 წ., № 10, მუხ. 418).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კპაჭაძე

მქონე, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმულ ჯ. გველესიანს.

სასამართლომ 1974 წლის 25 იანვარს სსკ 241-ე მუხლის III ნაწილით და 243-ე მუხლით ავტომატურად გატაცებისა და ავარიის მოხდენისათვის, რასაც მოქალაქის სიკვდილი მოჰყვა, ზ. ტუტულაშვილს, რომელიც ანალოგიური დანაშაულისათვის ადრეც იყო მსჯავრდებული, შეუფარდა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამავე მოსამართლის თავმჯდომარეობით, სასამართლომ 1974 წლის 14 ოქტომბრის განაჩენით ს. არეშიძესა და დ. სურბანიძეს, რომლებიც სხვადასხვა დროს ჯგუფურად, ტერაქტურ საშუალებათა გამოყენებით ეწეოდნენ მოქალაქეთა ქონების ქურდობას, საქართველოს სსრ სსკ 150-ე მუხლის მეორე და რსფსრ სსკ 144-ე მუხლის მეორე ნაწილით განესაზღვრათ პირობითი სასჯელი შრომაში სავალდებულო ჩაბმით. განაჩენი გაუქმებულ იქნა ღმობიერების გამო.

1975 წლის 13 იანვარს ტაქსის მძღოლს ნ. მანუკიანს, რომელმაც ავარიის შედეგად ორ მოქალაქეს მიიყენა სხეულის მსუბუქი და ნაკლებად მძიმე დაზიანება, სასჯელის ზომად განესაზღვრა გამასწორებელი მუშაობა 1 წლის ვადით სამუშაოს ადგილზე მოხდით.

1973 წლის 1 ნოემბრის განაჩენით ზ. კუიროკაშვილს 15 წლის ასაკს მიუღწეველ გოგონასთან სქესობრივი კავშირისა და გარყვნილ ქმედობისათვის, სსკ 119-ე მუხლის I ნაწილის და 120 მუხლის საფუძველზე მიესაჯა 1 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეეცვალა პირობითი შრომაში სავალდებულო ჩაბმით. სასჯელის ღმობიერების გამო ეს განაჩენი გაუქმებულია.

1975 წლის 10 იანვარს მებუფეტე ზ. გენებაშვილს, რომელმაც სახელმწიფოს კუთვნილი 1.348 მანეთი მიითვისა, შეეფარდა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

1974 წლის 26 ივლისის განაჩენით ადრე ორჯერ სასამართლომ ნ. გაბარაევს, ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვისათვის, საქართველოს სსრ სსკ 241-ე მუხლის საფუძველზე მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, და სსრ სსკ 46 მუხლის გამოყენებით სასჯელი ჩაეთვალა პირობითად.

ზოგჯერ სასამართლო კრიტიკულად არ აფა-

სებს წინასწარი გამოძიების მასალებს, უკანონოდ სჯის ბრალდებულებს ან უსაფუძვლოდ ამართლებს მათ. ჯერ კიდევ დაბალია განაჩენთა სტაბილობის მაჩვენებელი, მაგალითად, 1974 წლის 9 ოქტომბრის განაჩენით ა. კენკეშვილი დამნაშავედ იქნა ცნობილი მკვლელობის მცდელობაში და სსკ 17-105 მუხლის საფუძველზე მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი გაუქმებულ იქნა წინასწარი გამოძიების მიერ დაშვებული ხარვეზების გამო, რაც ზერელე სამსჯავრო გამოძიების გამო შენიშნული არ იქნა.

1974 წლის 6 თებერვალს სასამართლომ ს. სარუხანოვი გაამართლა საქართველოს სსრ სსკ 241-ე მუხლის მესამე ნაწილით ვათვალისწინებულ ბრალდებაში. განაჩენი გაუქმდა, როგორც უსაფუძვლო.

ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად კვლავ შესამჩნევად ირღვევა როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო საქმეთა განხილვის ვადები. ეს მონაცემები ბევრად უარესია, ვიდრე ქ. თბილისის და რესპუბლიკის სხვა სახალხო სასამართლოებში.

ადგილი აქვს კანონის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად საქმეთა წარმოებით შეჩერების, სასამართლო განხილვისათვის მოუმზადებლობის ფაქტებს.

სისხლის სამართლის საქმე ა. სვანიძის და სხვათა მიმართ სასამართლომ მიიღო 1974 წლის 5 ივლისს, განსახილველად დანიშნა 30 ივლისისათვის, მაგრამ დაზარალებულის და მოწმეთა გამოუცხადებლობის გამო საქმე განუხილველი იყო 4 თვის მანძილზე.

ნ. იბრაგიმოვის ბრალდების საქმე სახელმწიფო ქონების ქურდობის გამო სასამართლო პროცესის მოუმზადებლობის შედეგად გაჭიანურდა 1973 წლის 4 დეკემბრიდან 1974 წლის 26 მარტამდე.

1972 წლის 22 აგვისტოდან შემოწმების დღემდე გაჭიანურებული იყო სამოქალაქო დავის განხილვა კოოპერატივ „ბინწუნის“ სარჩელისა გამო მოქალაქეების თ. ჭავჭავაძის და ბ. ჩხენკელის ბინიდან გამოსახლების შესახებ.

თბილისის შამანური ღვინოების ქარხნის დირექციამ 1973 წლის 11 ოქტომბერს სასამართლოს მიმართა სარჩელით ვ. არაბულის მიმართ დაუფარავი სამიჯლინებო თანხის — 724 მანეთის გადახდევინების შესახებ. მოსარჩელის მიერ ორგზის შესხენების მიუხედავად იგი განუხილველი იყო 16 თვის მანძილზე.



1973 წლის 7 მაისიდან დღემდე გადაწყვეტილი არ არის სამოქალაქო დავა მოქალაქეების ასლანიკოშვილსა და ჩუტკერაშვილს შორის. 1974 წლის 8 იანვრიდან ჭიანჭურაძე თ. ზენაიშვილის სარჩელის განხილვა რაისაბჭოს აღმასკომთან. 1974 წლის 4 მარტიდან 1975 წლის 27 თებერვლამდე ვერ გადაწყდა რაისაბჭოს აღმასკომის დაეა შ. მუმლაძესთან და სხვა.

დიდი დაგვიანებით იხილება საქმეები შრომითი დაგების შესახებ.

საქმეთა განხილვისადმი სახალხო სასამართლოს ასეთი დამოკიდებულება იწვევს მოქალაქეთა სამუშაოდან მოცდენას, სხვადასხვა ინსტანციებში არაერთგზის საჩივრების გაგზავნას, მათ საფუძვლიან უკმაყოფილებასა და გულისწყრომას.

არის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცებით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად აღწერილი ქონების უსაფუძვლოდ ამორიცხვის არაერთი ფაქტი.

სასამართლოს 1973 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებით აღწერილობის სიიდან ამოიღიება მსჯავრდებულ თ. ლაზიშვილის საცხოვრებელი ბინის 3 ოთახი. ამ გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ სახელმწიფო ზარალის ასანაზღაურებლად აღნიშნული ბინა რეალურებული იქნა 50 ათას მანეთად.

1974 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით რომელიც შემდგომ გაუქმებულ იქნა, მექრთამეობისათვის მსჯავრდებული ი. თოფურის აღწერილ ქონებიდან უსაფუძვლოდ ამოიღიება 4.700 მანეთის ფასეულობა.

1975 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით (სახალხო მოსამართლე ე. გოგიაძე) მექრთამეობისათვის მსჯავრდებული ვასაძის აღწერილი ქონების ნახევარი ამორიცხულა მტკიცებულებათა შეფასების გარეშე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 1973 წლის 24 სექტემბრის განჩინებით გაუქმდა სასამართლოს 1973 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება აღწერილობის სიიდან მსჯავრდებულ თ. ლაზიშვილის მახლობლების კუთვნილი ავარაკის ნახევრის ამორიცხვის შესახებ.

სასამართლო დოკუმენტების — განაჩენის, გადაწყვეტილების, დადგენილების, განჩინების, განსაკუთრებით სხდომის ოქმების, წიგნიერება

და ვაფორმების კულტურა არადაამკაყოფილებელია.

კოლეგიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სათანადო დონეზე არ დგას სასამართლო მუშაობის წარმართვის ორგანიზაცია, პრაქტიკაში არ არის დანერგილი მოსამართლეთა საქმიანობის ინდივიდუალური დაგეგმვა, სამუშაო გეგმებს აკლია კონკრეტულობა. მათში გათვალისწინებული რიგი საკითხები განუხორციელებელია.

სერიოზული ნაკლოვანებები, შეცდომები და ხარვეზები სასამართლოს საქმიანობაში, გამოწვეულია იმითაც, რომ არ ხდება ცალკეული კატეგორიის საქმეთა განხილვის პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება.

არადაამკაყოფილებელი ამომრჩეველთა წინაშე მოსამართლეთა ანგარიშგება.

სასამართლომ ვერ უზრუნველყო რაიონის სხვა აღმინისტრაციულ ორგანოებთან მუშაობის კოორდინაცია, არ არსებობს ერთობლივ ღონისძიებათა გეგმები.

სასამართლოს ინიციატივით რაიონში არ მოწყობილა დამნაშავეობის აღკვეთის, კანონის ბატვისცემით მოქალაქეთა აღზრდის საკითხებისადმი მიძღვნილი არც ერთი თეორიული კონფერენცია, კვირეული, დეკადა. არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში არ ჩატარებულა იურიდიული ცოდნის პროპაგანდის დღე.

მცირეა დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღკვეთის მიზნით დადგენილ კერძო განჩინებათა რიცხვი.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მუშაკების საშუალოდ დატვირთვის მაჩვენებელი ქ. თბილისის და რესპუბლიკის სხვა რაიონების დატვირთვის მონაცემებზე უფრო დაბალია.

კოლეგიამ საკითხის განხილვასთან დაკავშირებით დაავალა სასამართლოს დისახხო მუშაობის კონკრეტული ღონისძიებები პარტიისა და მთავრობის მიერ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე მიღებული დადგენილებების შესაბამისად და მკაცრად ვაფორთხილა უმოკლეს ვადაში გარდაქმნას თავისი საქმიანობა იმგვარად, რომ ბოლომდე აღმოიფხვრას კომპლექსური შემოწმების შედეგად გამოვლინებული ნაკლოვანებანი და შეცდომები:

დადგენილება გადაეგზავნა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიონულ კომიტეტს.

**ზუგდიდის რაიონის სსხლსო სსსამართლოს ორგანიზაციული სამიანი-
ბის კომპლექსური შემოწმების შედეგების შესახებ**

კოლეგიამ აღნიშნა, რომ ზუგდიდის რაიონის სსხლსო სსსამართლომ 1974 წლის მეორე და 1975 წლის პირველ ნახევარში განახორციელა ღონისძიებანი ორგანიზაციული საქმიანობის ამოღების სოციალისტური კანონიერების განმტკიცების და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საქმეში.

ამასთან ერთად შემოწმებით გამოვლინებულა მნიშვნელოვანი ხარვეზები და დარღვევები სსსამართლოს მუშაობის ყველა ძირითად მაჩვენებელში.

სასამართლომ სრულყოფილად ვერ გარდაქმნა ორგანიზაციული მუშაობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შესაბამისად.

სერიოზული ნაკლოვანებებია სსსამართლოს მუშაობის დაგეგმვაში. კვარტალური გეგმები არ მოიცავენ სსსამართლოს საქმიანობის მნიშვნელოვან უბნებს, რაიონის სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ღონისძიებათა ჩატარების კოორდინაციას, ზრუნვას საქმეთა განხილვის ვადების დაცვისა, აგრეთვე განაჩენთა და გადაწყვეტილებათა სტაბილობისათვის. მშრომელთა განცხადებებზე და საჩივრებზე არ ხდება სწორი და დროული რეაგირება.

სათანადო დონეზე არ ტარდება საწარმოო და ოპერატიული თათბირები. საკითხების განხილვა დადებით ვაგლენას არ ახდენს სსსამართლოს საქმიანობის შედეგზე. ზოგჯერ რეაგირების გარეშე რჩება ზემდგომი ორგანოების დადგენილებები და სადირექტივო წერილები.

მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეთა დატვირთვა დიდი არ არის, მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები და ხარვეზებია სისხლის სსსამართლისა და სამოქალაქო საქმეთა განხილვაში.

აღკვეთილი არ არის სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების ფაქტები, ხშირია პროკურატურისათვის დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად საქმეთა დაუსაბუთებლად დაბრუნების შემთხვევები. კვლავ მაღალია სამოქალაქო საქმეთა განხილვის ვადების დარღვევის მაჩვენებლები.

საქმე კ. ჩუმანოვის სარჩელის გამო ნ. მენდუროვასთან ამ სსსამართლოში გაჭიანურდა

6. საბჭოთა სამართალი № 5.

1973 წლის დეკემბრიდან 1975 წლის ივნისამდე.

კოლეგია აღნიშნავს, რომ დასჯითი პრაქტიკის საერთო დამკვეთი მდგომარეობის მიუხედავად, ადგილი აქვს ისეთი განაჩენების დადგენის შემთხვევებს, როდესაც შეფარდებულ სსსჯელი არ შეესაბამება ჩანადგენის სიმძიმესა და მსჯავრდებულის პიროვნებას.

1974 წლის 2 სექტემბრის განაჩენით, ვ. დ. ცანავას საქართველოს სსრ 214 მუხლით და 17-165 მუხლის პირველი ნაწილით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით.

ვ. დ. ცანავამ, რომელიც საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას არ ეწეოდა ქ. მოსკოვში შეიძინა 15 ცალი ბეჭვის ქუდი, რაც ზუგდიდში ჩამოიტანა გაზრდილ ფასად გადაყიდვის მიზნით.

სასამართლომ ვ. დ. ცანავას მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენება იმით დაასაბუთა, რომ იგი ახალგაზრდაა და აღიარა თავისი ბრალი.

ფაქტიურად ვ. ცანავამ ბრალი არ აღიარა, იგი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას არ ეწეოდა და საქართველოს სსრ სსკ 26 მუხლის გამოყენება დაუსაბუთებლად უნდა ჩაითვალოს.

საკასაციო კოლეგიამ სსსჯელის ლმობიერების გამო გააუქმა სსსამართლოს 1975 წლის 6 მარტის განაჩენი შ. ა. ხუბუას მიმართ საქართველოს სსრ სსკ 137 მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის გამო.

სსსჯელის ლმობიერების გამო გაუქმდა სასამართლოს 1974 წლის 11 ივლისის განაჩენი ლ. ხოჭორაევას, ზ. დგებუაძის და ა. მესხის მიმართ უსინათლოთა საზოგადოების სასწავლო-საწარმოო წამოწყების სააქროდან 496 მანეთის ღირებულების სარეცხი ფხვნილის გატაცების გამო.

განაჩენთა გაუქმების შემთხვევებს ადგილი აქვს კანონის სხვა მოთხოვნათა დაუცველობის გამოც. 1974 წლის II ნახევარში გაუქმებულა გასაჩივრებულ და გაბრტესტებულ განა-

ჩენთა 21,4 პროცენტი (3 პირის მიმართ), 1975 წლის პირველ ნახევარში — 35,7 პროცენტი (5 პირის მიმართ).

დარღვევები და ხარვეზები მართლმსაჯულების განხორციელებაში იმის მიზეზია, რომ არ ხდება ცალკეული კატეგორიის საქმეთა განხილვის სასამართლოს პრაქტიკის გულმოდგინე განზოგადება.

ხარვეზებია სამოქალაქო საქმეთა განხილვაშიც. მეტად დაბალია სამსჯავრო სხდომის ოქმების ხარისხი, კანონის დარღვევითაა განხილული ბევრი საქმე იურიდიული მნიშვნელობის ქონე ფაქტის დადგენის შესახებ. წესრიგი არ არის დამყარებული სახელმწიფო ბაჟის გადახდევინებაში.

კოლეგია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანი დარღვევები და შეცდომებია აღსრულების, მათ შორის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების საქმეში. 1974 წელს ანაზღაურებულია ზარალის მხოლოდ 10,9 პროცენტი, ხოლო 1975 წლის პირველ ნახევარში 897 მანეთიდან ამოღება სრულიად არ მომხდარა.

სასამართლო აღმასრულებელმა 1974 წლის 4 იანვარს მიიღო აღმასრულებელი ფურცელი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 9,382 მანეთის გადახდევინებაზე, მოვალის ქონების მოუნახველობის შესახებ აქტი კი 10 თვის შემდეგ — 20 ნოემბერს შეადგინა. 1974 წლის 14 თებერვალს მიიღო სააღსრულებო დოკუმენტი მსჯავრდებულ გ. ქანთარას მიერ ზუგდიდის რაიკავშირის სასარგებლოდ 2.163 მანეთის გადახდევინებაზე. მან დაგვიანებით — 10 აპრილს შეადგინა აქტი მოვალის ქონების მოუნახველობის შესახებ და მხოლოდ ივლისში მოიქცია აღსრულებისათვის მოვალის ხელფასზე. იმავე თვეში მოვალემ დაზარალებული ორგანიზაციიდან სასამართლოს წარუდგინა ცნობა თითქოს მასზე დავალიანება არ ირიცხებოდა. ცნობის სისწორის შემოწმებლად მისი სამუშაო ადგილიდან სასამართლომ გამოითხოვა აღმასრულებელი ფურცელი და სააღსრულებო წარმოება დამთავრებულად ჩათვალა.

სასამართლოს შემოწმების პროცესში კი

დადგინდა, რომ გ. ქანთარაზე დაკისრებული თანხა ანაზღაურებული არ არის, რაიკავშირის ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება.

სასამართლოს აღმასრულებელმა 1974 წლის 8 მაისს წარმოებაში მიიღო აღმასრულებელი ფურცელი ზურაბიახის მიმართ, რასაც ერთგოდა მისი ქონების (საცხოვრებელი სახლი და სხვა) დაყვადების აქტი. აღმასრულებელმა მოვალის ქონებრივი მდგომარეობის გადამოწმების გარეშე 1974 წლის 17 ივნისს აღსრულება მოიქცია მოვალის ხელფასზე.

აღსრულების დარგში დაშვებული მნიშვნელოვანი დარღვევები იმითაცაა განპირობებული, რომ სახალხო მოსამართლეები არ აკონტროლებენ მათ საქმიანობას.

კოლეგია აგრეთვე აღნიშნავს, რომ სასამართლომ ვერ უზრუნველყო რაიონში იურიდიული ცოდნის პროპაგანდისა და დამნაშავეობის პროფილაქტიკის მოთხოვნათა ღონეზე წარმართვა.

სასამართლოს ინიციატივით რაიონში არ ჩატარებულა თემატური სადამოებო, დისპუტები, თეორიული კონფერენციები სამართლებრივ თემებზე; საკმარისი არ არის მოსამართლე ნ. აღშიბაიას მონაწილეობა კანონიერების პროპაგანდაში.

ხარვეზები და ნაკლოვანებებია მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების გადაწყვეტაში.

კოლეგია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს მუშაებშია ღრმა, პრაქტიკული დასკვნები უნდა გააქვთონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 9 სექტემბრის დადგენილებიდან, რომლითაც ვ. თუთბერიძის მიმართ უკანონო განაჩენის დადგენის გამო სკკპ რიგებიდანაა გარიცხული ქ. ზუგდიდის სახალხო მოსამართლე ვ. ქანთარა.

ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს დაევალა სასამართლოს მთელ კოლექტივთან ერთად გაანალიზოს სასამართლოს შემოწმების შედეგები და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს დარღვევების, ხარვეზებისა და ნაკლოვანებების მოკლე ვადაში აღმოფხვრა;

დასახულია ამოცანად სასამართლოს მუშაობის დაგეგმვის გაუმჯობესება, საწარმოო და

ოპერატიული თათბირების როლის ამოღება, ცალკეულ უბნებზე მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

სასამართლოს ყველა მუშაკს დაევალოს აამაღლოს საქმისწარმოების კულტურისა და საალსრულებო წარმოების ქმედითობის დონე; დაინერგოს შესრულების რეგულარული კონტროლი

აუცილებლად იქნა მიჩნეული დამნაშავეობასთან ბრძოლისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის ღონისძიებათა განხორციელებაში რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების კოორდინაციის გაუმჯობესება.

ქ. ზუგდიდში და ზუგდიდის რაიონში შექმნილი განსაკუთრებული ოპერატიული ვითარების გამო მიზანშეწონილად ჩაითვალია აწლის ნოემბრის მეორე ნახევარში ქ. ზუგდიდში ჩატარდეს ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა თათბირი.

ცნობა სასამართლოს კომპლექსური შემოწმების შედეგების შესახებ გადაეგზავნა საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომს.

დადგენილების შესრულებისადმი კონტროლი დაევალოს სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოს.



სოცსლესი

გაზეთი

კორნილოვი გამოღებულ ფანჯარასთან მივიდა. ქარი წყვავდა ფარდას. შორიდან ისმოდა სანაპიროზე მოთამაშე ბავშვების კისკისი და მსუბუქი ჯაჯუნი პატარა ბუქსირისა, რომელიც გაჭირვებით მიცურავდა დინვის საწინააღმდეგო მიმართულებით.

ჩამავალი შვის სხივები ლიცლიცებდა ნევის აჭავლებულ ზედაპირზე და სანაპიროს გრანიტზე ვარდისფრად ირეკლებოდა. ზამთრის სასახლის ფანჯრებში მეწამული ალი აბრიალდა და მყისვე ჩაქრა. მოოქროსფერო-იისფერი ცის ფონზე მკვეთრად იხაზებოდა ქალაქის სილუეტები: ნავსადგურის ამწეები, ისაკის ტაძარის ისრული გუმბათები. შეგრილებულ ტრომას სახურავებს, დასასრული რომ არ უჩანდათ, ბური დასტრიალებდა. ქუჩიდან ამოიჭრა საყვირის გაბმული, მკაფიო და სუფთა ხმა. „ავრორაზე“ ბუკს უკრავდნენ და თითქოსდა ბუკის ხმას დაემორჩილა, ნევის მოლოცვივე ზედაპირზე გაქრა ოქროსფერი ვარაყი და წყალი უცბად ჩამოქდა.

კორნილოვს უყვარდა „ავრორას“ ბუკის ხმის მოსმენა. თუმცა კრეისერი სულ ახლოს იდგა — იქვე, სახლის იქით, სადაც ბავშვობიდანვე ცხოვრობდა, — მაინც იშვიათად ახერხებდა მოესწრო ამ მშვენიერი წამისათვის, დღისა და ღამის გასაყარზე რომ დგებოდა და ბუკის ხმით აღინიშნებოდა. ამ დროს კორნილოვი ჩვეულებრივ სამუშაოზე იყო.

ახლა იგი ფანჯრიდან იცქირებოდა, წუთი-წუთზე ელოდა მანქანას. — ექვსი საათისათვის უფროსთან უნდა ყოფილიყო. გენერალი მთელი დღე ესწრებოდა პარტიის ქალაქკომის ბიუროს სხდომას, საღამოს კი მოსკოვს მიემგზავრებოდა. მდივანმა ქალმა გააფრთხილა კორნილოვი, „თავად“ დარეკა ბიუროდან და გთხოვათ ექვსისათვის მასთან მიხვიდეთ. იგორ ვასილის ძემ მოასწრო შინ შეერბინა, ცივი შხაპა მიედო და წაეხემსა.

„ავრორას“ მასობლად ზამთარ-ზაფხულ მოჩანდა მრავალი, ფრთიანი ემბლემის დამდიანი ავტობუსი, და მოვლუფულ ექსკურსანტების ჯგუფები. ახალგაზრდა კოსტა მუზღვარი ქალები, რომლებსაც ხელში ავტომატი ეჭირათ და მკლავზე მორიგის შემოსურავი ჰქონდათ, მკაფრი გამომეტყველებით იდგნენ ზოლებიან საყარაულო ჯინსურთან. მიუხედავად კრაკიტა და ხმაურიანი ექსკურსანტებისა, „ავრორაზე“ გრძელდებოდა დინჯი ფლოტური ცხოვრება: დილა-საღამოს მალა იწვოდა და ძირს ემგებოდა დროშა, ისმოდა ბუკის გაბმული ძახილი.

გაისმა მკვეთრი დამუხრუჭების ხმა და ნაგნობნომრიანი შინდისფერი „ვოლგა“ სახლის მოპირდაპირე მხარეს სკვერთან გაჩერდა. კორნილოვა ფანჯარა დახურა და ძირს ჩავიდა. სამმართველო მის სახლიდან სულ ათი წუთის სავალზე იყო და ჩვეულებრივად იგორ ვასილისძე ფეხით მიდიოდა.

გამოძახება მოულოდნელი იყო და მეოთხე სართულზე რომ აღიოდა, იგორ ვასილის ძე გარაუდობდა, თუ რა მოხდა, რისთვის უნდა დასჭირებოდა ის უფროსებს. დღის ოპერატიული ცნობა შეამშფოთებელი არ იყო: ორიოდე წვრილმანი ქურდობა, რამდენიმე სატრანსპორტო შემთხვევა... უკანასკნელ საათებშიც კი საგანგაშო არაფერი მომხდარა. თუმცა იყო ერთი ხინჯი: აი უკვე რამდენიმე თვეა მოსვენება ჰქონდათ დაკარგული სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკებს — გახშირდა ავტომანქანების ქურდობა, მაგრამ საცქვო იყო, რომ გენერალს ამის თაობაზე დაებარებინა. ათი დღით ადრე ხომ სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოს უფროსმა სელივანოვმა უკვე მოახსენა გენერალს, თუ როგორ მიმდინარეობდა გამოძიება.

გენერლის კაბინეტში ისხდნენ სელივანოვი და სახელმწიფო ავტოინსპექციის საქალაქო განყოფილების უფროსი სელიკოვი. „მგონი, ჩემი ვარაუდი არ გამართლდა“. — გაიფიქრა იგორ ვასილის ძემ, როცა სელიკოვი დაინახა „ალბათ სწორედ მანქანების გამო გაგვწყობლავენ“. არასოდეს არ ენახა მის გენერალი ასეთი გაჯავრებული. თვით ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაშიც კი ვლადიმერ სტეფანის ძე ხმას არ აუწევდა, უგერელობისათვის ან წარუმატებლობისათვის დღაძლიანად არავის გააკლავდა, თუმცა ენამისწრებულ კაცად ითვლებოდა. ასეთ ვითარებაში გენერალი თავის კუშტ სახეს მოპირდაპირეს არ უსწორებდა, თითქოსდა იმის ეშინოდა — დამნაშავეს მის თვალბეში თავისათვის რაიმე საწყყნი არ ამოეკითხა.

დღეს კი ვლადიმერ სტეფანის ძეს ვეღარ იცნობდით. თავის შეკავებას არც ცდილობდა.

— ეს რა გამოვიდა, გეტაყვით? წლის მანძილზე ავტომანქანების ქურდობის თოთხმეტი შემთხვევა გაუსხნელი... დღეს ქალაქკომის ბიუროსაც კი ითქვა ეს. თოთხმეტი მანქანა! ხუმრობა საქმე ხომ არ არის. ავტომანქანა ნემსია თუ რა?

— ამხანაგო გენერალო, ავტომანქანების ქურდობის რაოდენობა ხომ აღარ გაზრდილა, — ჩაუროთ

სელივანოვმა ისე, რომ თავი არ აუღია მაგიდაზე მიმწინ გაშლილი ქაღალდებსაგან.

— მარტოღენ ბოლო თვეებში ავტომობილების ქურდობის ოთხი შემთხვევაა გაუხსნელი... — ვლადიმერ სტეფანეს ძემ სავარძლის სასულურს სელისგული დააჭრა. — ჭალაქოში რამდენიმე საჩივარია ჩვენს გულგრილობაზე. ერთის ავტორი ინიჟინერია, მეორესი — კულტურის სახლის ადმინისტრატორი.

— ეგ ადმინისტრატორიც კარგი გაიძვერაა, მანქანა ხომ მაგას არც ეკუთვნის, — თქვა გაცხარებულმა სელივანოვმა — ვიდაც ქორ ვაჭრისაგან იყიდა საგულანტურ ფახად და მინდობილობით დააქროლებდა. ჯერ კიდევ დასადგენია საიდან ჰქონდა ამდენი ფული. ხელფასი ასორიზცა...

— აი სადამდე მივედით... ირონიულად ჩაიცინა გენერალმა. იმის მაგივრად, რომ დამანაშავე ექმბოთ, ვიწყებოთ იმის გამოძიებას, თუ რა სახსრებით არის შექმნილი მოპარული მანქანა.

კაბინეტში დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა. ნახევრადღია ფანჯრიდან ტრამვაის რასხრანი და ხალხის ხმაური შემოდირიდა.

დღისით გადახურებულ ასფალტს ახლა სიო უბერავდა. ხოლო აქ, სამმართველოს უფროსის კაბინეტს, მუქი ფერის გაპრიალებული ავეჯით: რომ იყო მოწყობილი, კიდევ უფრო ამძიმებდა ბოლქვებად გაშლილი თამბაქოს ბოლი.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, უკეთესია მოყვით, თუ რა ღონისძიებები განახორციელებთ უკანასკნელ დღეებში ქურდების დასაძებნად.

სელივანოვი ფეხზე წამოდგა და ანგარიშიუცემლად გაისწორა ღია ფერის პიჯაკი.

— იჯექით, მიხელო ივანეს ძეკ — უთხრა გენერალმა.

— სახელმწიფო ავტონისპექციის საკონტროლო პუნქტებმა გააძლიერეს თვალ-თვალი, — დაიწყო სელივანოვმა. — გაიხსნა დამატებითი პოსტები ქალაქიდან გასასვლელი მაგისტრალების გადამკვეთ ადგილებში. დამის პატრულირების გასაუმჯობესებლად გამოიყო დამატებითი განაწესი. საკომისიო მალაზიაზე კონტროლი დავაწყესეთ... ჯამოწმებთ ქალაქიდან გამავალ რეფრეჟერატორებს... შარშან მოსკოვში მოპარული მანქანები იმით შეჭქონდათ... აღრიცხვაზეა ყველა სახელოსნო, სადაც შეიძლება მანქანების გადაღებვა. შეექმენით თაქრატული ჯგუფი.

— ვინ ხელმძღვანელობს? პოლპოლკოვნიკი კორნილოვი, ამხანაგო გენერალო! გენერალმა კორნილოვს შეხედა.

— სწავლობთ თუ არა მანქანების გადასაბრებ შესაძლო მარშრუტებს?

— დიახ, ამხანაგო გენერალო! — უპასუხა ივორ ვასილის ძემ.

— თქვენი დასკვნები? კორნილოვმა ჩვეულებისამებრ ნიკაპზე მოისვა ხელი და ოდნავ ჩაახველა.

— რთულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, ამხანაგო

გენერალო. უნდა ვიფიქროთ, მთელი ჯგუფი მიქმედებს. ერთ პიროვნებას გაუჭირდებია მოპარვაცა და გაყიდვაც.

— შესაძლოა ისინი სხვადასხვა პირები არიან და ერთმანეთთან არც არიან დაკავშირებული. — გააწყვეტინა სიტყვა კორნილოვს გენერალმა. — საიდანაა გაჰქვთ ასეთი რწმენა, რომ ჯგუფის ნამოქმედარია.

— ჩვენ გავანალიზეთ... ყველა თოთხმეტი მანქანა, რომელთა კვალსაც ვერ მივაგენით, ერთსა და იმავე დროსაა გატაცებული: დამის ორ საათსა და დილის ხუთ საათს შუა. მარტო ორი მანქანაა მოპარული დროის სხვა მონაკვეთში. ვფიქრობ, ამაზე ცალკე უნდა ვისაუბროთ. — კორნილოვი წამით შეყოვნდა, აზრები მოიკრიფა და განაგრძო. — მაშასადამე, პირველი — მანქანების გატაცება თითქმის ერთსა და იმავე დროს ხდება. და შემთხვევითი არ არის, რომ ყველაზე გვიანი დროა არჩეული. თქვენ თვითონ განსაჯეთ: ტრანსპორტი თითქმის არ მოძრაობს. ტაქსები იშვიათად თუ გამოჩნდებიან, ავტობუსები და ტრამვაი კი ჯერ არ არიან გამოსული ხაზზე. თვით ის მანქანებიც კი, რომლებსაც მძღოლები ავტოფარეხამდე მიჰყავთ, ხუთი საათიდან იწყებენ მოძრაობას. მეუწოვევით ჯერ არ არიან გარეთ. მეორეც — თითქმის ყველა გატაცებულ მანქანას ეყენა რთული „საიდუმლო კლიტე“... და წარ-

მიოდგინეთ არცერთი გატაცებული მანქანის სიგნალს-ხმა არ გამოუცია. ყველა მოპარული ავტომანქანა „ვოლგაა“, მხოლოდ და მხოლოდ „ვოლგა“. და ყველა შესანიშნავად შენახული...

კორნილოვი რამდენიმე წამით კვლავ შეჩერდა და გენერალს შეხედა. ვლადიმერ სტეფანეს ძე ქაღალდის ფურცელზე რაღაცას იწერდა...

— და კიდევ ერთი რამ არის საგარაულო: გამტაცებელთა ჯგუფს თავის განკარგულებაში აქვს სახელმწიფო მანქანის ნომრიანი ნიშნები და ტექნიკური ტალონები... გუბოვთ, განკარგულება გასცეთ შეამოწმონ რაიკანყოფილებების სახელმწიფო ავტონისპექციები.

— ახლა კი უკვე აჭარბებ, ივორ ვასილის ძეკ, — თქვა უკმაყოფილოდ სელივანოვმა, — ერთი ნაბიჯიც და შეიძლება ადამიანები განაწყენოთ. რაშია საქმე? ნუთუ ჩვენ აღარავის უნდა ვენდოთ.

სახელმწიფო ავტონისპექციის ქალაქის განყოფილების უფროსი სულის სიდრემემდე იყო აღფფოთებული, თავს იქნევდა და გაოცებული, კიდევ რაღაც უცნაურის მოლოდინში შესცქეროდა კორნილოვს.

— რა მოხდა ისეთი, ამხანაგებო, რა ლამაზმანებივით იქცევით... გაიკვირვა კორნილოვმა თავის მხრივ და თვალი გადაავლო თათრის მონაწილებს.

— რა მოხდა ისეთი, ამხანაგებო, რა ლამაზმანებივით იქცევით... გაიკვირვა კორნილოვმა თავის მხრივ და თვალი გადაავლო თათრის მონაწილებს.

— რა მოხდა ისეთი, ამხანაგებო, რა ლამაზმანებივით იქცევით... გაიკვირვა კორნილოვმა თავის მხრივ და თვალი გადაავლო თათრის მონაწილებს.

— რა მოხდა ისეთი, ამხანაგებო, რა ლამაზმანებივით იქცევით... გაიკვირვა კორნილოვმა თავის მხრივ და თვალი გადაავლო თათრის მონაწილებს.

— რა მოხდა ისეთი, ამხანაგებო, რა ლამაზმანებივით იქცევით... გაიკვირვა კორნილოვმა თავის მხრივ და თვალი გადაავლო თათრის მონაწილებს.

— რა მოხდა ისეთი, ამხანაგებო, რა ლამაზმანებივით იქცევით... გაიკვირვა კორნილოვმა თავის მხრივ და თვალი გადაავლო თათრის მონაწილებს.

— რა მოხდა ისეთი, ამხანაგებო, რა ლამაზმანებივით იქცევით... გაიკვირვა კორნილოვმა თავის მხრივ და თვალი გადაავლო თათრის მონაწილებს.

— რა მოხდა ისეთი, ამხანაგებო, რა ლამაზმანებივით იქცევით... გაიკვირვა კორნილოვმა თავის მხრივ და თვალი გადაავლო თათრის მონაწილებს.

— რა მოხდა ისეთი, ამხანაგებო, რა ლამაზმანებივით იქცევით... გაიკვირვა კორნილოვმა თავის მხრივ და თვალი გადაავლო თათრის მონაწილებს.

— მე სახელმწიფო ავტონისპექციიდან არავისზე არ მეპარება ეჭვი, მაგრამ ხომ ფაქტია — მანქანები ქალაქიდან ნაკადად მიედინებიან..... თვითმფრინავით ხომ არ გადააქვთ ისინი. ჩვენ გადავკეტეთ ყველა არხი. თვითეული მანქანა გასვლისას მოწმდება... ვიმიტომ ხო, საიდან აქვთ ტექტალონი?

— პოდპოლკოვნიკი მართალია. — თქვა გენერალმა და ამოიხვნეშა. — შემოწმებაა საჭირო. დაე თვით სედიკოვმა მიხედოს ამას. რაიგანყოფილებაშიც და თავისთანაც, ქალაქის განყოფილებაშიც... — იგი დაფიქრდა და დაუმატა: გულდასმით შეამოწმეთ ხომ არაგინ მიმართა სახელმწიფო ავტონისპექციას თხოვნით გაეცათ დუბლიკატი დაკარგული ან მოპარული ტექპასპორტის ნაცვლად.

კორნოლოვმა თავი დააქნია.

— აბა კიდევ რა ღონისძიებანი შეიმუშავეთ?

იკითხა ვლადიმერ სტეფანეს ძემ, — ეს ხომ საკმარისია. ჯერჯერობით არავითარი შედეგები არა გვაქვს. სო, ხო, მართლა! გაქვთ თუ არა ხიდეების გახსნის გრაფიკი?

— იგი გამტაცებლებსაც აქვთ. — ნაღვლიანად უპასუხა კორნილოვმა.

— ხიდებთან ჩვენმა მორიგეობამ ჯერ არაფერი მოგვცა...

— აი, რა — თქვა გენერალმა, საათს დახედა და შეწუხებული შეიჭმუსნა. — მხოლოდ იმდენი დროა დამრჩა, რომ ძლივს მოვასწრებ სახლში შესვლას პორტფელის ასაღებად. გაძლევთ ორი დღის ვადას. სამინისტროდან რომ დაგბრუნდები, მომასხენებთ ამ ღონისძიებათა რეალიზაციის შესახებ. თუ შედეგი არ მოპყვა, დამატებით რაღაც უნდა მოვიფიქროთ. ახლა კი ნახვამდის!

ინფორმაცია

საპარტიო სსრ უმაღლესი სასამართლო პლენუმი

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი.

მოხსენებით — „მესამე პირთა სარჩელებზე აღწერის სიიდან ქონების ამორიცხვის „სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ — გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ალ. ლუღუნიშვილი.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გაფლანგვა-გატაცების წინააღმდეგ ბრძოლაში, — ამბობს მომხსენებელი, — დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებას. ზარალის დაფარვის უზრუნველყოფის მიზნით აღწერის სიიდან ქონების ამორიცხვის საქმეების სწორად განხილვა ზიანის რეალური ანაზღაურების გარანტიაა.

პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ სამოქალაქო სამართლის არც ერთი კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს არ ხდება პროცესუალური და მატერიალური სამართლის ნორმათა იმდენი დარღვევა, რამდენიც ამ საქმეთა განხილვისას.

მათი სწორად გადაწყვეტა ბევრად არის დამოკიდებული სასამართლო გარჩევისათვის საქმის მომზადებაზე (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 149-ე 150-ე მუხლები). საქმის მომზადებისათვის საჭიროა სათანადო მოპასუხის გამოწვევა, ქონების აღწერა ოქმის ასლისა და აქტის საქმეზე დართვა. თუ ქონება აღწერილია სასამართლო განაჩენის აღსრულებისათვის, საქმეს უნდა დაერთოს განაჩენის ასლი ან განაჩენიდან ამონაწერი. საჭიროა საქმეს დაერთოს სისხლის სამართლის საქმეში ამ ზოგიერთი სხვა დოკუმენტის ამონაწერი სისხლის სამართლის საქმიდან, რაც მიუთითებს აღწერილი ნივთების კუთვნილების ფაქტს.

სასამართლოები ყოველთვის არ იწვევენ სათანადო მოპასუხეებს პროცესზე. არ ახდენენ მითითებულ დოკუმენტების გამოთხოვას და სრულყოფილად არ ამზადებენ საქმეს სასამართლო განხილვისათვის.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ აღწერის სიიდან ქონების ამორიცხვის საქმეთა გარჩევის დროს სასამართლო ვალდებულია ყოველმხრივ და შედმიწვევით გამოარკვიოს საქმის გარემოებები და თუ დადგინდება, რომ დაუადადე-

ბული ქონება შეძენილია დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხებით. (თუნდაც ეს არ იყოს აღნიშნული განაჩენში), სასამართლოს შეუძლია უარყოს სარჩელი მთლიანად ან ნაწილობრივ.

სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი განაჩენის საწინააღმდეგო არ იქნება, ვინაიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის თანახმად „სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი სავალდებულოა სასამართლოსათვის, რომელიც განხილვის საქმეს იმ პირის მოქმედების სამოქალაქო სამართლებრივი შედეგების შესახებ, ვის მიმართაც გამოტანილია განაჩენი, მხოლოდ იმ საკითხებზე ჰქონდა თუ არა ადგილი ამ მოქმედებას და ჩაიდინა თუ არა იგი ამ პირმა“.

კოოპერატიული ბინა, — ამბობს ალ. ლუღუნიშვილი, — არ შეიძლება რელიოზებულ იქნეს როგორც კოოპერატივის საკუთრება. სხვა სახლების მიმართ მოქმედი წესებისგან განსხვავებით, აქ შეიძლება გადახდევინება მიეცეს სახლის მშენებლობისათვის გადახდილ პაის. ამ საქმეთა განხილვის დროს საქმეში მესამე პირად უნდა ჩაებას კოოპერატივი და მიეცეს წინადადება იმსჯელონ კოოპერატივის წევრობიდან მსჯავრდებულის გარიცხვაზე. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წესდების 27-ე მუხლის თანახმად აქ შესაძლოა საკითხი დადგეს კოოპერატივის წევრად მსჯავრდებულის ოჯახის სხვა წევრის მიღების უპირატესობაზე, იმ პირობით თუ ეს საპაიო თანხას დაფარავს.

საქმეთა შესწავლა გვიჩვენებს, რომ სარჩელთა უდიდესი უმრავლესობა აღძრულია მოვალის მეუღლის მიერ და სარჩელის საფუძვლად მოტანილია საოჯახო სამართლის დებულება, რომ აღწერილი ქონება მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი და რომ აღწერილი და დაუადადებული ქონების ნახევარი მოსარჩელს ეკუთვნის, როგორც მეუღლეთა თანასაკუთრების ქონება.

სასამართლოები უმეტეს შემთხვევაში იზიარებენ სარჩელის ამგვარ დასაბუთებას და სარჩელს აკმაყოფილებენ.



ამ საფუძვლით საქმეების გადაწყვეტის დროს დამატარებულ გარემოებად გვეკვლინება ის, რომ გაურკვეველია მეუღლეთა ერთად ცხოვრების პეროდში შექმნილი ქონებას ოდენობა. ამის დადგენა კი აუცილებელია, რათა განისაზღვროს თითოეული მეუღლის წილი საერთო ქონებიდან. საქმე ის არის, რომ არც საგამოძიებო ორგანო და შემდგომში არც სასამართლო აღმასრულებელი ქონებას მთლიანად აღიწეროს. საჭიროა ქონება მთლიანად აღიწეროს, ხოლო დაუდალება უნდა მოხდეს იმ ქონებისა, რომელზეც შეიძლება გადახდევინების მიქცევა.

აღწერის სიიდან ნივთების ამორიცხვის საქმეები, — განაგრძობს მომხსენებელი, — ერთადერთი კატეგორიის საქმეებია, რომლის დროულად განხილვაში მოხარჩლე დაინტერესებული არ არის. აქ დროის ფაქტორი მოხარჩლეს სასარგებლოდ მოქმედებს. ამიტომ სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საქმეთა დაწესებულ ვადაში განხილვას. ვადის საკითხთან დაკავშირებულია აღსრულების შეჩერების საკითხიც. ამ კატეგორიის საქმის აღძვრის შემთხვევაში სასამართლო მოვალეა შეაჩეროს ქონებაზე მიქცევის აღსრულება. იმისათვის, რომ ეს კატეგორიის საქმეები დროულად იქნეს განხილული და ამით თვით მოსარჩლე იქნეს დაინტერესებული. ამწ. აღ. ღულუნიშვილი ითხოვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე დაისვას საკითხი, რომ ამ მოტივით აღსრულების შეჩერება მინეული იქნეს არა როგორც სავალდებულო ფაქტორი სასამართლოსთვის, არამედ როგორც ისეთი ნორმა, რომლის შესრულება თვით სასამართლოზეა დამოკიდებული, ე. ი. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 378-ე მუხლის მე-4 პუნქტი გადატანილი იქნას ამავე კოდექსის 277-ე მუხლში მე-6 პუნქტად.

მომხსენების შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღეს:

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა გ. ბახტაძემ: ამ ბოლო დროს მომრავლდა მესამე პირთა სარჩელები აღწერის სიიდან ქონების ამორიცხვაზე. სასამართლო პრაქტიკისათვის აქტუალურ საკითხად იქცა ამ საქმეთა სწორად, კანონის შესაბამისად გადაწყვეტა. საქმე იმაშია, რომ როგორც სწავლულ იურისტთა, ისე პრაქტიკოს მუშაკთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა და დღემდე იწვევს ის, აქვს თუ არა უფლება სამოქალაქო საქმის განმხილველ სასამართლოს გამოიკვლიოს და დაადგინოს, აღწერილი ქონება არის თუ

არა შექმნილი დანაშაულებრივი გზით მასზე, როდესაც ამის შესახებ არაფერია თქმული მსჯავრდებულის მიმართ დადგენილ განაჩენში. ამ საკითხის გადაწყვეტას კი ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. მართალია, გამოძიების ორგანოებს და სახსლის სამართლის საქმის განმხილველ სასამართლოს ევალებათ დაადგინოს აღწერილი ქონება დანაშაულებრივი გზით არის შექმნილი თუ არა, მაგრამ ისინი ამას, არასოდეს არ აკეთებენ. თუ ეს არც სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ დადგინდება, მაშინ უნდა დაკმაყოფილდეს მესამე პირის, მსჯავრდებულის მეუღლის სარჩელი აღწერის სიიდან ქონების ნაწილის ამორიცხვის შესახებ, რადგან საოჯახო კანონმდებლობის თანახმად მეუღლეებს საერთო თანასაკუთრებაში თანაბარი წილი ეკუთვნით. ამავე დროს კი სწორად ეს ქონება მთლიანად მართლაც დანაშაულის გზით არის შექმნილი და ამიტომ დამნაშავის მეუღლის წილის ამორიცხვა სახელმწიფოს ინტერესებს არ შეეხება. მე ვფიქრობ, რომ გამოსავალი მხოლოდ იმაშია, რომ გამოძიების ორგანოებმა და ხსნლის სამართლის საქმის განხილველმა სასამართლომ დაიცვან კანონის მოთხოვნა და იმსჯელონ აღწერილი ქონების შექმნის კანონიერების საკითხზე. ეს ნორმალურ პირობებს შეუქმნის სამოქალაქო საქმის განმხილველ სასამართლოს და შესაძლებლობას მისცემს მას სწორედ გადაწყვიტოს სარჩელი ქონების ამორიცხვის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ამ. დვდარიძემ: ვაფლანგვატაცების წინააღმდეგ ბრძოლის დროს სასამართლოებმა არ უნდა უფულებელყონ მოქალაქეთა უფლებები მათ ქონებაზე. ჩემი აზრით, პუნუშის დადგენილების პროექტი შედგებულ მკაცრია. და ალბათ პროექტის საბოლოო ვარიანტში ზოგიერთი დებულების შერბილება დაგვიჭირდება. რა მაქვს მხედველობაში ძირითადად?

მე ხელთა მაქვს ქ. თბილისის ორგანიკიძის რაიონის სახ. სასამართლოს გადაწყვეტილება ო. სიმონიშვილის საქმეზე. იგი ინჟინერი ქალია, ორი შვილის დედაა და ითხოვს აღწერის სიიდან ქონების ამორიცხვას. მას ახსოვთუთურად არავითარი ქონება არ დაუტოვეს და სასამართლო ასე საბუთებს გადაწყვეტილებას: „საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩლის ქმარმა ჩაიდინა მძიმე დანაშაული, ამდენად მოსარჩლეს ნივთების ამორიცხვაზე უარი უნდა ეთქვას“. ეს გადაწყვეტილება, სამწუხაროდ ტიპურია. კანონმა დაუწესა მოქალაქეებს უაღრესად დიდი გარანტია, რომ



მოითხოვს მისი პირადი ქონების საკუთრების ცნობა. ჩვენ უფლება არა გვაქვს რაიმე სატუ-აციის გავლენით შევბღალოთ მოქალაქის უფ-ლებანი, განუხრეტლად უნდა დავიცვათ კანონი.

პროექტში მითითებულია, რომ „სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებაში მიღების დროს ზარალის ანაზღაურების უზრუნველ-ყოფის მიზნით განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, არის თუ არა გარკვეული, გამოძი-ების მიერ დანაშაულებრივი გზით მიღებული თანხით რა ქონებაა შექმნილი და ამის შემდეგ გადაწყდეს საქმის წარმოებაში მიღების შესა-ძლებლობის საკითხი“. როდესაც საკავშირო უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა აღიარა, რომ მოქალაქეს ყველა შემთხვევაში აქვს უფ-ლება მივიღოს სასამართლოში და მოითხოვოს აღწერის სიიდან ქონების ამორიცხვა, იმ შემ-თხვევაშიც თუ კი განაჩენში იქნება პირდაპირ მითითებული, რომ ქონება შექმნილია გაფ-ლანგული ქონებით, მაშინ ასეთი დიდი მოო-ხოვნილების წაყენება სისხლის სამართლის სა-ქმის გამჩრევი სასამართლოსადმი არ მგონია საქმის წინსვლაში დაგვეხმაროს. თუ ჩვენ ვი-ტყვით, რომ გაფლანგული თანხებით ქონებას შექენა მხოლოდ და მხოლოდ სისხლის სამარ-თლის საქმის განმსილველი სასამართლოს მო-ვალეობაა და სამოქალაქო წესით არ შეგვიძ-ლია მისი დადგენა, ეს სხვა საქმეა, მაგრამ თუ პროექტში ვამბობთ, რომ „აგრეთვე სამოქალა-ქო სამართლის საქმის გამჩრევი სასამართლოს უფლება აქვს გარკვეოს საკითხი — არის თუ არა ქონება შექმნილი გაფლანგული თანხებით და სარჩელში უარი უთხრასო“, ეს წინააღმ-დეგობას იწვევს.

პროექტის მეორე პუნქტში ლაპარაკია ქო-ნების აღწერისა და დაყადაღების სწორ ორგა-ნიზაციაზე. ჩვენი მიაზანი ის არ არის, რომ ლამაზად შედგენილი საქმეები მივიღოთ წარ-მოებაში. როდესაც კანონმდებელმა ჩამოაყა-ლიბა ის ქონება, რომელზეც არ უნდა მიექ-ცეს გადახდევინება ქონების აღწერის დროს, მას მხედველობაში ჰქონდა, რომ სასამარ-თლოები განეტვირთა ზედმეტი დავისაგან. ჩვენ უნდა მივსაღმებოდეთ ასეთ საკანონ-მდებლო აქტებს. რა გამოდის, თუ ჩვენ პლე-ნუმის ასეთ დადგენილებას მივიღებთ? მიღის აღმასრულებელი და აღწერს მთელ ქონებას. ეს ზედმეტ საზრუნვას უხდის სასამართლოს. პირიქით, არ უნდა აღიწეროს ის ქონება, რო-მელიც საქართველოს ხსრ სსსკ №1 დანართის ნუსხშია ჩამოთვლილი, რითაც ჩვენ ხშირად ავიწორებთ დავებს.

ქ. თბილისის ორგანიზაციის რაიონის სახ. სასამართლოს უფროსის აღმასრულებელმა

შ. მახარაძემ: საგამოძიებო ორგანოები სრულ-ყოფილად არ აყადაღებენ ქონებას. ეს კი სიძნელეებს ქმნის. აღსრულების დროს ჩვენ გვედავებინან: საგამოძიებო ორგანოს არ აღუ-წერია და თქვენ რატომ აღწერთო ასე მიაჩნი-ათ მოქალაქებს. საგამოძიებო ორგანოები ზოგჯერ პირადი საკუთრების სახლებსაც არ აღწერენ ხოლმე. 1973-74 წლებში პირადად ჩემი ინიციატივით ქ. თბილისის ორგანიზაციის რაიონში აღწერე 100000 მანეთის (ახალი კუ-რით) ქონება, რომელიც საგამოძიებო ორგა-ნოებს არ აღუწერიათ. საგულისხმოა ისიც, რომ I ინსტანციის სასამართლო განაჩენის დადგენის დროს არ აღნიშნავს, რა ბედი უნ-და ეწვიოს ჩამორთმეულ ქონებას ანდა აღწე-რილ საცხოვრებელ სახლს. ეს კი ჩვენ დიდ სიძნელეებს გვიქმნის. მესამე პირთა სარჩელე-ბზე ზოგჯერ წლებით მიმდინარეობს დავა. მაგალითად, დაბა წყნეთში მაცაბერძის ავა-რაკი 1973 წლიდან არის აღწერილი და სახ-ლის გაყიდვა-არგაყიდვის შესახებ დადგენილება ჯერ კიდევ არ გამოტანილია.

რამდენიმე წელიწადია ვაყენებთ საკითხს, რომ გამოძიება ჩატარდეს სრულყოფილად და გამოძიების პროცესში ითქვას — პირმა ვა-ფლანგა 10.000 მანეთი, სად წაიღო ეს თანხა. გამოძიებამ უნდა დადასტუროს და ითქვას, რომ კონფისკაცია ექნეს ამ ნივთს, ამ ქონებას, რადგან შექმნილია გაფლანგული თანხიდან. ჩემი აზრით, ამის რევიზიის უფლება სამოქა-ლაქო სასამართლოს არა აქვს, იმიტომ, რომ ეს საკითხი განაჩენით არის დადგენილი. ამას-თან დაკავშირებით მე მინდა წავიკითხო სა-ქართველოს ხსრ საქორწინო და საოჯახო კო-დექსის 25-ე მუხლი: „ერთ-ერთი მეუღლის ვალდებულებებია დასაფარავად გადახდევინება შეიძლება მხოლოდ მისი პირადი ქონებიდან და მისი წილიდან საერთო თანასაკუთრებაში“. ასეთი ვალდებულებისათვის (სამოქალაქო ვა-ლდებულებაზეა ლაპარაკი) მეუღლეები პას-უხს აგებენ ქონებით, რომელიც მათ საერთო თანასაკუთრებას შეადგენს იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს რომ რაც ვალდებ-ულებით იყო მიღებული გამოყენებულია მთე-ლი ოჯახის ინტერესებისათვის“. ამ მუხლის მესამე ნაწილი გადღის სხვა სფეროში: „ერთ-ერთის მეუღლის დანაშაულით მიყენე-ბული ზიანის ანაზღაურებისას გადახდევინება შეიძლება მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებე-დან იმ შემთხვევაში თუ სასამართლოს განაჩე-ნით სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი იქნება, რომ ეს ქონება შექმნილი იყო დანაშა-ულებრივი გზით მიღებული სახსრებით“. თუ განაჩენით დადგინდება, სწორედ ამ საკითხს



გადაწყვეტას ვთხოვ ჩვენ პლენუმს. მე მიმან-
ნია რომ ეს საკითხი ამ მუხლის მეხამე ნაწი-
ლის საფუძველზე ჩვენ განაჩენა უნდა დაგვი-
დგინოს.


საქართველოს სსრ პროკურატორის განყოფი-
ლებას გამგებ ბ. ცირაშვიმ: აღმინისტრაცი-
ული ორგანოების მოვალეობა მიიღონ ყვე-
ლა ზომა, რათა მაქსიმალურად იქნეს ანაზღა-
ურებული სახელმწიფოსათვის მიყენებული
ზარალი. რესპუბლიკის პროკურატურამ სპეცია-
ლურად განიხილა ეს საკითხი მიმდინარე
წლის 6 მაისს და დაიგზავნა სადირექტივო წე-
რილი გამოვლენებულ ნაკლოვანებათა აღმო-
ფხვრისათვის.

ძალიან დიდი კამათი გამოიწვია საკითხმა:
აღწერის ხიაში შეტანილ იქნეს მართო ის ქო-
ნება, რაზეც შეიძლება გადახდევინების მიქცე-
ვა თუ მთელი ქონება და აღინიშნოს რომელ
ქონებაზე აღსრულდეს გადახდევინების მიქცე-
ვა. ერთმა ორატორმა ისიც აღნიშნა, რომ ამის
თაობაზე კანონში არაფერი არ არის ნათქვა-
მიო. ასე არ არის. სსრ კავშირის იუსტიციის
სამინისტრომ, პირადად მინისტრმა, 1978 წლის
24 აპრილს დამტკიცა სასამართლო აღმას-
რულებლის მუშაობის ინსტრუქცია. ეს არის
პირველი ნორმატიული აქტი საკავშირო მას-
შტაბით. ამჟამად ეს ინსტრუქცია ითარგმნება
ქართულ ენაზე. დადგინების მე-2 პუნქტში
აუცილებლად უნდა იქნეს მითითებული ამ
ინსტრუქციის 67-ე, 76-ე პუნქტები. აქ ნათ-
ქვანია, რომ ყველა ქონება უნდა იქნეს აღწე-
რილი. მათ შორის ის ქონებაც რომლის დაყუ-
დადება არ შეიძლება. როდესაც გაურკვეველია
მსჯავრდებულის წილი ქონება, სასამართლო
აღმასრულებელი მიმართავს სასამართლოს წა-
რდგინებით ამ ქონებაში მოვალის წილის გან-
საზღვრის გამო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური
კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების
განყოფილების გამგის მოადგილე ბ. ტყეშელ-
აშვილმა: ჩვენი სასამართლოებისათვის ეს საკით-
ხი მეტად აქტუალურ საკითხად იქცა. მფლან-
გველების, გამტაცებლების გამოვლენისა და
მათი დასჯის კვალიდაკვალ მატულობს იმ ადა-
მიანთა რიცხვი, რომლებიც პრეტენზიას აცხა-
რებენ ქონებაზე ან ქონების გარკვეულ ნაწილ-
ზე. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ორგანო-
ების სწორი ორიენტაცია, რა თქმა უნდა, ბევ-
რად შეუწყობს ხელს კანონიერების განუხრე-
ლად და ზუსტად დაცვას. კომბინატორების,
მფლანგველების წინააღმდეგ ბრძოლა არაკით-
არ შემთხვევაში არ ნიშნავს მოქალაქის კანონ-
იერების რაიმე შეზღუდვას. თუ მოქალაქეს
ნამდვილად ეკუთვნის ესა თუ ის ნივთი თუ

გარკვეული ქონება, ჩვენი კანონი მის ინტე-
რესებს აბსოლუტურად იცავს. ქონების გამ-
ტაცებელთან ბრძოლა წარმოებს და იწარმოე-
ნებს საბჭოთა კანონმდებლობის ზუსტი და გა-
ნუხრელი დაცვის ვითარებაში. დღევანდელი
პლენუმის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია იმი-
სა, თუ როგორ ზრუნავენ ჩვენი რესპუბლიკის
მართლმსაჯულების ორგანოები კანონის მო-
ხვების განუხრელად დაცვისათვის.

საკითხი ეხება დანაშაულებრივი გზით შე-
ძენილი ქონების ბედს. ვინ გადაწყვეტოს ქო-
ნების საკითხი, რომელმა სასამართლომ? უფ-
რო სწორად სასამართლომ სისხლის სამართ-
ლის საქმის განხილვისას თუ სამოქალაქო საქ-
მის განხილვისას? ჭერ დავუკვირდეთ სიტყვას
„დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონება“.
ვინ შეიძლება იყოს კომპეტენტური, უფლება-
მოსილი იმ საკითხის გამოსარკვევად და დასა-
დგენად, არის თუ არა ქონება დანაშაულებრი-
ვი უნდა უფრო მეტად დავაჭვიროდნათ
ეს საკითხი. შეიძლება თუ არა ქონების
დანაშაულებრივი გზით მოპოვების საკითხი
გადაწყვეტოს სამოქალაქო სამართლის სა-
პროცესო კოდექსის საშუალებით? თუ ეს
სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გა-
თვალისწინებული ღონისძიებების გამოყენებთ
უნდა გადაწყდეს რასაკვირველია, აქ პასუხი
შეიძლება ერთი იყოს: მხოლოდ სისხლის სამა-
რთლის საპროცესო კოდექსით. თქვენ ვერ
დამისახელებთ რაიმე მუხლის სამოქალაქო სა-
მართლის საპროცესო კოდექსისას, რომელიც
მიდევნილი იქნებოდა საკითხისადმი, თუ რა
გზით, რა ხერხებით, რა ღონისძიებებით უნდა
დავადგინოთ ის საკითხი, ქონება დანაშაულე-
ბრივი გზით არის მოპოვებული თუ არადა-
ნაშაულებრივი გზით. როდესაც წინასწარი გა-
მოძიება და შემდეგ სასამართლო ძიებს და
იხილავს სისხლის სამართლის საქმეს, ამ შემ-
თხვევაში სოციალისტური ქონების გატაცე-
ბის საქმეს, აქ, ბუნებრივია, შეიძლება ვილაპა-
რაკოთ იმის შესახებ, არის თუ არა ეს ქონება
დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ე. ი.
დიდი ოდენობითაა, წვრილმანი ოდენობითაა
და სხვადასხვა. ამ საკითხზე მსჯელობს გამო-
ძიება, შემდეგ სასამართლო. იმისდა მიხედვით
თუ სოციალისტური ქონება რა ნაწილით, რა
მოცულობით არის მიტაცებული ამისდა მიხე-
დვით ხდება ქმედობის კვალიფიკაცია 96, თუ
სხვა მუხლებით და ა. შ. ეს საკვებით ნათელი
დებულდება. რამდენად არის სავალდებულო
სამოქალაქო სასამართლოსათვის სისხლის სამა-
რთლის განაჩენი. აქ ორი მომენტია წინ წამო-
წეული: ჰქონდა თუ არა აღვლით ამ მოქმედე-
ბის და ვინ ჩაიდინა ეს დანაშაული. მის რევი-



ზიას სამოქალაქო სამართლის სასამართლო ვე-
ლარ დაიწყო.

საქართველოს სსრ პროკურორის მოვალე-
ობის შემსრულებელმა ლ. თალბაძემ: პლენ-
უმის დღის წესრიგში დგას საკითხი არა და-
ნაშაულებრივი ქონების კონფისკაციის შესა-
ნებ, არამედ აღწერის სიიდან ქონების ამორა-
ცხვის შესახებ. აბსოლუტურად ვეთანხმები ამ-
ხანაგებს იმის შესახებ, რომ საგამოძიებო პრა-
ქტიკაში ძალიან დიდი ზარვეზებაა ამ მიმართუ-
ლებით. ჩვენ არ ვარკვევთ რომელია დანაშაულებ-
რივი გზით შეძენილი ქონება. პლენუმის ამ
დღეგინებების შემდეგ ჩვენ დავუშვებთ ხალი-
რექტივო წერილს, არ დავამტკიცებთ საბრალ-
დებო დავკენებს თუ ეს საკითხი არ იქნება ვა-
რკვეული. ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არ-
სებობდეს.

გამოძიების პროცესში ჩვენ აღწერთ
მთლიან ქონებას და ვამბობთ, მართალია, აქ
არ არის იმდენი ზარალი, რა ქონებაც აღვწე-
რეთ, მაგრამ ეს კონფისკაციის უზრუნველყო-
ფისათვის კეთდება. ჩვენ რომ ყველაფერი ჩა-
ვწეროთ საბრალდებო დავკენაში, რომ ეს ქო-
ნება ნაჩუქარია, ეს კი შემკვიდრებოთა და
სხვა, მაშინ რისთვის გვჭირდება აღწერის სა-
იდან ქონების ამორაცივის ინსტიტუტი.

პლენუმმა განიხილა „სასამართლო პრაქტი-
კა სატრანსპორტო საშუალებების მმართვე პი-
რების მიერ მოძრაობის უსაფრთხოებისა და
ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარ-
ღვევის საქმეზე“. ამ საკითხზე მოხსენებით
გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასა-
მართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე
თ. შავგულიძე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის
სასამართლო ორგანოები ძირითადად კანონის
შესაბამისად განიხილვენ და წუვეტენ ამ კატე-
გორიის საქმეებს, სათანადო ღონისძიებებს
ახორციელებენ ავტოსატრანსპორტო დანაშა-
ულის აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის.
ამავე დროს, სასამართლოების მუშაობაში ჭერ
კიდევ შეინიშნება ცალკეული ნაკლოვანებები
და შეცდომები.

ზოგიერთი სასამართლო მოძრაობის უსაფ-
რთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის
წესების დარღვევას, რასაც მოხდევს განსაზ-
ღვრული საზოგადოებრივად საშიში შედეგი,
არასწორ იურიდიულ შეფასებას აძლევს. სა-
ხელდობრ, იმის მაგვრად, რომ ქმედობა და-
კვალიფიციროს სსკ 241-ე მუხლის შესაბამისი
ნაწილით, აკვალიფიცირებს პიროვნების სიცო-
ცხლის და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმარ-
თულ უსაფრთხოებელ დანაშაულად, საქმის
განხილებისას არ არკვევს მოძრაობის უსაფრ-

თხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის
რომელი კონკრეტული წესი დარღვეა დამა-
შავემ, არის თუ არა მიწვეობრივი კავშირი ამ
წესების დარღვევისა და დამდგარ მანე შე-
დეგს შორის, არ მიუთითებს რა გარემოებთ
იხელმძღვანელა ამა თუ იმ კონკრეტული მა-
ტერიალური ზარალის მნიშვნელოვნად ცნობის
დროს. ამასთან ფაქტიურად მიყენებულ ზარა-
ლთან ერთად მხედველობაში იდებს ანაცდენ
სარგებელსაც, რასაც დაზარალებულს უნდა
მიეღო ქონება, რომ არ დაეზიანებინათ.

ამხ. თ. შავგულიძე ამბობს, რომ ცალკეუ-
ლი სასამართლოები სწორად არ აკვალიფიცირ-
ებენ ავტოავარიის შემდეგ დაზარალებულს
მიტოვებას, ავტოსატრანსპორტო დანაშაულად
არ თვლიან მოძრაობის უსაფრთხოებისა და
ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარ-
ღვევის მიხედვით და ხანგ-სათიში მოძრაო-
ბისას, ზოგჯერ ავტოსატრანსპორტო დანაშა-
ულად თვლიან მოძრაობის უსაფრთხოებისა და
ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარ-
ღვევას, როდესაც მხოლოდ ამ წესების დამ-
რღვევა დაზიანებული. სათანადო სიღრმით
არ იკვლევენ საქართველოს სსრ სსკ 241-ე
მუხლის მე-2, მე-3 დამე-4 ნაწილით გათვლი-
სწინებული დანაშაულის სუბიექტურ მხარეს.
მოსამართლეთა უმრავლესობა ავტოსატრან-
სპორტო დანაშაულის სუბიექტურ მხარეს ძი-
რითადად იმით ახსიათებს, რომ „მძღლომა
არ გამოიჩინა სათანადო წინაგედულება“,
„ვერ შეარჩია სათანადო სიჩარე“, „ვერ უზ-
რუნველყო მანქანის უსაფრთხო მართვა“ და
ა. შ. ეს კი ფაქტიურად ქმედობის სუბიექტუ-
რი მხარის უგულებელყოფას ნიშნავს.

მომხსენებელი დაპარაკობს ამ დანაშაულის
ჩაღენის დროს დაზარალებულის განსაცდელში
მიტოვების კვალიფიკაციის, საქართველოს სსრ
სსკ 241 მუხლით პასუხისმგებლობის, სატრან-
სპორტო საშუალების გატაცების, დასჯით პრა-
ქტიკის საკითხებზე.

მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორ-
ტის ექსპლუატაციის წესების დარღვევის საქ-
მეთა განხილებისას, — ამბობს თ. შავგულიძე,
— უმრავლეს შემთხვევაში არ ტარდება არა-
ვითარი პროფილაქტიკური ღონისძიებანი. არა-
სათანადოდ იყენებენ პრესას, რადიოს, ტელე-
ვიზიას, იშვიათად აწყობენ გამსვლელ სესიებს.
არასახარბიელოა სასამართლო პროცესებ-
ზე საზოგადოების მონაწილეობა. საგა-
მოძიებო და სასამართლო ორგანოების
მიერ ავტოსატრანსპორტო დანაშაულის პრო-
ფილაქტიკურ ღონისძიებთა გატარების გაუმ-
ჯობებსება მათი გაღულებელი ამიცანა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს:



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და საპროდუქციის ინსტიტუტის უმცროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ჯ. ბაბილაშვილმა: აქ სავსებით სწორად აღინიშნა იმ შეუსაბამობაზე, რომელიც არსებობს საქართველოს სსრ სსკ მე-40 მუხლისა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 6 ოქტომბრის დადგენილებას შორის. საკითხი უნდა გადაწყდეს ჩვენი მოქმედი კანონმდებლობით, ამით ჩვენ შევასრულებთ კანონის მოთხოვნას. გარდა ამისა, საკითხის ასე გადაწყვეტა სწორი იქნება. აი რატომ: უპირველესად, ეს წინა პლანზე წამოსწევს იმ გარემოებას, რომ დამნაშავემ ჩაიდინა რამდენიმე დანაშაული და სასჯელის დანიშვნის დროს მოსამართლეს აიძულებს რომ იმსჯელოს ამ პირის მოქმედებაზე, როგორც გავრდილ საზოგადოებრივ საშიშროებაზე. ამის გარდა, საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იწვევს მაშინ, როდესაც შედეგთა სიმრავლეში ურევია მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი. სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, როდესაც რამდენიმე მძიმე შედეგი გამოწვეულია და მათ შორის არის მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი, სასამართლო საერთოდ არ ინტერესდება ამ მატერიალური ზარალის ბედ-იღბალით, როგორც სსკ 241-ე მუხლით გათვალისწინებულ ერთ-ერთ დანაშაულებრივ შედეგზე, და სასჯელის ინდივიდუალიზაციის ვის მიერ ამ მავნე შედეგის გამოწვევა.

დროს არ არის გათვალისწინებული დამნაშაარ იყო საჭირო თავის დროზე ე. წ. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის შექმნა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სსკ 241-ე მუხლის 1 ნაწილში. ჯერ ერთი, ის ერთობ აფართოვებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, მეორეც ძალიან ართულებს მის გამოყენებას პრაქტიკაში. სასამართლო პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში ასეთი საქმეები მეტად იშვიათად გვხვდება, ხოლო რაც განხილულია 99 პროცენტი შეცდომით არის გადაწყვეტილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა. **მ. ჯიბლაძემ:** მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევა იმ პირის მიერ, რომელიც მართავს ტრანსპორტს, თუ ამ დარღვევას მოჰყვა ერთდროულად საქართველოს სსრ სსკ 241-ე მუხლის სხვადასხვა ნაწილებით გათვალისწინებული მავნე შედეგები, არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც ერთი დანაშაული „ავტოსტრანსპორტო დანაშაულთა საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 6 ოქტომბრის №11 დადგენილების მე-8 პუნქტის 1 ნაწილში განვითარებული დებულება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მცდარია. პროექტში მართებულად არის მითითებული, რომ დამრღვევა ასეთ შემთხვევაში პასუხი უნდა აგოს დანაშაულთა ერთობლიობისათვის. სასამართლო პრაქტიკაში ჯერ კიდევ არის ისეთი შემთხვევები, როცა მძღოლის მიერ საქის გადაცემა იმ პირისათვის, რომელიც მთვრალია ან რომელსაც არა აქვს ტრანსპორტის მართვის უფლება, უკეთეს ეს მოქმედება იწვევს საქართველოს სსრ სსკ 241-ე მუხლში აღნიშნული შედეგების დადგომას კვალიფიცირება საქართველოს სსრ სსკ 241-ე მუხლით, მაშინ როდესაც ასეთი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სსკ 241-ე მუხლით. მსგავსი შეცდომების აღმოფხვრის მიზნით საჭიროა სასამართლოებისათვის სათანადო მითითების მიცემა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა. **ი. შოროდანიამ:** ავტოავარიის შედეგად სახის წარუხოციელი დამახინჯება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. პრაქტიკოსთა ერთი ნაწილი ამბობს: რამდენადაც სახის წარუხოციელ დამახინჯებას ითვალისწინებს საქართველოს სსრ სსკ 110-ე მუხლის პირველი ნაწილი და უკავშირდება განზრახ დანაშაულს, ამდენად დასჯადია სახის წარუხოციელი დამახინჯება მხოლოდ სხეულის დაზიანების დროს. აქედან გამომდინარე, რადგანაც ავტოავარია გაუფრთხილებელი დანაშაულია და მასში პირდაპირ არ არის მითითებული სახის წარუხოციელ დამახინჯებაზე, ისინი ფიქრობენ, რომ სახის წარუხოციელი დამახინჯების დროს არ არის საქართველოს სსრ სსკ 241-ე მუხლის მესამე ნაწილის შემაღგენლობა. ჩემი აზრით, კანონმდებლობის მიერ სახის წარუხოციელი დამახინჯების ჩამოთვლა, მათი მითითება საქართველოს სსრ სსკ 110-ე მუხლში, ეს უზრაველად საკანონმდებლო ტექნიკისა და კონსტრუქციის მოსაზრებით არის გამოწვეული. მან ერთხელ განსაუღვრა, თუ რა არის სახის წარუხოციელი დამახინჯება, სხვა შემაღგენლობებში მის განმარტებას ჩვენ არ ვხვდებით. სახის წარუხოციელ დამახინჯების ცნებას კანონმდებელი არ უკავშირებს ბრალის ნორმას, არამედ მიუთითებს იმ ობიექტურ ნიშნებზე, რომლითაც იგი ჩამოყალიბებულია. აქედან გამომდინარე, თუ ავტოავარიის შედეგად კაცი დამახინჯდა და მიიღო სახის წარუხოციელი დამახინჯება, მაშინ ეს ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 241-ე მუხლის მესამე ნაწილით. კარგი იქნება, თუ პლენუმი იმსჯელებს ამ სა-

კითხვებზე და ჩვენ ამ საკითხს პლენუმის დადგენილებაში შევიტანო.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ი. მ. სუმბატაშვილმა: ზოგაერთი სასამართლო ამ კატეგორიის საქმეების განხილვისას მხედველობაში არ იღებს იმ გარემოებას, რომ ავარიის მიზეზი ზოგჯერ დაზარალებულია, ხოლო მძღოლისთვის გაუფრთხილებლობით ან ზოგჯერ თვითმედლოვნებით არ შეეძლო თავიდან აეცილებინა დაზარალება ე. ი. გადაჭრისა და მძღოლის დაზარალებულის სიცოცხლე ან ჯანმთელობა.

ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში ფხვნილი მოხიარულის ბრალი განსაზღვრავს მძღოლის ბრალის ხარისხს. რაც უფრო მეტია ერთი ბრალის ხარისხი, მით ნაკლებია მეორე ბრალის ხარისხი. ზემოთქმულიდან გამომდინარე დადგენილებას პროკეტის მე-2 პუნქტის მე-2 აბზაცი არასწორია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე გ. ტყეშელიძემ: კიდევ უნდა ჩავუფიქრდეთ იმას, თუ რამდენად აუცილებელია ხელი ავიღოთ საფრთხის შემქმნელი დელიქტის შემადგენლობაზე. დღეს ბევრი იწერება საფრთხის შემქმნელ დელიქტზე. ის კი არა, საერთაშორისო კონგრესებზე ცალკე საკითხად განიხილეს ეს საკითხი. კერძოდ, ატომური მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით. ასეთ პირობებში ამ დელიქტზე უარის თქმა ხომ არ იქნებოდა

ერთგვარი სარისკო ნაბიჯი? გავიგებდა თუ არა ამას საზოგადოებრივი აზრი, მომზადებულია თუ არა საზოგადოება ამისათვის? თუ სასამართლოს უძნელდება იმის დადგენა იყო თუ არა კონკრეტული საფრთხე, მით უმეტეს ამის დადგენა გაუძნელდება ავტონისპექტორს.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პიროვნებას. ამიტომ დადგენილებაში უნდა მიეთითოს ამ საკითხზე.

მესამე საკითხზე მოხსენებით „სხეულის დაზიანების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1967 წლის 17 ნოემბრის №7 დადგენილების მე-11 პუნქტის გაუქმების თაობაზე“ გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ი. მ. შორაღანიძე.

პლენუმის მუშაობის შედეგები შეჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ აბ. კარანაძემ.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიაღწია შესაბამისი დადგენილებები.

პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის პროკურორის მოადგილის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და საქართველოს სსრ პროკურორის პროტესტები სამოქალაქო და სისხლის სამართლის კონკრეტულ საქმეთა გამო.

ლ. ისაბაძე

დაინაწილებს წინააღმდეგ ბრძოლას — შეხვედრა სსრ-ს

გამართა საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელმაც განიხილა საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოების მუშაობის შედეგები 1975 წლის პირველ ნახევარში და სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების ამოცანები.

მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილე ლ. თალაკვაძე. კამათში მონაწილეობა მიიღეს — საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა უ. კობიაშვილმა, ქ. ზუგდიდის პროკურორმა დ. კუხალიაშვილმა, სიღნაღის რაიონის პროკურორმა ა. ვაიტაძემ, აფხაზეთის ასსრ პროკურორმა მ. არღუშმა, საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზე-

დამხედველობის განყოფილების პროკურორმა ა. ლომიძემ, ქ. ქუთაისის პროკურორმა ა. ბარაბაძემ, საქართველოს სსრ პროკურატურის საკონტროლო-საინსპექტორო განყოფილების გამგემ ი. ხიონიძმა, საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების უფროსმა ვ. ბუნტურმა. რესპუბლიკის პროკურატურის წინაშე მდგომ ამოცანებზე ვრცლად ილაპარაკა საქართველოს სსრ პროკურორმა ა. ტაკაძემ.

კოლეგიის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილე ნ. გუსევი.

კოლეგიის სხდომაზე აღინიშნა, რომ 1975 წლის პირველ ნახევარში საქართველოს სსრ პროკურატურამ განახორციელა ღონისძიებები დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და კანონიერების დარღვევის წინააღ-

დგ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სახელმწიფო და საზოგადო ქონების გაფლანგვა-გატაცების, მექრთამეობის, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის დარღვევებისათვის ბრძოლის გაძლიერებას. მიღებულია ზომები სამინისტროების, უწყებების, მათდამი დაქვემდებარებულ წარმოება-დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მიერ კანონების შესრულებაზე საპროკურორო ზედამხედველობის დონის ამაღლებისათვის.

გაძლიერდა სამართლის პრობაგანდა და ამაღლდა მისი ხარისხი. დიდი ყურადღება ეთმობოდა გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკურ მუშაობას, დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლინებასა და აღმოფხვრას. დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის აქტიუზაციის შედეგად მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში განმტკიცდა საზოგადოებრივი წესრიგი, რესპუბლიკაში დაისახა სისხლის სამართლის ხაზით რეგისტრირებული დანაშაულის შემცირების ტენდენცია.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ პროკურატურის, მისი ადგილობრივი ორგანოების საქმიანობაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და სოციალისტური კანონიერების დარღვევის საქმეში არის არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები, რომლებმაც ხელი შეუშალა დამნაშავეობის მნიშვნელოვან შემცირებას.

თუმცა სოციალისტური ქონების გაფლანგვა-გატაცებას გავრცელებული ხასიათი აქვს, ყველგან არ მიმდინარეობს შემტევი ბრძოლა ამ დანაშაულობის წინააღმდეგ, სათანადოდ არ მიმდინარეობს ბრძოლა მიწერების, უყაირათობისა და სახელმწიფო დისციპლინის სხვა დარღვევების წინააღმდეგ. რესპუბლიკაში ბევრი საშიში დანაშაული გამოუმტკიცებელია, მათ შორის, განზრახი მკვლელობა, გაუხატულება, ყაჩაღური თავდასხმა, ძარცვა სახელმწიფო და საზოგადო ქონების ქურდობა, მოქალაქეთა ქონების ქურდობა და სხვ. არადამაკმაყოფილებელია წინაწლების დანაშაულების გახსნის მდგომარეობა. გაუხსნელი დანაშაულების შეჩერებულ ბევრ საქმეზე დამნაშავეთა დასაღვენად არავითარი მუშაობა არ ტარდება, ხოლო ამ საქმეებზე საპროკურორო ზედამხედველობა არ ხორციელდება.

სერიოზული ნაკლოვანებებია დანაშაულის გავრცელების მიზეზების — ლოთობის, მუქთაზნობის, საოჯახო და მეზობლური დავების, ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის შენახვისა და ტარების წინააღმდეგ ბრძოლაში. სათანადო ღონეზე არ დგას დანაშაულის პროფილაქტიკა, ყველგან არ ხორციელდება რადიკალური ღონისძიებები გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ასეთი მდგომარეობა მოითხოვდა რესპუბლიკის აღმინისტრაციული ორგანოებისაგან, კერძოდ პროკურატურისაგან უკომპრომისო ბრძოლა გამოეცხადებინა როგორც წარსულის შეცდომებისათვის, ისე მათი აღმოფხვრისათვის.

საპროკურორო ზედამხედველობა წინასწარ გამოძიებასა და მოკვლევაზე ზოგჯერ ეფექტურად არ ხორციელდება, ყოველთვის არ ეძლევა სათანადო შეფასება კანონიერების დარღვევის ფაქტებს. ამით უნდა აიხსნას გამოძიების ვადების დაცვის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, განსაკუთრებით პროკურატურის გამოძიებლების მიერ გამოძიებულ საქმეებზე. გამოძიების ვადები დაირღვა: პროკურატურის ორგანოების მიერ საქმეთა 15 პროცენტზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების მიერ საქმეთა 8,9 პროცენტზე, მოკვლევის ორგანოების მიერ საქმეთა 3,4 პროცენტზე. ვადის დარღვევით განსაკუთრებით ბევრი საქმეა გამოძიებული მესტიის, გორის, გარდაბნის რაიონების, ქ. გორის, თბილისის პროკურატურის გამოძიებულების, მახარაძის, წალკის, ახალციხის, ბორჯომის რაიონების შინაგან საქმეთა გამოძიებულების მიერ.

გაუმჯობესებას მოითხოვს გამოძიების ხარისხი. დამატებით გამოძიებაში დაუბრუნდათ პროკურატურის ორგანოებს საქმეთა 4,1 პროცენტი, შინაგან საქმეთა ორგანოებს საქმეთა 3,2 პროცენტი. მოკვლევის ორგანოებს საქმეთა 4 პროცენტი. გამოძიების ხარისხის მხრივ ცუდი მდგომარეობაა აფხაზეთის ასსს, აჭარის ასსრ, გარდაბნის, გორის, სიღნაღის რაიონებში, ქ. გორში და ა. შ. ახალციხის, მახარაძის, თეთრი წყაროს რაიონების, ქ. ფოთის შინაგან საქმეთა ორგანოებში.

ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევა, გამოძიებულები და პროკურორები უსაფუძვლოდ რომ აღძრავს სისხლის სამართლის საქმეებს. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ დანაშაულის შემადგენლობის და დანაშაულის შემთხვევის არასებობის გამო შეწყდა პროკურატურის ორგანოებში საქმეთა 6,7 პროცენტი, შინაგან საქმეთა ორგანოებში საქმეთა 7,5 პროცენტი. ასეთი ფაქტები დაუშვეს ხაშურის, ლანჩხუთის რაიონების, ქ. გორის პროკურატურებმა, გარდაბნის, საჩხერეს, ცხაკაიას და სხვა რაიონების შინაგან საქმეთა მუშაკებმა.

არ არის აღმოფხვრილი მოქალაქეთა უკანონო დაკავების, დაპატიმრებისა და სამართალში მიცემის ფაქტები.

რესპუბლიკის პროკურატურამ 1975 წლის პირველ ნახევარში შეისწავლა მოქალაქეთა დაკავების, დაპატიმრებისა და სისხლის სამართლის

პასუხისმგებლობაში მიცემის კანონიერება, განაზოგა- და სისხლის სამართლის საქმეთა უხარისხო გა- მოძიების, გამოძიების ვადების დარღვევის მი- ზეწეები როგორც პროკურატურის, ისე შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში, მკაცრი რე- ავირება მოახდინა კანონიერების დარღვევის ფაქტებზე.

კანონიერების უხეში დარღვევისათვის პროკუ- რატურის ბევრ მუშაქს დაედო დისციპლინარუ- ლი სასჯელი, უფრო მეტიც, განთავისუფლებული არიან ქ. თბილისის ორჯონიძის რაიონის პრო- კურატურის გამომძიებლები ა. ცინცაძე, კ. მე- სენგვერი, სიღნაღის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი ბ. ბოსტოლანაშვილი.

ნაკლოვანებები არ არის აღმოფხვრილი კად- რების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქ- მეში. ამით აიხსნება, რომ პროკურატურის ორ-

განოების მუშაკთა შორის ჯერ კიდევ ვხვდებით უდისციპლინო, უღირს მუშაკებს.

რესპუბლიკის პროკურატურის მიერ დამნაშა- ვეობის წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებათა ქმედითობაზე უარყოფითად მოქმედებს ნაკლო- ვანებები მიმდინარე მუშაობისა, ორგანიზაციისა და შესრულების შემოწმებაში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-14 პლენუმის გადაწყვეტილებები ჯერ კიდევ არ გადაქცეულა ქალაქებისა და რაიონების პროკუ- რატურების მუშაობის საფუძვლად.

კოლეგია მ დასახა კონკრეტული ღონისძიებე- ბი, რომლებიც მიმართულია ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის სრულყოფისადმი მიძღ- ვნილ რესპუბლიკური აქტივის გადაწყვეტილე- ბათა განსახორციელებლად.

სესია იხილავს საზოგადოებრივი წესრიგის განუსაზღვრელ საქმებს

მშრომელთა დეპუტატების აბაშის რაიონ- ული საბჭოს სესიამ განიხილა რაიონში სო- ციალისტური კანონიერების დაცვის, საზოგა- დოებრივი წესრიგის განმტკიცების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი.

სესიაზე მოხსენებით გამოვიდა რაიონის პროკურორი კ. სამუშია, თანამოხსენებით — რაისაბჭოს სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე რ. კიჭირია.

მოსმენილი საკითხის გამო ვაიმართა საქ- მინა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ: რაიონის სახალხო მოსამართლე ნ. მელაია. ში- ნაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფ- როსი ვ. როგავა, რაიონული გზუთის — „განა- ხლებული აბაშის“ რედაქტორი კ. თოფურია, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე კ. ზაივა და სხვები.

სესიაზე საფუძვლიანად გააანალიზეს რაიონ- ში კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცების დარგში უკანასკნელ წანს გაწეული მუშაობა. განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად რაიონის ადმინისტრაციული ორგანოები, მთელი საზოგადოებრიობა უკეთ იბრძვის რათა ქალაქ- ში, თითოეულ სოფელში, დამყარდეს სანიმუშო

საზოგადოებრივი წესრიგი. სოფლების—პირვე- ლი მისის, ნავსაკოვოს, სამიქაოს, გეზათის ტე- რიტორიაზე მიმდინარე წლის პირველ ნახევარში არ არის სისხლის სამართლის დანაშაულის არც- ერთი შემთხვევა. იკლო ისეთმა დანაშაულმა, როგორცაა სოციალისტური საკუთრების გატა- ცება, სპეკულაცია და სხვა.

აღინიშნა ნაკლოვანებებიც. რაიონში ადგი- ლი აქვს ქურდობის, ხულიგნობის, მექრთამეო- ბის, სახელმწიფო მიწების მიტაცების, ვაჭრო- ბის წესების დარღვევის ფაქტებს. ზოგიერთ მე- ურნეობაში მოუწესრიგებელია აღრიცხვა-ანგა- რიშვება, შესაფერისად არ ზრუნავენ მატერია- ლურ ფასეულობათა დაცვისათვის. ამ მხრივ მნიშვნელოვანი დარღვევებია სოფ. ეწერის ორ- ჯონიძის სახელობის კოლმეურნეობაში, რი- სთვისაც კოლმეურნეობის ხელმძღვანელები მკაცრად დაისაჯენ. რაიონში კვლავ არის მე- ზობლური და ოჯახური დავები, ბევრი მოქალა- ქე ატარებს სანადირო თოფს უნებართვოდ.

ქ. აბაშასა და სოფლებში სახალხო რაზმე- ლები, ამხანაგური სასამართლოები ჯერ კიდევ მოუქნელად მუშაობენ. მათ სუსტად ხელმძღვა- ნელობენ.

სესიაზე აღინიშნა, რომ სოფლის მშრომელ- თა ყრილობებმა, რომლებმაც განიხილეს საზო-

გადობრივი წესრიგის განმტკიცების საკითხებში, დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს დანაშაულობათა აღკვეთის საქმეში. ამასთანავე აღინიშნა, რომ ზოგან სასოფლო საბჭოები, დეპუტატები, აღმასკომები სათანადოდ არ მუშაობენ ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. სესიაზე გააკრიტიკეს

ადმინისტრაციული ორგანოები მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის.

სესიაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის აბასის რაიკომის მდივანმა ა. ქობალავამ.

განხილული საკითხის გამო მიღებულია გადაწყვეტილება.

პარტიის რაიონული კომიტეტის კრებულზე

3 სექტემბერს პარტიის ადიგენის რაიკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა პარტიის რაიონული აქტივის კრება, რომელსაც დაესწრნენ სასამართლოს, პროკურატორის, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკები, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნები და მათი მოადგილეები, სასოფლო და სადაბო საბჭოების თავმჯდომარეები, კოლმეურნობათა გამგეობების თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობათა დირექტორები, საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, კურორტ აბასთუმნის სანატორიუმების მთავარი ექიმები.

აქტივის კრებაზე მოხსენებით — „ადიგენის რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების ამოცანები სოციალისტური მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცებისა და სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრის საქმეში“ გამოვიდა მშრომელთა დეპუტატების ადიგენის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. პატიაშვილი. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში

მონაწილეობა მიიღეს უდის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ა. გიგოლაშვილმა, — რაიონის სახალხო მისამართლემ — გ. გაგაშვილმა, კურორტ აბასთუმნის სანატორიუმ „აღობილის“ მთავარმა ექიმმა — თ. მათიკაშვილმა, ბოლახურის საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის პარტიულროს მდივანმა — ნ. ჩხიტუნიძემ, შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსმა — ე. აღღემაშვილმა.

პარტიული აქტივის რაიონულ კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომის მეორე მდივანმა ვ. ქაძაძიამ.

რაიონული აქტივის კრებამ მიიღო შესაბამისი რეზოლუცია.

შ. აბულაძე — შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი, იურისტი

3360 50 333.

ИНДЕКС 70185



САБЧОТА САМАРТАЛИ № 5

(На грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Министерства Юстиции Грузинской ССР